



ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

სოციალურ მეცნიერებათა სერია

თამარ სულუხია

**დასავლეთის ქვეყნების
ურბანოსოციოლოგია**

(დაახმარე სახელმძღვანელო)

დაშვებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ
სოციალური მეცნიერებების მაგისტრანტებისათვის

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი

2001

დამზმარე სახელმძღვანელო „დასავლეთის ქვეყნების ურბანსოციოლოგია“ დამუშავდა 2000-2001 წლებში. ფონდი „ღია საზოგადოება — საქართველოს“ სოციალურ მეცნიერებათა პროგრამის ფარგლებში და მისივე დაფინანსებით, აგრეთვე როგორც არქიტექტურის ინსტიტუტის და, კერძოდ, უნბანისტიკის კათედრის მხარდაჭერით.

დამზმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ურბანისტიკის სპეციალობის მაგისტრატურაში ურბანსოციოლოგიის კურსის სწავლებისათვის. იგი მოიცავს თეორიულ კურსსა და დამატებითი ლიტერატურის მითითებას სალექციო თემატიკის შესაბამისად.

რედაქტორი ლია კაჭარავა

რეცენზენტი: პროფ. ლადო ვარდოსანიძე
პროფ. თინათინ ბოჭორიშვილი

ავტორისაგან

მსურს ვისარგებლო შემთხვევით და უდიდესი მადლობა მოვახსენო ამ ნაშრომის შექმნის პროცესში გამოჩენილი დახმარებისა და მხარდაჭერისათვის იმ პირებსა და ორგანიზაციებს, რომელთა გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა ამ ნაშრომის შექმნა და გამოცემა: ჩემს პედაგოგსა და ამ ნაშრომის რეცენზენტს პროფესორ ლალო ვარდოსანიძეს; ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ და მის თანამშრომლებს მარინა ჩიტაშვილს, მაკო მიქაბერიძესა და დათო ჯაშიაშვილს; არქიტექტურის ინსტიტუტის ხელმძღვანელობას, სახელდობრ, პროფესორებს ვოგი სალუქვაძეს, თენგიზ მახარაშვილსა და ვახტანგ დავითაიას; ნაშრომის რეცენზენტს თინათინ ბოჭორიშვილს; წიგნის რედაქტორს ლია კაჭარავას, გამომცემლობა „მერიდიანს“.

ს ა რ ჩ ე ვ ი

<i>შესავალი</i>	6
<i>თავი I. შესავალი: ზოგადი ცნებები</i>	8
• სოციალური მეცნიერებანი	9
• სოციოლოგია	10
• ურბანიზაცია	15
• ურბანიზმი	17
• ურბანსოციოლოგია	19
• რურალური სოციოლოგია	21
• სხვა ურბანული მეცნიერებანი	22
• თავის საკითხავი ლიტერატურა	23
<i>თავი 2 ურბან-სოციოლოგიის საწყისები</i>	24
• ურბან-სოციოლოგიის ევროპელი კლასიკოსები	25
• მაქს ვებერი	25
• გეორგ ზიმელი	27
• პროტო-ურბანსოციოლოგები	29
• ფერდინანდ ტიონისი	29
• ჰენრი მაინი	31
• ემილ ღურკჰეიმი	32
• ჩიკაგოს სკოლა	34
• ურბანეკოლოგია: პარკი, ბარჯეუზი და მაკქენზი	36
• ლუის ვირტი	40
• II თავის საკითხავი ლიტერატურა	45
<i>თავი 3 მსოფლიოს ურბანიზაცია: ზოგადი მიმოხილვა</i>	46
• უძველესი სამყაროს ურბანიზაცია	47
• ურბანიზაცია შუა საუკუნეებში	50
• ინდუსტრიული ურბანული რევოლუცია	53
• ურბანიზაცია განვითარებად სამყაროში	55
• გლობალიზაცია	64
• ურბანიზაცია დასავლეთ ევროპაში	66
• ურბანიზაცია აღმოსავლეთ ევროპაში	67
• აშშ-ს ურბანიზაცია	71
• III თავის საკითხავი ლიტერატურა	78

თავი 4. თანამედროვე ურბან სოციოლოგია	79
• ქალაქი და პოლიტიკონომია.....	80
• არათანაბარი განვითარების თეორია.....	83
• კლასობრივი კონფლიქტის თეორია.....	87
• სტროპერი და უოლკერის თეორია.....	87
• მანუელ კასტელის თეორია.....	89
• თანამედროვე სოციოლოგიური მიდგომა.....	89
• ზრდის მანქანა.....	89
• სოციალურ-სივრცითი მიდგომა.....	90
• უტოპისტი ურბანისტები.....	93
• დაგეგმარების კრიტიკოსები.....	96
• რეგიონალიზმის პერსპექტივა.....	100
• სტრუქტურულიზაციის თეორია.....	100
• IV თავის საკითხავი ლიტერატურა.....	101

თავი 5. ქალაქის ფუნქციონირების სოციალურ-სივრცითი ფაქტორები	102
• ქალაქური თემი.....	103
• სუბკულტურის თეორია.....	104
• სოციალური ქსელის თეორია.....	107
• რიჩარდ სენეტი.....	108
• ქალაქური ცხოვრების წესი.....	109
• ადაპტაცია ქალაქურ კულტურასთან.....	114
• ქალაქური გარემოს აღქმა.....	118
• ქალაქი და ეკოლოგია.....	120
• არქიტექტურული ხერხებით სოციალური პრობლემების მოგვარების მცდელობანი.....	121
• სოციოლოგიური კვლევა.....	124
• ქალი, გენდერული როლები და ქალაქის სივრცე.....	126
• V თავის საკითხავი ლიტერატურა.....	128

თავი 6. ურბანული პოლიტიკა	129
• ურბანული პოლიტიკის ცნება.....	130
• ურბანული პოლიტიკა აშშ-ში და დასავლეთ ევროპაში.....	133
• დასავლური და სოციალისტური ურბანული პოლიტიკის შედარება.....	140
• ურბანმენეჯმენტი.....	142
• მოსახლეობის მონაწილეობა საქალაქო გადაწყვეტილებათა მიღებაში.....	146
• VI თავის საკითხავი ლიტერატურა.....	156
გამოყენებული ლიტერატურა.....	157

შესავალი

ურბანსოციოლოგია ის დარგია, რომელმაც საფუძველი შეუქმნა თანამედროვე ქალაქგეგმარებასა და ურბანისტიკას, როგორც მეცნიერებას მრავალმხრივი კომპლექსური მიდგომის ჩამოყალიბებისა. დასავლეთის ქვეყნებში ურბანსოციოლოგიამ გამოიშუშავა ის პროგრესული და ანალიტიკური ხედვა ქალაქში მიმდინარე სოციალურ-სივრცითი პროცესების მიმართ, რომელიც დღეს მეცნიერული კვლევისა და ანალიზის საფუძველს წარმოადგენს და რომელიც თანამედროვე ურბანისტიკის განუყოფელი კომპონენტია.


XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის პირველი ნახევარი ურბანიზაციის ტემპების მხრივ რევოლუციური იყო. ამან გამოიწვია ჭეშმარიტი სამეცნიერო გადაჭრიალება დასავლეთის ქვეყნებში ქალაქთა პრობლემების შემეცნების კუთხით. სწორედ ამ პერიოდში აღმოცენდა ურბანსოციოლოგია, როგორც მეცნიერება და აკადემიური დისციპლინა და დღემდე ურბანოლოგიურ მეცნიერებებში წამყვან ფუნქციას ასრულებს.

აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს საბჭოთა სისტემაში მოქცევამ და საბჭოთა იდეოლოგიის მხრიდან ურბანისტიკის მიმართ სპეციფიკური და არაპროგრესული დამოკიდებულების გამო, ჩვენს ქვეყანაში ურბანსოციოლოგია, როგორც მეცნიერება და აკადემიური დისციპლინა, ვერ განვითარდა. დღეს, საქართველოს დემოკრატიულ სისტემასა და საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტაციამ საფუძველი შექმნა, რათა ახლებური მიდგომა ჩამოყალიბდეს ქალაქთა პრობლემების ანალიზისა და გადაჭრის კუთხით. ამ საქმეში უდავოდ კრიტიკულია უმაღლეს სასწავლებლებში ურბანისტთა ახალი თაობის მომზადება. პრობლემის დასაძლევად აუცილებელია საზღვარგარეთის ქვეყნებში დაგროვილი კლასიკური მეცნიერული ცოდნის საფუძველები, მეთოდოლოგიის გათვალისწინებით. რომელიც მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში წარმატებით ფუნქციონირებს დანერგილ იქნეს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. ურბანსოციოლოგიის სწავლება ერთ-ერთ აუცილებელ კო-

პონენტს წარმოადგენს და ეს წიგნიც „დასავლეთის ქვეყნების ურბან-სოციოლოგია“ სწორედ ასეთი კუთხით სწავლების ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

წიგნი წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს ურბანისტიკის სპეციალობის მაგისტრატურაში ურბანსოციოლოგიის კურსის სწავლებისათვის. იგი დაყოფილია 6 თავად, რომელიც ქვესაკითხებსაც შეიცავს. სახელმძღვანელოში მოყვანილია ის ძირითადი ცნებები, ფაქტები, პროცესები, საერთაშორისო გამოცდილება და მათი ანალიზი, რაც საფუძველს შეუქმნის სტუდენტებსა და დამწყებ პროფესიონალებს ურბანისტიკა გაიაზრონ როგორც მრავალმხრივი და კომპლექსური მეცნიერება და გაეცნონ იმ გამოცდილებას, რომელიც ამ კუთხით დასავლეთის ქვეყნებშია დაგროვილი.

ყოველი თავის შემდეგ, თემატიკის შესაბამისად, მითითებულია ლიტერატურა, რომლის გაცნობითაც სტუდენტებსა თუ სხვა დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ შეივსონ და გააღრმავონ ცოდნა კონკრეტული საკითხების გარშემო. მაშინ, როდესაც ქართული და რუსულენოვანი ლიტერატურა ხელმისაწვდომია ადგილობრივ ბიბლიოთეკებში, მითითებული ინგლისურენოვანი ლიტერატურის გაცნობა მკითხველს შეუძლია ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ სარესურსო ცენტრში, სადაც ეს ლიტერატურა განთავსდება ამ კურსის სწავლების ხელშეწყობისა და ფართო მკითხველის მომსახურების მიზნით.



შესავალი

ზოგადი ცნებები

- სოციალური მეცნიერებანი
- სოციოლოგია
- ურბანიზაცია
- ურბანიზმი
- ურბანსოციოლოგია
- რურალური სოციოლოგია
- სხვა ურბანული მეცნიერებანი


სოციოლოგია ცენტრალური სოციალური მეცნიერებაა და მჭიდრო კონტაქტშია სხვა სოციალურ დისციპლინებთან. სოციალური მეცნიერებების ფართო ჯგუფს მიეკუთვნება ის მეცნიერებანი, რომელიც საზოგადოებისა და ინდივიდის ურთიერთქმედებას სწავლობს. მათში შედის: სოციოლოგია, გეოგრაფია, ისტორია, ფსიქოლოგია, ეკონომიკა, და სხვა. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარება XIX საუკუნეში მოხდა კერძოდ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარების შემდეგ. ფაქტობრივად სოციალური მეცნიერებანი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიერ მოზადებულ საფუძველზე აღმოცენდა და დღემდე ხშირად ხდება მათი გამმიჯვნილი საზღვრების ძიება. მით უფრო ძნელია სოციოლოგიისა და სხვა სოციალურ მეცნიერებათა შორის საზღვრის გავლება, თუმცა სოციოლოგია თავიდანვე ცდილობდა თავისი საზღვრები დაეკანონებინა სხვა სოციალურ მეცნიერებებთან მიმართებაში. ეს საკმარისი ძნელი ამოცანა იყო. მით უფრო ამ დისციპლინათა ჩამოყალიბების პროცესში.

ტერმინი — „სოციალური მეცნიერებანი“ სწორედ ამ დისციპლინათა ერთობასა და გადაჯაჭვულობას აღნიშნავს. იგი მიუთითებს იმ დისციპლინათა ერთობას, რომელიც შეისწავლის საზოგადოებასა და მასში მიმდინარე პროცესებს. ასეთი მიდგომა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა გერმანული აზროვნების სკოლის, ბრიტანული სკოლისა და ჩიკაგოს სკოლის ფართო მიდგომათა განვითარების შედეგად. სწორედ ამ ცალკეულ დისციპლინათა, მათ მეთოდთა და მიდგომათა სიმრავლის გამო ამ სახელწოდებას მრავლობით რიცხვში ხმარობენ.¹ სოციალური მეცნიერებანი მრავალ ცალკეულ დისციპლინად ისწავლება და მათ გარდა, მოიცავს საერთაშორისო ურთიერთობებს, ბიზნესის ადმინისტრაციასა, საზოგადოებრივ ადმინისტრაციას და სხვა. ზოგჯერ სოციალურ პროცესთა მკვლევრებს სოციოლოგთა ცნების ქვეშ აერთიანებენ.

¹ Kuper, Adam, Jessica Kuper. (eds.) 1999. The Social Science Encyclopedia. London and New York; Routledge. P.800-802

რასაც ხშირად გამოუწვევია დავა სამეცნიერო და საზოგადოებრივ წრეებში.

სქემა 1. სოციოლოგიის ადგილი მეცნიერებათა სისტემაში



❖ *სოციოლოგია*

ზოგადი განსაზღვრებით სოციოლოგია არის მეცნიერება საზოგადოების შესახებ.სოციოლოგია არის თეორიული კონსტრუქცია, რომელიც მიისწრაფვის ბუნდოვანი და არაცხადი ადამიანური არსებობის გაგებისაკენ— სოციოლოგების მიზანია ზღვრულად, მაქსიმალურად

გასაგები გახადონ ის, რაც არ იყო გასაგები და ცხადი თვით რეალობაში¹. საზოგადოება მოიცავს სოციალურ ინსტიტუტებსა და სოციალურ ურთიერთობებს. სოციალურ ინსტიტუტებში იგულისხმება საზოგადოების ჩამოყალიბებული ძირითადი სტრუქტურული ელემენტები, როგორცაა ეკლესია, კანონი, ოჯახი და სხვა. სოციალური ინსტიტუტები საზოგადოების სწორედ ის სტრუქტურული კომპონენტებია, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ინდივიდთა და მათი ჯგუფების მოქმედების ორგანიზება და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.² ინდივიდებს, ანუ სოციალურ ჯგუფებს სხვაგვარად სოციოლოგიაში სოციალურ ერთობას უწოდებენ.

ტერმინი — „სოციოლოგია“ მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „socius“, რაც ნიშნავს კომპანიონს და ბერძნული სიტყვიდან „ology“ — რისაზე შესწავლა. სოციოლოგია ჰიბრიდულ დისციპლინადაა მიჩნეული.³ ტერმინი იხმარება XIX საუკუნის მეორე მეოთხედიდან და პირველად ცნობილი ფრანგი მეცნიერი ოგისტ კონტის (August Comte, 1798-1857წწ.) ნაშრომებში გვხვდება, სადაც იგი სოციოლოგიაზე ჯერ კიდევ არარსებულ სფეროზე საუბრობს.

სოციოლოგია სოციალური მეცნიერებაა და მოიცავს განსხვავებულ აზრთა სექტორს შესასწავლი ობიექტის მიმართ. სოციოლოგთა ინტერესების ობიექტთა თაობაზე სამი ძირითადი კონცეფცია იკვეთება. პირველის მიხედვით, შესწავლის საგანია სოციალური სტრუქტურა, რომელიც მოიცავს ურთიერთობათა ფორმებს, კონკრეტუ-

ლი ინდივიდებსა და მათ მიერ დაკავებული პოზიციებისაგან საზოგადოებაში. მეორე კონცეფციის მიხედვით შესწავლის საგანია ის რასაც სოციოლოგიაში კოლექტიურ წარმოდგენას უწოდებენ. მესამე კი, არის სოციალური ქმედება, ანუ ინდივიდთა და მათი ჯგუფების ურთიერთქმედება.

სოციოლოგიური ცოდნის სისტემა არ არის ერთგვაროვანი. მისი სტრუქტურა ხუთ ძირითად ღონედ შეგვიძლია დავყოთ.⁴ პირველ ღონეს

¹ Арон Р. Этапы развития социологической мысли. М., 1993. Стр. 511-512.

² ე. ჯგერენაია, სოციოლოგიის განმარტება, გვ. 5-21 გ. ციტირებული. *სოციოლოგიის კვლევის მეთოდები*, თსუ გამომცემლობა, 1998, გვ. 5.

³ Kuper, Adam, Jessica Kuper. (eds.) 1999. Op. Cit. P.818-827

⁴ ჯგერენაია ე. *Op. Cit.* გვ. 6-17.

წარმოადგენს სოციალური სამყაროს მეცნიერული სურათი და იგი მოიცავს ცოდნის ფილოსოფიურ წინამძღვრებს, მეტათეორიებსა და ზოგად ინტუიციურ წარმოდგენებს. მეორე დონეზეა ზოგადი სოციოლოგიური თეორია, რომელიც მოიცავს ყველაზე აბსტრაქტულ სოციოლოგიურ კატეგორიებს. მესამეზე იმყოფება კერძო ანუ საქციალური თეორიები. მასში თავმოყრილია რამდენიმე ათეული დარგობრივი სოციალური დისციპლინა, მაგალითად, ისტორიული სოციოლოგია, სოციალური ანთროპოლოგია, სოციალური ეკოლოგია, კულტურის სოციოლოგია, პოლიტიკის სოციოლოგია, რელიგიის სოციოლოგია, ქალაქის, ანუ ურბანსოციოლოგია (რომელიც ამ სახელმძღვანელოშია განხილული) და მრავალი სხვა.¹ სოციოლოგიური ცოდნის მეოთხე დონე მოიცავს ემპირიულ ცოდნას, რაც ემპირიულ კვლევას, თავის მხრივ, ხელს უწყობს ახალი ცოდნის დაგროვებასა თუ არსებულის გადამოწმებას. მეხუთე დონეზე გამოყენებითი სოციოლოგიაა, რომელსაც შეგვიძლია მივაკუთვნოთ ყველა სახის პოლიტიკური გამოკითხვა, საზოგადოებრივი აზრის შესწავლა და სხვა.

სოციოლოგია სწავლობს სოციალურ პროცესებს სივრცითი გარემოს კონტექსტში. თვით გარემოს ცნება გარკვეულად მეტაფორას წარმოადგენს და მისი ზუსტი განსაზღვრება არ არსებობს. თუმცა ამ ტერმინს სოციოლოგია იყენებს სოციალური პროცესებისა და სივრცის ერთიანობის გამოსახატავად. გარემო, ალბერტ აინშტაინის (Albert Einstein) განსაზღვრებით, არის ყოველივე ის, „რაც მე არ ვარ“. ანუ ის, რაც ჩვენს გარეშეა. დღევანდელ გლობალიზაციის პირობებში სივრცის მნიშვნელობის სიმბოლურობა კიდევ უფრო იზრდება და იგი „დინამიკურ ზონადაა“ მიჩნეული.

სოციოლოგიის განვითარება XIX საუკუნეში განპირობებული იყო მზარდი ინდუსტრიალიზაციითა და ურბანიზაციის პროცესების და ჩქარებით. საუკუნეთა მიჯნაზე ყოველდღიურად ცვალებადი გარემო არ იყო ინტეგრირებული და ახალი პროცესები არ ექვემდებარებოდა რეგულირებას. სოციოლოგიის აღორძინება ევროპაში დაემთხვა ოპტიმიზმის ტალღის ზრდას საზოგადოებრივ ცნობიერებასა და

¹ ჯგერენიაი ე. Op. Cit. გვ 7.

პროცესებში, პროგრესის მოლოდინსა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების რწმენას. სოციოლოგიამ მიზნად დაისახა პოტენციური პრობლემების აღმოჩენა, ანალიზი და მათი გადაჭრის გზების ძიება. ამ პროცესებით არა მარტო მეცნიერები, არამედ პოლიტიკოსები, რეფორმისტები და ღვთისმსახურნიც დაინტერესდნენ. მეცნიერთა შესწავლის საგანს თავიდან ანომალიები და პათოლოგიები წარმოადგენდა, რომელიც ახალმა პროცესებმა მოიტანა.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე უკვე გამოჩნდა რეალური შესაძლებლობა, რათა სოციოლოგია გამხდარიყო აკადემიური დისციპლინა. XIX საუკუნის ბოლოს სოციოლოგია უკვე გამოიკვეთა, როგორც ცალკეული დისციპლინა, აშშ-სა და ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში. ეს დისციპლინა მიმართული იყო თანამედროვე საზოგადოების ისტორიული ტენდენციებისა და არსებული პრობლემების გადაჭრის ხერხების აღმოჩენისაკენ. იგი მიჩნეულ იქნა, როგორც მეცნიერება, რომელიც მოახდენდა საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგს, ამასთან, მმართველობის დონეზე შეიმუშავებდა არსებული პრობლემების გამოსწორების გზებს. XIX საუკუნეში უკვე ცნობილმა ფილოსოფოსების მოღვაწეობამ მოიცვა სოციოლოგიის ძირითადი საკითხები: ოგიუსტ კონტმა გააანალიზა ისტორიის მამოძრავებელი ძალები; ჰერბერტ სპენსერმა (Herbert Spenser, 1820-1903წწ.) ყურადღება გაამახვილა საზოგადოების „ინდუსტრიულ“ ფაზაში გადასვლის პროცესებზე; კარლ მარქსმა (Karl Marx) (1813-1883წწ.) წამოაყენა საკითხი ინდუსტრიალიზაციის შედეგად საზოგადოების მოსალოდნელი სრული გათავისუფლების შესახებ თემური პრინციპებისაგან; ფერდინანდ ტიონისმა (Ferdinand Tonnis, 1855-1935წწ.) დაუშვა რომ რურალური თემის „ჯგუფური სოლიდარობა“ შეიცვლებოდა ქალაქის „ინდივიდუალური სოლიდარობით“.

სოციოლოგიის პიონერების შემდგომი თაობის ნაშრომები და მიდგომა სწორედ ამ მეცნიერთა თეორიას დაეყრდნო და ყურადღება გაამახვილა მათ მიერ წამოჭრილ პრობლემეტიკაზე. ემილ დურკჰეიმში (Emil Durkheim 1855-1917წწ.) ცნობილია სოციოლოგიის, როგორც აკადემიური დისციპლინის ერთ-ერთ ფუძემდებლად. მან წინ წამოსწია

სოციალური ფაქტორების ინდივიდისაგან დამოუკიდებლობის სტატუსის შესაძლებლობა, ანუ ხაზი გაუსვა ამ ფაქტორების ობიექტურობას. მან წამოჭრა ქალაქის საზოგადოებაში შრომის დანაწილების ასპექტების მნიშვნელობა ღიფერენცირებულ კლასებსა და პროფესიულ ჯგუფებს შორის ურთიერთობისათვის.

მაქს ვებერმა. (Max Weber, 1864-1920წწ.) რომელიც გერმანულ ფილოსოფიურ ტრადიციაზე გაიზარდა და აგრეთვე მიჩნეულია სოციოლოგიის ფუძემდებლად, დააყენა საკითხი, სოციოლოგიის, როგორც ცალკეული მეცნიერების შესახებ, საკუთარი სტრატეგიითა და მიდგომით. ვებერის განსაზღვრებით, სოციოლოგია სწავლობდა ადამიანთა ქცევას დაკვირვების მეთოდის გამოყენებით. გეორგ ზიმელმა (George Simmel, 1859-1918წწ.) ხაზი გაუსვა ქალაქის პირობებში ურთიერთქმედების ზედაპირულობისა და მრავალფეროვნების ზრდას, მზარდ დამოკიდებულებას ფულად ურთიერთობებზე. მარქსის, ვებერის, ლურკაჰიძისა და ზიმელის კლასიკური იდეები დღემდე სოციოლოგიის ქვაკუთხედად არის მიჩნეული სოციოლოგიის ყველა ალტერნატიული სკოლისა თუ თეორიის მიერ.¹ ამ ოთხი კლასიკოსის ნაშრომს დღემდე მიმართავენ თანამედროვე მეცნიერები, ანალიზებენ და ახალ იდეებს პოულობენ.

XX საუკუნის მეორე ნახევარმა უდიდესი ცვლილებები მოიტანა თანამედროვე საზოგადოებასა და კულტურაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ძველი ფასეულობების იერარქიის ნგრევა და ორიენტაციის აღება რაციონალური საზოგადოების ჩამოყალიბებისაკენ. სოციოლოგიის ინტერესი გადაერთო „საზოგადოების სტრუქტურიდან“ „საზოგადოებრივი დაწესებულების“ ანალიზისაკენ, ანუ იდეალური მმართველობის ფორმირების საკითხებისაკენ. სოციოლოგია უკვე საზოგადოებას აღარ განიხილავდა, როგორც ინდივიდთა ერთობას მიმართულს გარეშე წინააღმდეგობათა გადალახვისაკენ, რომელიც ზღუდავდა მისი წევრების არჩევანს. სოციოლოგიის ახლებურმა მიდგომამ საზოგადოება აღიქვა, როგორც სოციალური მოწყობა, მიმართული რესურსების მობილიზაციისაკენ საერთო მიზნების მისაღწევად. სოციოლოგიის

¹ Flanagan, William G. 1999. Op. Cit., pp. 49-53.

ყურადღება, რომელიც თავიდან კონცენტრირებული იყო სტაბილურობის, ისტორიული განმეორებადობისა და თვითგანახლების კანონთა და რეგულირებათა ძიებაზე, გადაერთო ინოვაციისაკენ. აღიარებულ იქნა, რომ არსებობს ის ძირითადი კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც განიხილება მოვლენათა შედეგი, გავლენა და ხანგრძლივობა. ახალმა სოციოლოგებმა ყურადღების ცენტრში მოაქციეს სოციალური რეალობა და ააღორძინეს თემის როლი საზოგადოების განვითარებაში. თუ XX საუკუნის მეორე ნახევრამდე თემი, როგორც წარსულის მოვლენა ისე განიხილებოდა, ახალმა სოციოლოგიამ იგი ყურადღების ცენტრში მოაქცია, როგორც ერთგვარი ტრადიციის მატარებელი, წვერებით ფორმირებული, მაგრამ ხშირად ფიზიკური საზღვრების მხრივ დიფუზიური და არამდგრადი სოციალური გარემო.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ორი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა სოციოლოგიაში. კერძოდ, ჩრდილო ამერიკულმა სოციოლოგიამ ლიდერობა დაუთმო ევროპულს; და მეორე, გაიზარდა სოციოლოგთა იდეებისა და ნაშრომების საერთაშორისო მიმოცვლა. მაგალითისათვის, თანამედროვე ამერიკელი სოციოლოგის ენტონი გიდენსის ნაშრომები მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ გაიზიარა და მიიღო. ამ პერიოდშივე განვითარდა სოციოლოგიის ალტერნატიული მიმართულებანიც, რომელმაც საზოგადოების კონკრეტული ნაწილი მიიჩნია თავისი შესწავლის საგნად და ყველა დანარჩენი მოვლენა¹ ამ ფოკუსით გაანალიზა. ასეთებია, მაგალითად, გენდერული მიმართულება, რომელიც ცენტრალურ საკითხად იღებს გენდერულს და სოციოლოურ პრობლემებს ამ ძირითადი საკითხის კონტექსტში განიხილავს.¹

❖ ურბანიზაცია

ქალაქის, ანუ ურბანული საკითხები ყველა სოციალური მეცნიერების ინტერესების სფეროშია მოქცეული. სოციალურ მეცნიერებებში კვლევის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი სწორედ ურბანიზაციის, როგორც დემოგრაფიული ფენომენის მიზეზთა და შედეგთა გამოკვეთა, ანალიზი და ქალაქის მორფოლოგიის შესწავლაა.

¹ Flanagan, William G. 1999. Op. Cit., pp. 49-53.

ურბანიზაცია ქალაქის ფორმირებისა და განვითარების პროცესია. იგი სწავლობს სოციალური პროცესებისა და სივრცითი განვითარების ურთიერთმიმართებას, სოციალური მოვლენების სივრცეში ფორმირებას. ურბანიზაცია აღნიშნავს მოსახლეობის განაწილებას რურალურ და ურბანულ გარემოს შორის როგორც მას დემოგრაფები სწავლობენ და მეორეს მხრივ, სწავლობს ქალაქის განვითარებას და მისი სტრუქტურის შესწავლას, როგორც მას სწავლობს ეკონომიკა, გეოგრაფია, სოციოლოგია. ურბანიზაციის ჩვენში მიღებული განმარტება ასეთია: „ეს არის საზოგადოების განვითარებაში ქალაქთა როლის ამაღლების პროცესი, რომელიც იწვევს ცვლილებებს საზოგადოების სოციალურ და დემოგრაფიულ სტრუქტურაში, კულტურაში, ცხოვრების წესში, ფსიქოლოგიასა და ადამიანთა ურთიერთობის ფორმათა კონცენტრაციას.“¹

ურბანიზაციის მიმართ მეცნიერებათა დამოკიდებულება ორგვარია. დემოგრაფები მას უყურებენ მოსახლეობის გადაწველების კუთხით ქალაქისა და სოფლის ტერიტორიებს შორის. სოციალურ მეცნიერებათა უმეტესობა კი (მაგალითად, ეკონომიკა, გეოგრაფია და სხვა) ურბანიზაციას უდგება როგორც აგლომერაციათა მორფოლოგიური სტრუქტურების ცვლილებასა და განვითარებას. სოციოლოგიის ყურადღება გამახვილებულია ურბანიზაციაზე, როგორც საზოგადოებაში სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, სივრცითი და ფსიქოლოგიური ცვლილებების შედეგებზე. ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის პროცესის დაჩქარება ბოლო ორი საუკუნის მანძილზე ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ტრანსფორმაცია იყო. რამდენიმე თაობის მანძილზე საზოგადოების სოციალური ორგანიზაცია სრულიად შეიცვალა და, შეიძლება ითქვას, რომ აღმოცენდა ახალი საზოგადოება. სოციოლოგია და ურბანსოციოლოგია, როგორც მეცნიერებანი, სწორედ ამ პროცესის საპასუხოდ განვითარდა. გარკვეულად ურბანიზაციის პროცესი ხასიათდება როგორც იმ საზოგადოებრივი ფორმაციის ზომისა და სოციალურ-სივრცითი ორგანიზაციის ცვლილება, რომელშიც ინდივიდი ცხოველქმედებს.

მეცნიერებაში ხშირად იხმარება ტერმინები, რომელიც ურბანიზაციის გარკვეულ სტატუსს აღნიშნავს. ასეთებია, მაგალითად, ჭარ-

¹ Коган Л. Урбанизация. "Философская Энциклопедия". М., Советская Энциклопедия. 1970. Том

ბი ურბანიზაცია (*overurbanization*) და დაბალი დონის ურბანიზაცია (*underurbanization*). დაბალი დონის ურბანიზაცია მის დაბალგანვითარებულობას აღნიშნავს. ეს ტერმინი ხშირად იხმარებოდა საბჭოთა კავშირთან მიმართებაში, რადგან აქ ინდუსტრიული აგლომერაციების ზრდა არ იყო გამოწვეული საბაზრო ეკონომიკური პირობებით და ქალაქის მოსახლეობის ზრდას თან არ ახლდა ქალაქის ინფრასტრუქტურის შესაბამისი გაფართოება და დახვეწა. ტერმინი ჭარბი ურბანიზაცია იხმარება მესამე სამყაროსთან ანუ განვითარებად და ჩამორჩენილ ქვეყნებთან მიმართებაში, რომელთაც ახასიათებს ქალაქთა მოსახლეობის დიდი რაოდენობა (მსოფლიოს უდიდესი ქალაქები სწორედ მსოფლიოს ამ ნაწილშია განლაგებული) და ქალაქური ინფრასტრუქტურისა და ცხოვრების დონის განსაკუთრებით დაბალი ხარისხი. ჭარბი ურბანიზაცია არის ქალაქის მოსახლეობის სწრაფი ზრდა, როდესაც ხალხი უფრო მეტია, ვიდრე მათი დასაქმების ადგილები. ამასთან, მაღალია სიღარიბისა და დაბალია ქალაქური ცხოვრების დონე. რაც შეეხება ურბანიზაციას მაღალგანვითარებულ საზოგადოებებში, მას თან ახლავს მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ეკონომიკა და სოციალური სტრუქტურები ასევე განვითარებული ინფრასტრუქტურის თანხლებით.

ძრავალ განვითარებულ ქვეყანაში ურბანიზაციის გარკვეულ ეტაპზე ხორციელდება მისი საპირისპირო პროცესის გაძლიერება, რომელსაც სუბურბანიზაცია ეწოდება. იგი მოიცავს ქალაქის საზღვრების გაფართოებასა და მოსახლეობის გადინებას პერიფერიის მიმართულებით. ამას რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ფაქტორი უწყობს ხელს, როგორცაა: სატრანსპორტო და კომუნიკაციების საშუალებათა განვითარება, პერიფერიაზე მიწის საბაზრო ფასების ხელმისაწვდომობა ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის, და ეკოლოგიური გარემოსაკენ მისწრაფება.

❖ ურბანიზმი

ტერმინი „ურბანიზმს“ „ურბანიზაციისაგან“ განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. იგი ქალაქის განვითარების პროცესიდან გამომდინარე.

წარმოადგენს ქალაქური ცხოვრების წესის ფორმირებასა და მის მახასიათებლებს: ქალაქურ კულტურას, სიმბოლოებს, ცნებებს, რომელიც დაკავშირებულია ინდივიდისა და ქალაქის სივრცის ყოველდღიური ურთიერთქმედების ფორმირებასთან.¹ იგი აგრეთვე სწავლობს სოციალური და სივრცითი ერთობის ორგანიზაციებს, რომელიც ტიპურია ქალაქისათვის. მაგალითად, ქალაქური უბანი, სამეზობლო და სხვა ფორმალური თუ არაფორმალური ერთობანი. ყველაზე ცნობილი კლასიკური ნაშრომი ურბანიზმის თემაზე ეკუთვნის ლუის უირზს — „ურბანიზმი, როგორც ცხოვრების წესი“, რომელიც გამოქვეყნდა 1928 წელს და დასაბამი მისცა ამ ტერმინის გამოყენებას მეცნიერებაში.

არსებობს ტერმინი სუბურბანიზმი, რომელიც სუბურბანული ცხოვრების ყაიდის მახასიათებლებს აღწერს. სუბურბანული ცხოვრების სტილი სრულად არ მიეკუთვნება არც რურალურსა (ანუ სოფლისათვის დამახასიათებელს) და არც ქალაქურ მახასიათებლებს, თუმცა გარკვეულად ორივეთი არის აღჭურვილი.

ურბანული გარემოს სწრაფმა ზრდამ ნეგატიური დამოკიდებულება გამოიწვია მის მიმართ და ინტელექტუალური რეაქცია გაჩნდა ანტიურბანიზმის (*antiurbanism*) სახით, XX საუკუნის პირველ მეოთხედში საზოგადოებრივ აზრში ურბანიზმი, როგორც სტილი (უირზი, 1938წ.) ხასითდებოდა სიმარტოვითა და ინდივიდის გარიყულობით, ასევე სხვა ნეგატიური მოვლენებით. ანტიურბანიზმი სოციალურ მეცნიერებათა ნეგატიური მიდგომაა გამოხატული ქალაქის, როგორც სოციალური ფორმისა და ორგანიზაციის მიმართ. იგი აკრიტიკებს ურბანიზაციის პროცესს, ურბანიზმს და განმსჭვალულია შიშით, რომ ეს პროცესები კაცობრიობას დაღუბვამდე მიიყვანს. მაშინ, როდესაც რადიკალები (მარქსი, ენგელსი და სხვა) ურბანიზაციას უყურებენ როგორც პროგრესულ პროცესს, ანტიურბანიზმი მას ასახავს, როგორც საზოგადოების დეზორგანიზაციას, შინაგან გათიშვასა და ინდივიდის იზოლაციას. ურბანსოციოლოგია თავის საწყის ეტაპზე გარკვეულწილად ანტიურბანიზმის სულისკვეთებით იყო განმსჭვალული. ამ პერიოდიდან ურბან სოციოლოგიის მთავარი ამოცანა სწორედ იმი-

¹ Gottdiener, Mark. 1994. The New Urban Sociology. McGraw Hill Inc. pp. 11-16.

ჯის შეცვლა და გამოსწორება გახდა, რომელიც საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა მასობრივი კულტურისა და უტილიტარული ურთიერთობების პირობებში. მაგრამ კვლევებმა ცხადყო ადგილობრივი თემის სულის არსებობა ქალაქში მეზობლებს, კოლეგებს, მეგობრებს შორის. აღმოჩნდა, რომ სოციალიზაციის წინაურბანული ფორმები ქალაქის პირობებში ჩანასახის სახით შენარჩუნებულია და ვითარდება სოლიდარობის განსხვავებული მახასიათებლებით.

❖ ურბანსოციოლოგია

ურბანსოციოლოგია სოციოლოგიის ქვედისციპლინაა, რომელიც სოციოლოგიის მსგავსად ფართო თემატიკასა და პრობლემატიკას მოიცავს, მხოლოდ იმ საერთო ნიშნით, რომ ყველა საკითხი ქალაქთან და ურბანულ განვითარებასთან არის მიმართებაში. იგი ქალაქს უყურებს, როგორც სოციოლოგიურ ცვლადს და ძირითადი კითხვები უკავშირდება იმას, არის თუ არა იგი დამოუკიდებელი ცვლადი. შედეგი, თუ გამომწვევი ფაქტორი. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ის ქვედისციპლინაა და მოიცავს ორ ძირითად სფეროს — სოციოლოგიისა და ურბანიტიკის ინტერესებს და მიდგომათა ერთობლიობას. მისი ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრების შემოფარგვლა ძნელია.

ურბანსოციოლოგია სწავლობს ქალაქის გარემოში მიმდინარე სოციალურ პროცესებს, ამ გარემოში სოციალური ჯგუფების ინტერაქციას, მათი განვითარების სპეციფიკასა და სოციალურ კავშირებს, რომლებიც ქალაქის გარემოში გამყარებულია არჩევანის თავისუფლებითა და მოსახლეობის ჰეტეროგენულობით.

XIX საუკუნის ინდუსტრიულმა ქალაქებმა პირველად წარმოადგინეს სოციალური ურთიერთობების ისეთი სტრუქტურა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ურბანსოციოლოგიას, როგორც დისციპლინას. სოციოლოგიის საწყისები მწერალთა და ანტიურბანიტთა სოფლის ცხოვრებისადმი რომანტიკულ დამოკიდებულებას იზიარებდა და კრიტიკულად იყო განწყობილი იმ პროცესებისადმი, რომელიც მზარდმა ინდუსტრიალიზაციამ და ურბანიზაციამ მოიტანა.

ურბანსოციოლოგიას ორი ძირითადი მიდგომა აქვს: კულტურ-აღივსტური და სტრუქტურალისტური.¹ პირველი მოიცავს ტიონისის, ღურკპეიშისა და უირზის ტრადიციას და ამტკიცებს, რომ ქალაქის გარემო ბადებს კონკრეტულ ცხოვრების სტილს — ურბანიზმს, ანუ სივრცითი ფორმა შობს კულტურულ ფორმას ან მის იმიჯს. ამის მიხედვით ქალაქი, როგორც სოციალური გარემო, ქმნის შეგრძნებისა და ქცევის ფორმებს, ანუ სუბკულტურულ ფენომენს. ისინი ამ ფენომენს აცხადებენ მოსახლეობის ზომაზე, სიმჭიდროვესა და პეტეროგენულობაზე დამოკიდებულად. ასეთ მიდგომას ეყრდნობა გეორგ ზიმელისა და პარკის თეორია ურბანეკოლოგიისა და ინდივიდის, ქცევის ფორმირების შესახებ. ქალაქის გარემო, ამ მიდგომის თანახმად, ქმნის სოციოლოგიურ ცვლადს, რომელსაც მოიცავს ურბანიზმი, როგორც ცხოვრების სტილი.

1960-იან წლებამდე დომინირებდა კულტურალისტური ორიენტაცია და ამ დროისათვის მან კრიზისს მიაღწია. ბევრი საშუალება, რომელიც ადრე მხოლოდ ქალაქში და ქალაქელთათვის ფუნქციონირებდა — მასშედის, კომუნიკაციისა და სხვა ტექნიკური საშუალებები — სოფელშიც გავრცელდა და ურბანიზმის კულტურალისტური თეორია გარკვეულად ჩინში მოაქცია. პოლიტეკონომისტებმა დაიწყეს საუბარი გლობალურ ეკონომიკურ პროცესებსა და საერთაშორისო ქსელებზე. ყოველივე ამან გამოიწვია ურბანსოციოლოგიაში ახალი სტრუქტურალისტური მიმართულების გაჩენა, რომელიც პოლიტეკონომიას ეყრდნობოდა. პოლიტეკონომიამ ქალაქის გარემოს შეხედა როგორც სოციალური პროცესების სივრცით გამოხატულებასა და არა როგორც გარემოს, რომელიც თვით ქმნის და მიმართავს კონკრეტულ სოციალურ პროცესებს, როგორც ამას კულტურალისტები მიიჩნევდნენ. პოლიტეკონომიამ ძირითადი როლი თანამედროვე ქალაქთა ზრდისა და პროგრესის მიღწევაში ეკონომიკურ და გლობალურ პროცესებს მიანიჭა კლასების, ერებისა და მრავალეროვანი კორპორაციების ურთიერთქმედებას.

¹ Flanagan, William G. 1999. Op. Cit., pp. 222-257.

შემდგომში აღქმულ იქნა ასეთი მიდგომის ცალმხრივობაც და გამოაშკარავდა თეორიული ბალანსის საჭიროება ამ ორი მეტად რადიკალური მიდგომის გასაწონასწორებლად. დღეს აუცილებელია პასუხების გაცემა ისეთ შეკითხვებზე, რომლებიც ეხება ქალაქთა და საერთოდ დასახლებული გარემოს მომავალი თანამედროვე ეკონომიკური და სოციალური პროცესების სივრცით კონტექსტს. ასეთი მიდგომით ურბანსოციოლოგია ქალაქის ფარგლებს სცილდება და რურალურ გარემოსაც მოიცავს. იგი ქალაქებს აღარ განიზილავს გარე სამყაროსაგან იზოლირებულად, არამედ ერთიან რურალურ-ურბანურ კონტინიუმში. სწორედ ამ კუთხით დღეს უკვე მეცნიერები ნაკლებად ავლებენ მკვეთრ ხაზს ურბანულ და რურალურ სოციოლოგიას შორის და ცნება ურბანსოციოლოგია, დღევანდელი გლობალიზაციის მზარდი ტემპების პირობებში, ორივე სოციოლოგიის აღმნიშვნელი გახდა.

❖ რურალური სოციოლოგია (*rural sociology*)

ეს დისციპლინა ხშირად აღიქმება როგორც შუალედური სოციოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინტერესებს შორის. სოციალურ მეცნიერებათა ძირითადი ინტერესები ყოველთვის ქალაქთან და ურბანულ სოციალურ პროცესებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ რურალური სოციოლოგია (ანუ სოფლის სოციოლოგია), ძირითადად, არაურბანიზებულ ქვეყნებშია განვითარებული. აღსანიშნავია, რომ მრავალ ქვეყანაში რურალური სოციოლოგია, როგორც მეცნიერება, საერთოდ არ განვითარებულა და რურალურ პროცესებს მხოლოდ სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და სხვა მომიჯნავე დისციპლინები სწავლობენ. რურალური სოციოლოგიის განვითარებამ განსაკუთრებულ მასშტაბებს ბრიტანეთში მიაღწია. მან არათუ მოიპოვა ცალკე დისციპლინის სტატუსი, არამედ 1930-იან წლებში ბრიტანეთის უნივერსიტეტებში რურალური სოციოლოგიის დეპარტამენტებიც კი არსებობდა. დღესდღეობით, როდესაც მეცნიერებაში უკვე სრულად არის აღქმული რურალურ-ურბანული კონტინიუმი, რურალური სოციოლოგიის საკითხებს ურბანსოციოლოგია სწავლობს და რურალურ სოციოლოგიასთან, როგორც მეცნიერებასთან, მეტად სადავოა მეცნიერთა დამოკიდებულება.

ურბანიზაციის პროცესის დაჩქარებასა და ურბანსოციოლოგიის, როგორც მეცნიერების, განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა სხვა მრავალი ურბანული მეცნიერება, რომელიც უშეტესად სოციალურ მეცნიერებათა სპექტრს მიეკუთვნება. ასეთებია: ქალაქის გეოგრაფია (ურბანგეოგრაფია), ქალაქის ეკოლოგია (ურბანეკოლოგია), დემოგრაფია, ქალაქის ეკონომიკა (ურბანეკონომიკა) და სხვა. ისინი მომიჯნავე პრობლემატიკას ეხებიან და ხშირად იჭრებიან ერთმანეთის კომპლექტინციის სფეროებში. მაგალითად, ურბანგეოგრაფია სწავლობს ქალაქთა და სხვა დასახლებული ადგილების განლაგებას, რომელიც დამოკიდებულია და თავის მხრივაც განსაზღვრავს სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და დემოგრაფიულ პროცესებს. იგი სწავლობს დასახლებულ ადგილთა განსაკუთრებულ ნიშნებს, მათ სივრცით ურთიერთობებს, ისევე როგორც მოსახლეობისა და გარემოს ურთიერთქმედებას. ურბანგეოგრაფები ურბანსოციოლოგთაგან განსხვავებით არ სწავლობენ ცალკე აღებულ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებს. არამედ მხოლოდ დასახლებული ადგილების საერთო და განმასხვავებელი ნიშნების მიხედვით განიხილავენ.

საინტერესოა, რომ ურბანეკოლოგიასა და ურბანსოციოლოგიას, როგორც დისციპლინებს, თითქმის ერთდროულად ჩაეყარა საფუძველი ჩიკაგოს სკოლის პიონერთა მიერ¹. ეკოლოგიური პერსპექტივა არ შემოიფარგლება მხოლოდ ბიოლოგიური მეცნიერებით, არამედ გავრცელებულია სხვა დარგებშიც, როგორცაა: ფსოქოლოგია, სოციოლოგია, ურბანისტიკა, არქიტექტურა და სხვა. ტერმინები ურბანეკოლოგია და ადამიანის ეკოლოგია ერთი მნიშვნელობით იხმარება. იგი სწავლობს ინდივიდებისა და სოციალური ჯგუფების სოციალურ გარემოსთან ურთიერთობას. ამასთან, ეყრდნობა ადამიანის ჯგუფების კონკურენციას ტერიტორიული უპირატესობისათვის,

¹ Gottdiener, Mark. 1994. Op. Cit., pp. 101-116.


რომელიც იმითი გამოიხატება, რომ ინდივიდები და მათი ჯგუფები „იბრძვიან“ მათთვის სასურველი ტერიტორიის ანუ უბნის დასაკავებლად, გამოიმუშავენ გარკვეული ქცევის მექანიზმებს და ახდენენ ადაპტაციას იმ გარემოსთან. XX საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებით გაფართოვდა ეს მიდგომა, რომელიც იკვლევს ადამიანის მოღვაწეობისა და ქმედების გავლენას გარემოზე. ამასთან დაკავშირებით ეკოლოგიამ არა მარტო სოციალური, არამედ პოლიტიკური ხასიათი მიიღო.



წიგნის შემდგომ თავებში განხილულია აქ მოყვანილი მრავალი ცნება, ისევე როგორც ურბანსოციოლოგიის სხვა მრავალი მოვლენა და ასპექტი.

1 თავის საკითხავი ლიტერატურა:

- ❖ ე. კოდუა. „სოციოლოგიის შესავალი“, თბ., 1986.
- ❖ ე. ჯგერენია. „სოციოლოგიის განმარტება“, გვ. 5-21. გ. ცქიტიშვილი. *სოციოლოგიის კვლევის მეთოდები*. თსუ გამომცემლობა, 1998.
- ❖ შჩეპანსკი ი. სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები. თბ., „მეცნიერება“, 1996.
- ❖ Ахиезер А., Коган Л., Яницкий О. В сб. Урбанизация, общество и НТР. Вопросы философии. 1962, 2.



ურბანსოციოლოგიის
საწყისები

- ❖ ურბანსოციოლოგიის ევროპელი კლასიკოსები
 - ❖ მაქს ვებერი
 - ❖ გეორგ ზიმელი
 - ❖ პროტო-ურბანსოციოლოგები
 - ❖ ფერდინანდ ტიონისი
 - ❖ ჰენრი მაინი
 - ❖ ემილ ღურკჰეიმი
- ❖ ჩიკაგოს სკოლა
 - ❖ ურბანეკოლოგია: პარკი, ბარჯეუზი და მაკკენზი
 - ❖ ლუის ვირტი

❖ ურბანსოციოლოგიის ევროპელი კლასიკოსები

დასავლეთის საზოგადოების სწრაფმა ურბანიზაციამ XIX საუკუნის ბოლოსა და XX დასაწყისში მრავალი კრიტიკული შეკითხვა წამოაყენა, კერძოდ, რა არის რურალური და ურბანული ცხოვრების სტილის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი? როგორ არის, ან უნდა იყოს ორგანიზებული ქალაქური საზოგადოება? როგორ უნდა შევინარჩინოთ სოციალური წესრიგი ურბანულ საზოგადოებაში? რა საფუძვლები უდევს ინდივიდთა შორის და ინდივიდი-გარემოს ურთიერთობას ქალაქის სივრცეში? ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემის მცდელობებმა დასაბამი მისცა ურბანსოციოლოგიის საწყისებს. თავდაპირველად ამ სფეროში ევროპელი მეცნიერების მცდელობები და ნაშრომები გამოიკვეთა.

1900-იან წლებში მხოლოდ საფრანგეთსა და გერმანიას ჰყავდა პროფესიონალი სოციოლოგები, რომელთა შორის მაქს ვებერი (Max Weber) წამყვან სპეციალისტად იყო აღიარებული. გერმანიაში აგრეთვე მოღვაწეობდა არანაკლებ ცნობილი მეცნიერი გეორგ ზიმელი (George Simmel). ვებერმა და ზიმელმა პირველებმა გამოაქვეყნეს ნაშრომები ქალაქის განვითარების შესახებ. ფრიდრიხ ენგელსი, რომელიც ინგლისში მოღვაწეობდა, განიხილავდა ქალაქის განვითარების თეორიას, აანალიზებდა ინდუსტრიულიზმისა და კაპიტალიზმის გავლენას ქალაქის სივრცის განვითარებაზე. ამ მეცნიერთა მოღვაწეობამ საფუძველი ჩაუყარა ურბანსოციოლოგიას, როგორც ახალ დისციპლინას. მან ბიძგი მისცა ქალაქის განვითარების პროცესის ანალიზს სოციალური, კულტურული და ფსიქოლოგიური კუთხით არა მარტო ევროპაში, არამედ აშშ-შიც.

❖ მაქს ვებერი

მაქს ვებერის წვლილი ურბანსოციოლოგიის განვითარებაში მართლაც ფუნდამენტურია. იგი ქალაქს განიხილავდა როგორც იმ მოდელების ერთობლიობას, რომელთა განსაზღვრის ძირითად კრიტერიუმად სავაჭრო-კომერციული ურთიერთობები მიაჩნდა. მოდელი, რომელიც ვებერმა შემოგვთავაზა არის საბაზრო ეკონომიკის მოდელი, სადაც მოსახლეობა ერთმანეთზე ურთიერთდამოკიდებული. „ქალაქი

არის ბაზარი“¹ – ამბობდა იგი და ქალაქს განიხილავდა, როგორც ავტონომიურ ერთეულს, სავაჭრო ადგილს, სადაც ადგილობრივი მცხოვრებნი იკმაყოფილებენ თავიანთ ეკონომიკურ მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს თეორია გარკვეულად ყველა დროის ქალაქს შეესატყვისება, იგი ყველაზე მეტად ამართლებდა შუა საუკუნეების ქალაქებთან მიმართებაში, რადგან დღეს ქალაქი უკვე აღარ არის იზოლირებული ობიექტი, რომელიც იურიდიულად, პოლიტიკურად და თავდაცვის თვალსაზრისით ავტონომიურად შეიძლება აღვიქვათ გარე სამყაროსაგან. ვებერი განიხილავდა რაციონალიზაციას, როგორც თანამედროვე საზოგადოების განვითარების პროცესს.

მაქს ვებერი (1864-1920წწ.) მოუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად ეკონომიკის სფეროში მოღვაწეობდა, იგი მიჩნეულია თანამედროვე სოციოლოგიის ერთ-ერთ ძირითად ფუძემდებლად, ასევე დისციპლინათა შორისი მიდგომის მამამთავრად. წარმოშობით გერმანელი, იგი თავის მეუღლესთან ერთად, რომელიც ფემინისტი იყო, მიეკუთვნებოდა გერმანიის ინტელექტუალურ წრეს ვებერები რევულარულად მართავდნენ საკვირაო სემინარებს თავის სახლში. მაქს ვებერმა შეიმუშავა ფილოსოფიური მიდგომა სოციალური მეცნიერებებისადმი და სოციოლოგიის თეორიის კონცეპტუალური ჩარჩოები. მისი ფილოსოფია მიჯნავს რადიკალურ განსხვავებას „ფენომენს“, ანუ გარე სამყაროს შეცნობასა და „ნოუმენს“ – აღქმით შემცნებას შორის,

რომლის საფუძველია სხვაობა ბუნებრივ და სოციალურ მეცნიერებებს შორის. იმ დროს, როდესაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ჩვენ ვუბნობთ უნივერსალურ კანონებს, სოციალური მეცნიერებებისთვის ეს არ წარმოადგენს მიზანს, რადგან სოციალური ქმედებანი და ფორმები შეისწავლება და განიხილება კონკრეტულ კონტექსტში. თანამედროვე მეცნიერთა მხრიდან ვებერის იდეებისადმი მეტად სადავო მიდგომა არსებობს: ზოგი მას მიიჩნევს ფაშიზმის წინამორბედად, ზოგი კი ლიბერალად. მისი ნაშრომების დიდი რაოდენობიდან და მოცულობიდან ყველაზე მნიშვნელოვნად მიჩნეულია: „ეკონომიკა და საზოგადოება“, „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული“, „ზოგადი ეკონომიკის ისტორია“.

¹ Flanagan, William G. 1999. Urban Sociology; Images and Structures. Needham Height. Allyn & Bacon. p.49.

² Kuper, Adam, Jessica Kuper. (eds.) 1999. The Social Science Encyclopedia. London and New York; Routledge. p. 908.

ვებერის თეორია განვრცობილ იქნა გეორგ ზიმელის მიერ, მაგრამ თუ ვებერის მთავარი საკითხი უკავშირდებოდა ქალაქის ყველაზე ფართო, ზოგად მახასიათებლებს, ზიმელი იკვლევდა იმას, თუ რა გავლენა ჰქონდა ქალაქს ადამიანის აზროვნებასა და ქცევაზე. ზიმელმა განიხილა ის ტრანსფორმაცია საზოგადოებაში, რომელიც მოხდა ტრადიციული საზოგადოების ნათესაურ კავშირებზე დაფუძნებული ურთიერთობებიდან ინდუსტრიულ საზოგადოების (ქალაქის) არაპერსონალურ, სოციალურ კავშირებზე დამყარებულ ურთიერთობებზე გადასვლით და, რომელიც დაფუძნებულია ფულადი ეკონომიკის რაციონალურ მოგება-წაგების პრინციპებზე (სურათი 1).

ზიმელი ქალაქს უყურებდა, როგორც საზოგადოების ცვლილების მექანიზმს, როგორც გარემოს, რომელიც თანამედროვე ადამიანისაგან ითხოვს ადაპტაციას და საპასუხო რეაქციის სახით უბიძგებს ანონიმურობისაკენ, რაციონალურობისაკენ, ფულადი ურთიერთობებისაკენ, ტრადიციული საზოგადოების წესებისაგან გარკვეულად გათავისუფლებისა და დროის ჩარჩოებში მოქცევისაკენ. მას მიაჩნდა, რომ ქალაქური ცხოვრების ორი ძირითადი ფაქტორი განსაზღვრავდა ადამიანის ქცევას: ქალაქში ნერვული სტიმულების ინტენსივობა და საბაზრო ურთიერთობები. მისი თეორიით, ინდივიდში ნერვული სტიმულების მაღალი ინტენსივობის თავიდან აცილების თავდაცვითი მექანიზმი განაპირობებდა ადამიანთა „ინდივიდუალიზმს“, „იზოლაციას“ და ეს „ქალაქელობის“ დამახასიათებელ ნიშნად მიაჩნდა. ამიტომ პატარა ქალაქებში ზიმელი მეტ შესაძლებლობებს ხედავდა ემოციური ურთიერთობების გაღრმავებისათვის. ვიდრე დიდ ქალაქში, რაც უფრო მჭიდროა ფულადი ურთიერთობები, მით უფრო კლებულობს ემოციური ურთიერთობები და იზრდება ინდივიდსა და გარემოს შორის ურთიერთობის ზედაპირულობა. ჭეშმარიტი ქალაქელი რეაგირებს თავით და არა გულით, და ამ პრინციპით საბაზრო ურთიერთობები შერაცხული იქნა, როგორც სულიერი ურთიერთობების მტერი. ზიმელი ღირსეულად არის აღიარებული სოციალური ფსიქოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად.



სურათი 1. მაქს ვებერი.

გეორგ ზიმელი (1858-1918წწ.) თითქმის მთელი ცხოვრება ბერლინში გაატარა. იგი, წარმოშობით ებრაელი, დევნის გამო არარეგულარულად ატარებდა ლექციებს. ცხოვრების ბოლო წლები სტრასბურგში გაატარა ამ მეტად ნიჭიერმა ხელოვანმა, მეცნიერმა და ინტელექტუალმა მოღვაწეობის შეჯამება და სისტემატიზაცია კუმპარტად თავისი სოციოლოგიის მანძილზე მან 25 წიგნსა და 300 ესეში შექმნა. მისი მიდგომა და სტილი განსხვავდება სხვა კლასიკოსი სოციოლოგებისაგან თავისი ფრაგმენტულობით. მისი თემატიკა მოიცავს ხელოვნებას, კულტურას, რელიგიას, ფულს, ურბანულს, სიყვარულს, მორალს და გამოიჩინა დეტალისადმი ყურადღებით. დეტალი და ფრაგმენტულობა მისი

მიდგომის საფუძველია. ზიმელის მოღვაწეობამ ყველაზე ძლიერი გავლენა ჩრდილოეთ ამერიკის სოციოლოგიაზე მოახდინა, კერძოდ, რომერტ პარკისა და ჩიკაგოს სკოლის სხვა წარმომადგენლებზე მისი მოღვაწეობა დღემდე მეცნიერთა შესწავლის საგანია და მრავალი მას აღიქვამს, როგორც პოსტ-მოდერნიზმის წანამორბედს. ამავე დროს, მას უკავშირებენ იმპრესიონიზმს, თავისი მუდმივი მცდელობით შექმნას ახალი ფორმა და მიდგომა, რომელიც ახლოა ცხოვრების ყველდღიურ გამოცდილებასთან. ზიმელის ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია მოკლე ესეები: „უცნობი“ და „მეტროპოლისი და მენტალური ცხოვრება“.

❖ პროტო-ურბანსოციოლოგები

ქალაქის პრობლემატიკის სოციალური კუთხით განხილვისათვის მნიშვნელოვანია ამ პერიოდის კიდევ სამი ევროპელი მეცნიერის მოღვაწეობის განხილვა, რომელთაც პროტო-ურბანსოციოლოგებს უწოდებენ. ესენია: ფერდინანდ ტიონისი (Ferdinand Tonnis), ჰენრი მაინი (Henry Maine) და ემილ დურკჰეიმი (Emil Durkheim), რომელთაც თუმცა სხვადასხვანაირად, მაგრამ სცადეს განეხილათ ურბანული და რურალური პროცესების ფუნდამენტური სხვაობა.

❖ ფერდინანდ ტიონისი

ქალაქსა და სოფელს შორის ძირეული განსხვავებების ფენომენის ასახსნელად ფერდინანდ ტიონისმა გერმანული ენიდან სოციალურ მეცნიერებაში შემოიტანა ორი ახალი ტერმინი, რომელიც ფართო ხმარებაში შევიდა: Gemeinschaft და Gesellschaft.⁴ Gemeinschaft აღნი-

⁴ Marshall, Gordon, (eds.) 1994 Dictionary of sociology. Oxford, NY; Oxford University Press. p. 601.

შნავს რურალური თემის კარჩაკეტილ ცხოვრებას და მასთან დაკავშირებულ სოციალურ ინტეგრაციას, რომელშიც ადამიანი არის სოციალური ერთეულის კომპონენტი. Gesellschaft კი ითარგმნება როგორც ურბანული თემი — საზოგადოება და აღნიშნავს საზოგადოებრივ ცხოვრებას ყოველგვარი შეზღუდული კავშირების გარეშე.

სოფლის საზოგადოებაში ურთიერთობები ეყრდნობა ნათესაობას, ოჯახს, თემს, ტრადიციას, მკაცრად და ვიწროდ განსაზღვრულ სოციალურ ნორმებს, ქალაქის საზოგადოებაში კი დამოუკიდებლობასა და არჩევანის თავისუფლებას. ანუ სხვაგვარად, Gesellschaft ასოცირდება ურბანულ ცხოვრებასთან, ხოლო Gemeinschaft რურალურ ცხოვრებასთან, და Gesellschaft-ის განვითარებამ საფრთხე შეუქმნა იმ პრინციპებს, რომელიც Gemeinschaft-ის ტიპის საზოგადოებას ელო საფუძვლად. რურალური საზოგადოების სოციალური კონტროლი აღქმულ იქნა, როგორც საზოგადოებრივი წესრიგის საფუძველი, მაშინ, როდესაც ურბანული საზოგადოება დადანაშაულებულ იქნა ამგვარი სოციალური კონტროლის არარსებობასა თუ სისუსტეში.

თემის (community) ცნება ეფუძნება იმ ინდივიდთა სოციალურ ურთიერთობას, რომელთაც აქვთ საერთო მიკუთვნების შეგრძნება. ეს უმეტეს შემთხვევაში ტერიტორიული პრინციპით გამოჩატული სოლიდარობაა. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის სოციოლოგიაში ძირითადი თემა, თემისავე დევრადაცია იყო, რადგან ურბანიზაციის ზრდამ მოიტანა ინდივიდის დამოუკიდებლობა თემისაგან და მოამზადა კოლექტიური ცნობიერების რღვევა, რომელიც რურალური საზოგადოებისთვის იყო დამახასიათებელი. ამ თემამ ყველაზე ძლიერ-

ად გაიფლერა ფერდინანდ ტიონის ნაშრომში *GemeinSchaft und Gesellschaft*, სადაც მან ერთმანეთს დაუპირისპირა სოლიდარობის ტიპი და სოციალურ ურთიერთობათა სქემა ამ ორ საზოგადოებაში. ტერმინი „თემი“ ქალაქის თეორიაში იხმარება უბნის, სამეზობლოსა თუ სხვა ერთობასთან მიმართებაში. ქალაქს ხშირად განიხილავენ, როგორც ასეთი, თემების კრებულს, რომელთა მიმართება დინამიკურია ურბანულ საზოგადოებაში. დღეს, საქართველოში მზარდი ურბანული და რურალური პრობლემების გადასაჭრელად

⁴ Flanagan, William G. 1999. Op. Cit., p. 45.

ერთ-ერთ იარაღად სწორედ თემთა მობილიზაციას მიიჩნევენ დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციები. იგი გულისხმობს ინდივიდთა და მათი ჯგუფების ინტერესთა მიმართვას არსებული ადამიანური, ფიზიკური და ფი-

ნანსური რესურსების გაერთიანებისაკენ რეალური პრობლემის გადასაჭრელად და ზოგადად განვითარებისაკენ. მრავალ ქვეყანაში თემთა მობილიზაცია ურბანული პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

სოციალური კონტროლი — წარმოადგენს სოციალურ პროცესს, რომელიც არეგულირებს ინდივიდთა და მათი ჯგუფების ქცევას და მიმართებას კანკრეტულ გარემოსთან. იგი უკავშირდება სოციალურ მეცნიერებაში სოციალიზაციის, მართვისა და კულტურულ ფენომენს. სოციალური კონტროლის ცნება სოციოლოგიაში შემოვიდა XX საუკუნის დასაწყისში და რურალური და ურბანული საზოგადოების დაპირისპირების შედეგად. ჩიკაგოს სკოლა, ძირითადად, პარკი და ბარჯეზი აღიარებდნენ, რომ ქალაქურ სივრცესთან მიმართებაში ყველა სოციალუ-

რი პრობლემა სოციალური კონკროლის სტატუსს უკავშირდება, რადგან სწორედ იგი მიმართავს სივრცეში სოციალურ პროცესებს და განაპირობებს სოციალური ინსტიტუტების მართვას. სოციალურ კონტროლს დიდი მნიშვნელობა აქვს ინდივიდი-გარემოს ურთიერთქმედების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში. ცნობილია, რომ სოციალური კონტროლის მექანიზმის ეფექტურობა პირდაპირკავშირშია გარემოს დაცულობასთან, სისუფთავესთან, ვანდალიზმებისა და დანაშაულებათა რიცხვის შემცირებასთან.

❖ ჰენრი მაინი

ტიონისის თეორია მჭიდროდ უკავშირდება გერმანელი ფილოსოფოსის ჰენრი მაინის თეორიას და მის ცნობილ ნაშრომს „უძველესი კანონი“, (1887წ.), რომლის მიხედვითაც რურალურიდან ურბანულ წყობაზე გადასვლისას იცვლება ინდივიდის და სახელმწიფოს ურთიერთობის პრინციპი და კანონთან დამოკიდებულება. სოფელში, ანუ რურალურ საზოგადოებაში, კანონი ეხება ოჯახის უფროსს, რომელიც პასუხისმგებელია ოჯახის წევრებისა და მოსამსახურეების მართვასა და ქცევაზე, ანუ საქმე გვაქვს ჯგუფურ პასუხისმგებლობასთან. ურბანულ საზოგადოებაში კი საკანონმდებლო სისტემის წი-

ნაშე ყოველი ინდივიდი აგებს პასუხს და იხვეწება ინდივიდუალური, ანუ პირადი პასუხსმგებლობა. ამ პროცესს მაინმა უწოდა „სტატუსის“ ენის შეცვლა „კონტრაქტის“ ენით, და სახელმწიფო კანონის მიხედვით ჯგუფური სოციალური კონტროლი შეცვალა დასჯის მეთოდით.

❖ ემილ დურკჰეიმი

ემილ დურკჰეიმი (1858-1918წწ.) — ამ პერიოდის ყველაზე გამოჩენილი ფრანგი სოციოლოგია. იგი ცნობილია როგორც ფუნქციონალიზმის ფუძემდებელი, მაგრამ ყველაზე ხშირად მისი შეხედულებებით სტრუქტურალისტები, სოციოლინგვისტები და პოსტ-მოდერნიზმები ხელმძღვანელობენ. წარმოშობით ებრაელმა, განათლება საფრანგეთში მიიღო ფილოსოფიის დარგში. მალევე გადაერთო სოციალურ მეცნიერებებში და 1890-იანი წლების ბოლოს დააარსა *L'Année Sociologique* — ყველაზე პრესტიჟული სოციოლოგიური ყურნალი საფრანგეთში, რომელიც

მის სიკვდილამდე გამოდიოდა. დურკჰეიმის კარიერა ბრწყინვალე იყო არა მარტო როგორც მკვლევრის, არამედ როგორც პედაგოგის, მაგრამ ანტიისემიტური მოძრაობისა და მისი თეორიის სადავოობის გამო მისი აღიარება გვიან მოხდა. მისი ნაშრომები დღემდე იბეჭდება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. მის ძირითად ნაშრომებს მიეკუთვნება „რელიგიური ცხოვრების ელემენტარული ფორმები“, „შრომის განაწილება საზოგადოებაში“, „სოციოლოგიური მეთოდის კანონები“.

ემილ დურკჰეიმი ეძებდა ურბანული საზოგადოების წყობის საწყისს ბუნებრივი ეკოლოგიის პრინციპებში. იგი ყურადღებას ამახვილებდა რურალურ და ურბანულ საზოგადოებებში სოლიდარობის პრონციპის სხვაობაზე, ანუ „მექანიკურ სოლიდარობაზე“ და „ორგანულ სოლიდარობაზე“. მექანიკური სოლიდარობის ძირითადი მექანიზმია სოციალური ინტეგრაცია მცირე ზომის რურალურ საზოგადოებაში — სოფელში, ერთმნიშვნელოვანი რელიგიური პრინციპებით და მინიმალური შრომის დანაწილებით. ასეთ საზოგადოებაში მოქმედებს კოლექტიური ცნობიერება და მექანიკური სოლიდარობა. დურკჰეიმმა აღნიშნა, რომ

გამოცდილებათა და იდეათა მრავალფეროვნება, რომელიც ქალაქისთვისაა დამახასიათებელი, რეალურ საფრთხეს უქმნის მექანიკურ სოლიდარობას.¹ მან ჩარლზ დარვინის თეორიასა და ბუნებრივ ეკოლოგიას მიმართა იმის ასახსნელად, თუ როგორ მიდიოდა საზოგადოება ბუნებრივი პროგრესით საზოგადოების უფრო რთული ფორმებისაკენ. მან ქალაქში არსებულ სოლიდარობის ფორმას ორგანული უწოდა იმ მოსაზრებით, რომ შრომის განაწილების შედეგად საზოგადოების ყოველი ნაწილი ურთიერთდამოკიდებული გახდა, ისევე, როგორც ორგანოებია ურთიერთდამოკიდებული ადამიანის სხეულში. ე.ი. ორგანული სოლიდარობა აღნიშნავს ნაწილების ურთიერთდამოკიდებულებას მთლიანობაზე, და ინდივიდუალურ ცნობიერებას ეყრდნობა.

კოლექტიური ცნობიერება — დღეს ამ ტერმინის დაახლოებით 100-მდე განმარტება არსებობს. ღურკპეიძის მიერ განსაზღვრულ იქნა როგორც რწმენათა და ცნებათა კრებული, რომელიც საერთოა საზოგადოების საშუალო წევრისთვის. ასეთი ცნობიერება ყველაზე ძლიერია მექანიკური სოლიდარობის პრინციპის პირობებში. სადაც იგი აკონკრეტებს ადამიანის შემეცნებას და ქცევას რელიგიური და ტრადი-

ციული ზერხებით, კოლექტიური ცნობიერება საზოგადოების წარმოდგენებს აყენებს ინდივიდუალურზე უპირატესად. განვითარებულ საზოგადოებაში საზოგადოებრივ ცნობიერებას საფუძვლად უდევს არა კოლექტიური, არამედ უფრო დიფერენცირებული ინდივიდუალური შემეცნება, რომელიც კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე, გარკვეულ მორალურ ნორმებშია მოქცეული.

თუმცა ღურკპეიძე გამოკვეთდა ურბანული საზოგადოების დადებით მხარეებსა და ურბანიზაციას, როგორც საზოგადოებრივ პროგრესს, იგი წუხდა მრავალ ისეთ ურბანულ ფაქტორზე, როგორიცაა: არარეგულირებული კონკურენცია, კლასობრივი კონფლიქტი, ინდუსტრიული ურთიერთობების ნორმათა არარსებობა. მეორე მხრივ, მას სჯეროდა, რომ ქალაქში წარმოშობილ კონფლიქტთა მიზეზი იყო სწრაფი და არასრულყოფილი გადასვლა ერთი მორალური წესრიგიდან მეორეზე და, რომ ღრო და განვითარების პროცესი საბოლოოდ მოიტან-

¹Shanon, Thomas, Nancy Kleniewski, William Cross. 1997. Urban problems in sociological perspective. Prospect Heights; Waveland press.

და თანასწორუფლებიანობასა და თანაბარ შესაძლებლობებს მოქალაქეთათვის. სწორედ ასეთი პოზიტიური დამოკიდებულების გამო, რომელიც განსხვავდებოდა სხვა მეცნიერთა დამოკიდებულებისაგან, ურბანიზაციის პროცესისადმი მაინს, ტიონისსა და დურკჰიმს პროტო-ურბანისტები უწოდეს (ცხრილი 1).

ცხრილი 1 პიონერი ურბანისოციოლოგების თეორიის ძირითადი კომპონენტები

	რურალური გარემო	ურბანული გარემო
ტიონისი	- Gemeinschaft	- Gesellschaft
პენრი მაინი	- ერთობლივი ძალისხმევა და შრომა	- კომერციული ინდივიდუალიზმი
ემილ დურკჰემი	- სტატუსი	- კონტრაქტი
მაქს ვებერი	- ოჯახის ღირსება	- ოფიციალური ინდივიდუალური პასუხისმგებლობა
გეორგ ზიმელი	- მექანიკური სოლიდარობა	- ორგანული სოლიდარობა
	- ჩვეული გამოცდილება და კოლექტიური ცნობიერება	- შრომის დანაწილება და ფუნქციონირების დამოუკიდებლობა
		- ქალაქი, როგორც პაზარი
		- ქალაქში არსებული მატალი
		- სტიმულებით განსაზღვრული მენტალური ცხოვრება
		- ფულადი ურთიერთობები

❖ ჩიკაგოს სკოლა

სახელწოდება — ჩიკაგოს სკოლა ასოცირებულია ჩიკაგოს უნივერსიტეტთან, რომელიც XX საუკუნის დასაწყისიდან მრავალი ათწლეულის მანძილზე ლიდერობდა აშშ-ს სოციოლოგიაში. სწორედ აქ გაიხსნა აშშ-ში პირველი სოციოლოგიის ფაკულტეტი, 1895 წელს გამოვიდა პირველი სოციოლოგიური ეურნალი American Journal of Sociology, 1905 წელს დაარსდა პირველი სოციოლოგიური ასოციაცია და 1921 წელს გამოიცა პირველი სახელმძღვანელო სოციოლოგიაში — „სოციალური მეცნიერების შესავალი“.¹

¹ Marshall, Gordon, (eds.) 1994. Op. Cit., p. 67.

1900-იან წლებისათვის აშშ-ს ქალაქებში უკვე საოცარი სისწრაფისა და მასშტაბის ურბანიზაცია მიმდინარეობდა. ამერიკელ მეცნიერთა და განსაკუთრებით ჩიკაგოს სკოლის ინტერესი ქალაქში მიმდინარე პროცესებისადმი იზრდებოდა და დასაბამი მისცა იმ შესანიშნავ სამეცნიერო კვლევებსა და თეორიას, რომელიც ჩიკაგოს უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა და რომელიც ურბანისოციოლოგიას, როგორც სოციოლოგიის სრულყოფილ განხრას, მისცა დასაბამი. ამ პერიოდში ჩიკაგოს სოციოლოგიის ფაკულტეტს ხელმძღვანელობდა მისივე დამაარსებელი ალბიონ სმოლი (Albion Small), მაგრამ წამყვანი როლი მიმდინარე პროცესებში მაინც ყოფილ ჟურნალისტს რობერტ პარკს (Robert Park) მიეკუთვნებოდა. სმოლსა და პარკს გერმანიაში ჰქონდა განათლება მიღებული მათს ვებერთან, ანუ მათ თეორიას უთუოდ ჰქონდა გერმანული სკოლის გავლენა. თამამად შეიძლება ითქვას რომ, აშშ-ს ურბანისოციოლოგიის საწყისები ეყრდნობოდა გეორგ ზიმელის თეორიას, რომელიც პარკმა და სმოლმა შეითვისეს გერმანიაში და შემდგომ დაანერგეს აშშ-ში. მიუხედავად ამისა, მაშინ, როდესაც ვებერი და ზიმელი უყურებდნენ ქალაქს, როგორც კაპიტალიზმის ძალების მოქმედების სცენას, ამერიკელმა ურბანისტებმა ყურადღება გაამახვილეს ქალაქური ცხოვრების კონცეპტუალიზაციაზე ბიოლოგიური კუთხით. მათთვის ურბანული ანალიზი ადამიანის ეკოლოგიის ნაწილია და სწავლობს ადამიანთა ჯგუფების გარემოსთან შეკუების პროცესს. ეკონომიკური კონკურენცია მათ განიხილეს არა როგორც ურბანიზაციის შედეგი, არამედ როგორც გადარჩენისათვის ბრძოლის ნაყოფი ქალაქის სივრცეში. ჩიკაგოს სოციოლოგიური სკოლის ყურადღების ცენტრი ქალაქი და მასში ქცევის მოდელების ფორმირების პროცესი გახდა. ჩიკაგოს სკოლის უდიდესი დამსახურება მდგომარეობს ემპირიული კვლევებისა და საველე დაკვირვების, როგორც მეთოდის შემოტანაში სოციალურ მეცნიერებების თეორიასა და პრაქტიკაში. 20-იან წლებში ჩიკაგოს სკოლის ეგვიდით უკვე რამდენიმე ცდა იყო განზორციელებული ქალაქში მიმდინარე პროცესების ხასიათის განსაზღვრისა და ქალაქის მოსახლეობის მონიტორინგისა სოციალური კვლევის მეშვეობით.

რობერტ პარკი ურჩევდა თავის სტუდენტებს წასულიყვნენ და დამსხდარიყვნენ ქუჩებში, ძვირიანი სასტუმროების კიბეებზე, ღარიბთა უბნებში და ეწარმოებინათ ხანგრძლივი დაკვირვებები მიმდინარე პროცესებსა და მათ სპეციფიკაზე. ჩიკაგოს სკოლის გუნდმა პირველმა შემოიღო „case studies“, ანუ ინდივიდუალური შემთხვევის ანალიზის მეთოდიც ისევე, როგორც სტატისტიკური ანალიზი.

რობერტ პარკი (1864-1944წწ.) — ჩიკაგოს სკოლის წამყვანი და ყველაზე გამოჩენილი ლიდერი და ურბანეკოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი ფუძემდებელია. იგი პროფესიით გაზეთის ურნალისტი იყო და სოციოლოგიაში მოკვიანებით გადაერთო ქალაქებში მიმდინარე პროცესებით დაინტერესების შედეგად მას სწამდა, რომ ქალაქზე წერასა და მის კვლევას არა ურბანისტიკური, არამედ მეცნიერული მიდგომა სჭირდებოდა. 1899 წელს იგი ბერლინში გაემგზავრა, სადაც გეორგ ზიმელთან სწავლობდა სოციოლოგიას, შემდგომ კი ჩიკ-

აგოს სკოლას მიაშურა და პედ-აგოგის კარიერას მიჰყო ხელი. მან გეორგ ზიმელის ნაშრომები ამერიკელ მეცნიერთა წრეს გააცნო, და შემდგომ რობერტ პარჯეზთან ერთად გამოუშვა სოციოლოგიის პირველი სახელმძღვანელო „სოციოლოგიური მეცნიერების შესავალი“. მისი ყველაზე ცნობილი ნაშრომებია „ადამიანთა თემები“ და ბარჯეზთან და მაკენზისთან თანაავტორობით გამოცემული მონოგრაფია „ქალაქი“¹.

ჩიკაგოს სკოლის მეცნიერული მიდგომის მიხედვით, ქალაქის სოციალური ორგანიზაცია არსებობისათვის ბრძოლის შედეგია. პარკმა გამოყო ქალაქური ცხოვრების ორი მხარე: ბიოლოგიური და კულტურული. მან გამოკვეთა, რომ ქალაქში სოციალური ურთიერთობების საფუძველია კონკურენცია, რადგან შრომის დანაწილების გამო ადამიანთა ცხოვრება ურთიერთდამოკიდებული ხდება და დაუგეგმავი ურთიერთობა და თანამშრომლობა ძალაუხებურად ბაღებს კონკურენციას. პარკის მიხედვით, თემის ან უბნის ცხოვრება ორგანიზებულია მორალური წესრიგის გარშემო, რომელიც განსაზღვრავს სიმბოლურ კავშირებს, ქალაქი

¹ Gottdiener, Mark. 1994. Op. Cit., p.55

კი. რომელიც შედეგება ასეთი უბნებისაგან, ორგანიზებულია მათ შორის კონკურენციისა და ფუნქციური დიფერენციაციის საფუძველზე ბიოლოგიური ფაქტორები პარკისათვის მნიშვნელოვანია ქალაქის სოციალური ორგანიზაციის სტრუქტურაში და მის გვიანდელ შრომებში ურბანიზაციის კომპლექსურ ანალიზში ბიოლოგიურმა საკითხმა, როგორც ქალაქის ეკოლოგიის საფუძველმა, აშკარად გადაწონა კულტურულ საკითხთან შედარებით. ამ მიდგომას სხვაგვარად სოციალური დარვინიზმი უწოდეს და პარკი მრავალჯერ იქნა გაკრიტიკებული თავის თეორიაში ბიოლოგიური ფაქტორების როლის გაზრდისა და კულტურული ფაქტორების როლის დაკნინებისათვის ქალაქისფორმირების პროცესში.

პარკის თეორიამ განავრცო ახალი იდეები სივრცის სხვადასხვა მახასიათებლების მიერ სოციალურ გამოცდილებასა და ორგანიზაციაზე გავლენის შესახებ. იგი დაინტერესებული იყო ქალაქის სტრუქტურის კვლევით და მიწასთან სოციალური ჯგუფების მიმართებით, ასევე იკვლევდა ადამიანის ადაპტაციას (შეგუებას) ქალაქის სივრცესთან და მოუწოდებდა სხვა მეცნიერებს ქალაქელთა ქცევის მოდელები შეესწავლათ. სწორედ ეს მიდგომა დაედო საფუძვლად ურბანსოციოლოგიის ქალაქის ეკოლოგიად, ანუ ურბანეკოლოგიად წოდებული სკოლის თეორიას, რომელიც ადამიანისა და ქალაქური გარემოს ურთიერთობას სწავლობს და აღიარებს, რომ ფიზიკური გარემო განსაზღვრავს ადამიანის ქცევას. ურბანეკოლოგიამ ქალაქის უბნები განიხილა „ბუნებრივ ადგილებად“¹, ამ ადგილების სივრცითი დაყოფა და განლაგება ქალაქის ერთიან სივრცეში კი, როგორც შრომის გადანაწილების შედეგი. ასეთი ბუნებრივი ტერიტორიებია: ქალაქის ცენტრალური საქმიანი უბანი, საცხოვრებელი უბნები, საწარმოო ზონა, გეტოს უბნები, ბოჰემის უბნები და სხვა. მათი ბუნებრიობა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი იმ ეკოლოგიური ძალების პროდუქტია, რომელიც მოსახლეობას ქალაქის სივრცეში ფუნქციურად ანაწილებს. საუკეთესო ადგილებს მდიდრები ეუფლებიან, დანარჩენს სხვა ფენები ინაწილებენ შემოსავლისა და სხვა სტატუსის მიხედვით. ყოველი ტერიტორია თავისებური „მორალური კოდექსით“

¹ Flanagan, William G. 1999. Op. Cit., p. 105-110.


ხასითდება, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს შეესაბამება. ასეთი სეგრეგაცია ქალაქს გარკვეულად მოზაიკურს ხდის. ქალაქის ეკოლოგია აღიარებს, რომ თუმცა ქალაქი მეტ-ნაკლებად მართვადი სოციალურ წესრიგების ჯგაფია, ეს არეალები არ არის სტაბილური და ინდივიდები ძალიან ხშირად კვეთავენ მის საზღვრებს — გადადიან ერთი არეალიდან მეორეში და ერგებიან იმ მორალურ კოდექსს, რომელიც ამ კონკრეტულ გარემოშია მიღებული. პარკის თეორიამ დასაბამი მისცა ურბანიზმის, ანუ ქალაქური კულტურის მეცნიერულ შესწავლას.

ჩიკაგოს სკოლის მეორე გამოჩენილმა წარმომადგენელმა როდერიკ მაკენზიმ (Roderick McKenzie) პარკის სოციალური დარვინიზმის თეორია უფრო სივრცით კატეგორიაში გადათარმნა. მისი თეორიის მიხედვით, არსებობისათვის ბრძოლის ხარისხის მაჩვენებელი ინდივიდთა მიერ ქალაქის სივრცეში მოპოვებული ადგილია, "ანუ კონკურენცია სივრცით კომპოზიციაში გამოვლინდება. მაკენზის აზრით, მიწის გამოყენების ფორმა არის ეკონომიკური კონკურენციისა და შრომის დანაწილების ნაყოფი.

ერნესტ ბარჯესმა (Ernest Burgess) (სურათი 2), რომელიც პარკისა და მაკენზის გუნდს მიეკუთვნება, 1920-იან წლებში განავითარა ქალაქის ზრდის თეორია სოციალურ დარვინიზმზე დაყრდნობით. მისი აზრით, ქალაქი იზრდება მოსახლეობის კონკურენციის საფუძველზე: ქალაქის ცენტრიდან განიდევენება სუსტი ერთეულები და მათი საქმიანობა გაედინება პერიფერიისაკენ, სადაც კონკურენცია დაბალია. შემდგომ, მრავალი ასეთი ერთეულის თავმოყრის შედეგად, პერიფერიაზეც კონკურენცია მაღლა იწევს, გარეთა საზღვრებისაკენ განდევნის სუსტ ერთეულებს და ამგვარად, ქალაქის საზღვარი სულ უფრო და უფრო შორდება ცენტრს. ასე განისაზღვრა ეკოლოგიური თეორიის მიხედვით, სივრცის წარმოშობა და სოციალური ორგანიზაცია, რაც კონცენტრირებული ზონების მოდელში აისახა! (სქემა 2, ცხრილი 2).

⁹ Shanon, Thomas, Nancy Kleniewski, William Cross. 1997. Op. Cit., p.11.

სქემა 2. ბარჯეზის კონცენტრირებული ზონების მოდელი



ცხრილი 2. ბარჯეზის კონცენტრირებული ზონების მოდელი.

1 ზონა	კომერციული ცენტრი, სადაც ბანკები, მაღაზიები და ოფისებია განლაგებული.
2 ზონა	გარდამავალი, განლაგებული კომერციული ცენტრის ირგვლივ. მოიცავს ყველაზე ძველ საცხოვრებლებს და ცენტრის მიერ ამ ზონის თანდათანობითი შეწოვა მიმდინარეობს. ამ ტერიტორიაზე განსაკუთრებით მაღალია კრიმინოგენული მონაცემები და პროსტიტუცია. აქ ცხოვრობენ ყველაზე ღარიბები.
3 ზონა	მუშათა კლასის საცხოვრებელი ტერიტორია.
4 ზონა	შედარებით მაღალი ხარისხის საცხოვრებელი უბანი.
5 ზონა	კომპიუტერების საცხოვრებელი ტერიტორია განაშენიანებული ერთბინიანი სახლებით.

აღსანიშნავია, რომ ეს საინტერესო და იმ დროისათვის პროგრესული მოდელი ჩიკაგოს მაგალითზე იქნა აგებული და არ შეესაბამება სხვა ქალაქებს. დროთა განმავლობაში ბარჯეზის მოდელი ზედმეტ სიმარტივეში დაადანაშაულეს. მისი ძირითადი ოპონენტი იყო ჰაიტი, რომელმაც რგოლური მოდელის საწინააღმდეგოდ თქვა, რომ ქალაქის ზონირება სექტორული ხასიათისაა და თითოეული ზონა ზრდისათვის გარკვეულ „საკომუნიკაციო კორიდორს“ პოულობს. სამწუხაროდ, არც ეს მოდელი უდგება ყველა ქალაქს, მაგრამ მათი დამსახურება მდგომარეობს ქალაქის ზრდის განზოგადოებული მოდელის ძიების წამოწყებაში, რომელმაც ურბანისტული აზროვნება წინ წასწია. შემდგომში მრავალი სხვა მოდელი იქნა დამუშავებული ურბანისტთა მიერ, მაგრამ ერთიანი მოდელის შემუშავება მცდარი აღ-

მოჩნდა — ქალაქი არასოდეს იღებს ტიპურ კონფიგურაციას, არამედ მრავალი ფაქტორის გავლენით ინდივიდუალურად ვითარდება. ურბანეკოლოგებმა შემდგომში თავად აღიარეს ეს ფაქტი და არაერთი სხვა მეთოდოლოგია სცადეს ურბანული გარემოს სოციალურ-სივრცითი კომპოზიციის ასახსნელად.

❖ ლუის ვირტი

ჩიკაგოს სკოლის ყველაზე ცნობილ წარმომადგენლად სოციოლოგი ლუის ვირტი (Louis Wirth) გვევლინება, რომელმაც განსხვავებული მიდგომა ჩამოაყალიბა ქალაქის თეორიაში (სურათი 3). თუ სხვა ეკოლოგები სივრცით ფორმებს განიხილავდნენ როგორც გადაარჩენისათვის ბრძოლით ნაკარნახები სოციალური პროცესებიდან გამომდინარე ფენომენს, და ქალაქი მათთვის ასეთი სოციალური ფორმების „კონტენერი“ იყო, ვირტს აინტერესებდა ის, თუ როგორ ქმნიდა თვით ქალაქი ქცევის მოდელს — ქალაქური ცხოვრების სტილსა და კულტურას. 1938 წელს ვირტის მიერ დაწერილ ურბან-სოციოლოგიის ერთ-ერთ ძირითად ნაშრომში — „ურბანიზმი, როგორც ცხოვრების წესი“ ვირტმა აღიარა ვებერისა და პარკის დამსახურება, მაგრამ აღნიშნა, რომ მათი თეორია განიხილავდა ქალაქის სოციოლოგიის მხოლოდ ცალკეულ საკითხს და ვერ სწვდებოდა ქალაქის სოციოლოგიის სრული ჩარჩოების განსაზღვრას. მან პირველმა სრულყოფილად განსაზღვრა ურბანიზმი, როგორც ქალაქური ფორმის სოციალური შედეგების კრებული. „ურბანიზმი“, ანუ ქალაქური ცხოვრების სტილი მისმა თეორიამ წარმოადგინა, როგორც ახალი ცვლადი ქალაქის თეორიაში.

ლუის ვირტი (1897-1952წწ.) — ჩიკაგოს სკოლის ყველაზე გამოჩენილი მოღვაწე დაიბადა გერმანიაში, სწავლობდა აშშ-ში, სადაც იგი 30-იან წლებში გახდა ჩიკაგოს სკოლის წამყვანი ფიგურა.

მისი სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც 1952 წელს გამოქვეყნდა „გეტოს“ სახელწოდებით, ეხებოდა ქალაქური ცხოვრების უმცირესობათა ჯგუფების ქცევასა და მასობრივ საშუალებ-

ბებს. მისი ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია „ურბანიზმი, როგორც ცხოვრების წესი“. გარდა ამისა, ვირტი ჭეშმარიტად მაღალხარისხოვანი ურბანული კვლევის, პიონერია. ეს კვლევები გამყარებული

იყო სტატისტიკური მონაცემების შეგროვებითა და გამოყენებით. მან პირველმა შემოიღო ურბანული კვლევის ის ფორმა, როგორც მას დღესდღეობით გააჩნია.

ვირტის თეორია ურბანიზმის შესახებ სამ ძირითად კომპონენტს დაეყრდნო: მოსახლეობის რაოდენობას, მოსახლეობის მაღალ სიმჭიდროვესა და მოსახლეობის ჰეტეროგენულობას. ვირტის აზრით რაც უფრო მაღალია ამ სამი ურბანული ატრიბუტის ხარისხი, მით უფრო მაღალია ჭეშმარიტად ქალაქური კულტურის ჩამოყალიბების ალბათობა. ამ სამი კრიტერიუმით ვირტი ცდილობდა განესაზღვრა, თუ „რამდენად ურბანიზებულია ეს კონკრეტული გარემო“¹, მაგრამ პასუხი მხოლოდ შედარებითი იყო — მეტად ან ნაკლებად ურბანიზებული. ქვემოთ მოყვანილია ამ კომპონენტთა მნიშვნელობისა და ურთიერთდამოკიდებულების ვირტისეული განსაზღვრება (ცხრილი 3).

ვირტის თეორია საკმაოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო 1930-იან წლებში, რადგან მას გააჩნდა პროცესთა წინასწარ განსაზღვრის პოტენცია. მიუხედავად ამისა, ეს თეორია შემდგომში მრავალჯერ იქნა გაკრიტიკებული, ძირითადად იმისათვის, რომ სამი ძირითადი მახასიათებლის მონაცემები ვერ განსაზღვრავდა ქალაქური კულტურისა და ნიშნების ხარისხს.

ცხრილი 3. ურბანიზებულიობის თეორია ვირტის მიხედვით.

რაოდენობა	რაც უფრო მაღალია მოსახლეობის რიცხვი, მით მეტია ალბათობა მოსახლეობის მრავალფეროვნებისა ანუ ჰეტეროგენულობისა. ეს, თავის მხრივ, ზრდის სეგრეგაციას მოსახლეობის ჯგუფებს შორის და ასეთ წყობაში რურალური სოლიდარობის პრინციპი იცვლება კონკურენციისა და კონტროლის ოფიციალური მექანიზმების პრინციპით.
სიმჭიდროვე	როდესაც იზრდება მოსახლეობის რაოდენობა, იზრდება მოსახლეობის

¹ Gottdiener, Mark. 1994. Op. Cit., p.56-57.



სურათი 2. ერნესტ ბარჯეზი.

	<p>პეტეროგენულობა, შრომის დანაწილება და სპეციალიზაცია, აქედან გამომდინარე კი, იცვლება სიმჭიდროვის კონფიგურაციები. ქალაქის ტერიტორიები იყოფა სეგრეგირებულ ზონებად, რომელთა საზღვარსაც ინდივიდუბი სისტემატურად კვეთენ. შესაბამისად, იზრდება ტოლერანტობა განსხვავებულობისა და პეტეროგენულობის მიმართ.</p>
<p>პეტროგენულობა</p>	<p>ურბანულ გარემოში ინდივიდი ყოველდღიურად კონტაქტში მრავალფეროვან მოსახლეობასთან, რაც ქმნის ინტერესთა და ორიენტაციის მრავალფეროვნების განზარების საშუალებას. შესაბამისად, ეს იძლევა არჩევანის თავისუფლებას. ქალაქის ბინადარი განმარტოვებულია კონკურენციაში მყოფი ფორმებისა და ფასეულობათა სამყაროში, სადაც „ინდივიდუალიზმი“ ჩვეულებრივი პირობა და ნორმალური მდგომარეობაა. ეს ხელს უწყობს მასობრივი საზოგადოების ზრდას, რასაც აგრეთვე ხელს უწყობს მასობრივი საშუალებებისა და მართვის ბიუროკრატიული ინსტიტუტების განვითარება.</p>

შემდგომი თაობის ურბანსოციოლოგთა მხრიდან გარკვეული კრიტიკის მიუხედავად, ჩიკაგოს სკოლის როლი ურბანსოციოლოგიაში განუზომელია. მკვლევართა ეს ძლიერი ჯგუფი იყო პიონერი ქალაქის სოციალური პროცესებისა და მისი ყოველდღიური ცხოვრების ფორმების მეცნიერული კვლევისა და ანალიზის კუთხით. 1925-1937 წლებში დაიწერა დიდი რაოდენობით სადისერტაციო და კვლევითი შრომები სივრცითი და სოციალური ფენომენის ურთიერთდამოკიდებულების, საზოგადოებაში ინდივიდის ინტერაქტიული ქცევის, ანუ სოციალიზაციის, ადამიანის გარემოსთან ადაპტაციის შესახებ, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა სოციალურ-სივრცითი მიდგომა, ჩიკაგოს სკოლის მთელი მცდელობები მიმართული იყო ქალაქური ცხოვრების დონის ამაღლებისაკენ და მეტად რეფორმისტული იყო თავისი ხასიათით. მთავარ რეფორმისტად მაინც ლუის ვირტია აღიარებული, რომელმაც მიუთითა მთავრობის როლზე ქალაქური ცხოვრების დონის ამაღლებაში.

ურბანსოციოლოგიაში ეკოლოგიური მიდგომა დღემდე შენარჩუნდა თავისი ბიოლოგიური საფუძვლებით. თანამედროვე ქალაქის ეკოლოგიის საფუძველია ადაპტაცია, რომელიც გამომუშავდება ადამიანთა დიდი ჯგუფების კოლექტიური და განმეორებადი ქმედების საფუძველზე. საკითხისადმი ეკოლოგთა მიდგომას რამდენიმე ნაკლოვანება აქვს: ისინი არ ამახვილებენ ყურადღებას სოციალურ დაჯგუფებებზე, როგორცაა: ეთნიკური, რასობრივი, გენდერული მახას-



სურათი 3. ლუის ვირტი.

იათებლები, და ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობის შეზღუდული
ხედვა აქვთ, რითაც მათი თეორია მოჰყავს წინააღმდეგობაშია კაპი-
ტალიზმისა და გლობალიზაციის სისტემასთან.




როგორც ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამოიკვეთა, XX
საუკუნის დასაწყისში ურბანსოციოლოგიის საფუძვლების განვითარებამ
ხელი შეუწყო ქალაქის თეორიისადმი პროფესიული მიდგომის დახვე-
წას, პოპულარული და მეცნიერული აზრის ემანსიპაციას ურბანიზა-
ციისა და ურბანიზმის პროცესთა მიმართ.

❖ *II თავის საკითხავი ლიტერატურა:*

- ❖ ეჯგერენაია. სოციოლოგიის განმარტება. *სოციოლოგიური კვ-
ლევების მეთოდები. თსუ გამომცემლობა, 1998.*
- ❖ Shanon, Thomas, Nancy Kleniewski, William Cross. 1997. Urban prob-
lems in sociological perspective. Prospect Heights; Waveland press.
Pp.63-93.
- ❖ Flanagan, William G. 1999. Urban Sociology; Images and Structures.
Needham Height. Allyn & Bacon. pp.42-69.
- ❖ Gottdiener, Mark. 1994. The New Urban Sociology. McGrow Hill Inc.
pp 101-124; 200-203.

თავი 3.



მსოფლიოს ურბანიზაცია

ზოგადი მიმოხილვა

- უძველესი სამყაროს ურბანიზაცია
- ურბანიზაცია შუა საუკუნეებში
- ინდუსტრიული ურბანული რევოლუცია
- ურბანიზაცია განვითარებად სამყაროში
- გლობალიზაცია
- ურბანიზაცია დასავლეთ ევროპაში
- ურბანიზაცია აღმოსავლეთ ევროპაში
- ურბანიზაცია აშშ-ში

❖ უძველესი სამყაროს ურბანიზაცია

ქალაქს, როგორც ადამიანთა სოციალური ორგანიზაციის ურთულეს ფორმას, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ადამიანთა პირველი დასახლებები დაახლოებით ჩვენ წელთაღრიცხვამდე 8000 წელს მიეკუთვნება.¹ პირველი დასახლებები კი, რომელნიც ქალაქის წინაპრად შეგვიძლია მივიჩნიოთ, მესოპოტამიაში ჩვენ წელთაღრიცხვამდე 3500 წლით თარიღდება. პირველი ქალაქები თავიდან ევფრატისა და ტიგროსის ნაპირებზე, შემდგომ კი ნილოსის ნაპირებზე აღმოცენდა. ქალაქების აღმოცენებას წინ უსწრებდა ხანგრძლივი წინაურბანული პერიოდი და მეტად რთულია დროში ზუსტად განისაზღვროს ურბანულ პერიოდზე გადასვლა.

ცნობილმა თეორეტიკოსმა გორდონ ვილდემ 1950-იან წლებში საინტერესო თეორია ჩამოაყალიბა ქალაქისა და საზოგადოების განვითარების თაობაზე. მან საზოგადოების განვითარება ფაზებად დაყო და ქალაქური ცხოვრების განვითარებას თანამედროვე ცივილიზაციის კრიტიკული ფაზა უწოდა. მისი თეორიით, საზოგადოების ფორმირებაში უმნიშვნელოვანი ნაბიჯი მაშინ გადაიდგა, როდესაც ნადირობასა და საკვების „შეგროვებაზე“ ორიენტირებული საზოგადოება გადაერთო სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასა და სტაბილური ცხოვრების ყაიდაზე. შემდგომი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, როდესაც საზოგადოება ვაჭრობასა და ხელოსნობას დაეყრდნო და ქალაქში დაიწყო თავმოყრა, სადაც შრომის სპეციალიზაციამ მოსახლეობა ურთიერთდამოკიდებული გახადა. სწორედ ამ პროფესიულ და სოციალურ ურთიერთკავშირზეა დამყარებული ქალაქური სოციალური ურთიერთობები სოფლის ნათესაობაზე დამყარებული კავშირებისაგან განსხვავებით. ეს თეორია შემდგომში მრავალგზის იქნა გაკრიტიკებული იმ პრინციპით, რომ მრავალგან სოფლისა და ქალაქის განვითარება პარალელური და არათანმიმდევრული პროცესი იყო. ურბანიზაცია განისაზღვრა არა როგორც ევოლუციური პროცე-

¹ Flanagan, William G. 1999. Urban Sociology; Images and Structures. Needham Height. Allyn & Bacon. p.3.

სი, რომლის მიხედვითაც საზოგადოება დაბალი საფეხურიდან მაღალზე გადადის, არამედ როგორც ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ინსტიტუტების განვითარება.

როგორც მეცნიერები, მაგალითად, არქეოლოგები და ისტორიკოსები ვარაუდობენ, თავდაპირველ ქალაქებში დაახლოებით 5,000 — 10000 მცხოვრები იყო. რთულია ისტორიულ რეტროსპექტივაში იმ ზღვარის განსაზღვრა, რომელიც შეიძლება ჭეშმარიტად ურბანულ და არაურბანულ დასახლებებს შორის გავავლოთ. დასახლების რაოდენობრივ მახასიათებლებთან ერთად აუცილებელია გარკვეული თვისებრივი მახასიათებლების გათვალისწინება, ანუ სოციალურ ორგანიზაციაში მომხდარი ფუნდამენტალური ცვლილებების განსაზღვრა. ეს ცვლილებები გამოიხატება შრომის დანაწილებასა და სპეციალიზაციაში. ურბანიზაციასთან ერთად იზრდება იმ მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც სოფლის მეურნეობიდან დააღწევს თავს და ქალაქში ხელოსნობას ან ვაჭრობას მიჰყოფს ხელს. სპეციალიზაცია ქმნის ურთიერთდამოკიდებულ სექტებს ქალაქის სოციალურ სტრუქტურაში, იმ ურთიერთდამოკიდებულებას, რომლის გარეშეც ქალაქურ საზოგადოებაში შეუძლებელია მატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილება. პროდუქტებისა და სერვისის სახეობათა მრავალფეროვნების ზრდა იწვევს ფუფუნების საგნების გაჩენასა და ხელს უწყობს კლასობრივ დიფერენციაციას.

მეორე მხრივ, ქალაქის განვითარებას ზოგ შემთხვევაში სამხედრო მიზნებმა და პროცესებმა შეუწყვეს ხელი. ჯარის მუდმივი ადგილმდებარეობა, ხშირ შემთხვევაში, ქალაქური ტიპის დასახლებად ჩამოყალიბდა სოციალური დიფერენციაციისა და სპეციალიზაციის ქალაქურ ფორმებზე გადასვლის საშუალებით. ქალაქის განვითარების პროცესს თან ახლდა მოსახლეობის პეტროგენულობის ზრდა, რომელიც ქალაქური კულტურის სპეციფიკის ნაწილია. სხვადასხვა ჯგუფის, კლასისა და პროფესიის ადამიანთა ინტერაქცია ქმნის საფუძველს გამოცდილებისა და ინფორმაციის გაზიარებისა და გაცვლისათვის. ამავე დროს, ვაჭართა და სამხედროთა მიერ ხშირად ქალაქსა და ქვეყნის გარეთ მიღებუ-

ლი გამოცდილება ზრდისა და სხვა კულტურათა გაცნობისა და ინფორმაციის მიმოცვლის საფუძველს ქმნის.

ურბანული ფორმის გაჩენასთან ერთად ფართოვდებოდა ის ტერიტორიული ზონა და ღრმავდებოდა ურთიერთობები, რომლებშიც ქალაქი მთავარ როლს ასრულებდა. იზრდებოდა არა მარტო ქალაქი, არამედ გარდამავალი ზონა ქალაქსა და სოფელს შორის.

ქალაქებში აქტივობას ხშირად განსაზღვრავდა ის რელიგიური კოდები, რომლებიც ამა თუ იმ საზოგადოებაში იყო ჩადებული. რელიგიური რიტუალები და მათთვის მოსახერხებელი სივრცის ორგანიზაცია განაპირობებდა ქალაქთა კონფიგურაციას და მათში მიმდინარე პროცესებს. უძველესი ქალაქები იყო პოლიტიკური და რელიგიური ძალაუფლების სიმბოლოების გამომხატველი და ეკონომიკური ფუნქციებით დატვირთული გარემო.

უძველეს ქალაქთა განვითარებამ თავის მწვერვალს მანც რომისა და საბერძნეთის კულტურაში მიაღწია. ათენმა V საუკუნეში 180000-იან მოსახლეობას მიაღწია, რომმა კი, ორ მილიონს. ათენი აგებული იყო კოსმოლოგიური კოდისა და რელიგიური სიმბოლიკის მიხედვით. ქალაქი აშენდა ქალღმერთ ათენას სადიდებლად. ცენტრი იყო აგორა, რომელიც არა მარტო ქალაქის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა, არამედ სიმბოლური დატვირთვა გააჩნდა და ასოცირებული იყო „სამყაროს ცენტრთან“.¹ აგორა წარმოადგენდა სავაჭრო და პოლიტიკური ფუნქციისა და კოდის ზედღებას ერთ სივრცეში. ქუჩების რადიალური განლაგებაც ამ ცენტრალურობის გამომხატველი იყო, იგი ემსახურებოდა ქალაქის პოლიტიკური და სოციალური ცენტრიდან მოქალაქეთა მეტ-ნაკლებად ტოლი მანძილით დამორების მიზანს.

უძველეს ურბანიზაციაზე საუბარი ძირითადად ვაჭრობის, კომერციის და სამხედრო დომინირების გარშემო მიმდინარეობს, რაც ჭეშმარიტად კრიტიკული ფაქტორებია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია

¹ Gottdiener, Mark. 1994. The New Urban Sociology. McGraw Hill Inc. p.23.

ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ფაქტორების კომპლექსური განხილვა.

ჩვენ წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში რომის დაგეგმარება ნაკარნახები იყო პოლიტიკური და კულტურული სიმბოლიკით.¹ სანამ რომი რესპუბლიკას წარმოადგენდა, მის საზოგადოებრივ ადგილებს, თუნდაც ცენტრს — ფორუმს, ადამიანის მასშტაბები ჰქონდა, მოგვიანებით კი, მონარქიის პერიოდში გიგანტური მასშტაბები გაჩნდა და შესაბამისად რომის ცენტრი საზეიმო ხასიათის გახდა, მით უფრო, რომ რომში წელიწადის 159 დღე საზოგადოებრივ დღესასწაულად იყო გამოცხადებული.² ამან შეამცირა მოსახლეობის სასარგებლო შრომა და ეკონომიკური აქტივობა. ქალაქურმა ცხოვრების დონემ იკლო. გაიზარდა ქალაქის პრობლემები, როგორცაა: მათხოვართა რიცხვი, სანიტარიის დაბალი დონე და ასე შემდეგ, რომში ვხვდებით პირველი სახელმწიფო სოციალური დახმარების მექანიზმს, სადაც 200000-მდე ღარიბი რეგულარულად პურიით დახმარებას იღებდა სახელმწიფოსაგან.

❖ ურბანიზაცია შუა საუკუნეებში

საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ცვლილებამ, ტექნოლოგიების ზრდამ, კულტურის ტრანსფორმაციამ, სახელმწიფო სტრუქტურების გაძლიერებამ უძველესი სამყაროს ურბანულ რეველუციას მისცა დასაბამი. შუა საუკუნეებში ჩინეთი გახდა ადმინისტრაციული ქალაქების ქსელი, სადაც რამდენიმე ქალაქის მოსახლეობამ XII საუკუნეში მილიონს მიაღწია. XVI საუკუნიდან დაიწყო ისლამური ქალაქების აღმავლობა. მაგრამ, მეცნიერთა აზრით, ჭეშმარიტი ურბანული რეველუცია XVI-XVII საუკუნისათვის მომწიფდა ევროპაში.

¹ Gottdiener, Mark. 1994. Op. Cit. p.24.

² Kostof, Spiro. 1991. The City Shaped; Urban Patterns and Meanings Throughout History. Boston, New York, Toronto, London; a Bulfinch Press Book Little, Brown and Company. p.61.

ევროპის ქალაქთა განვითარება და მათი სოციალურ-სივრცითი ურთიერთობების დახვეწა, ძირითადად, კაპიტალიზმის ჩანასახებითა და საერთაშორისო ვაჭრობის აღმავლობით იყო განპირობებული. ფულადი ურთიერთობების გაფართოვებამ XII საუკუნიდან ეკონომიკის ზრდას შეუწყო ხელი, მაგრამ კათოლიკურმა ეკლესიამ აკრძალა ფულის სესხება და შეზღუდა ბანკების როლი. XVI საუკუნეში ეს შეზღუდვები მოიხსნა და გზა მისცა ინვესტიციების ზრდას. XVIII საუკუნისათვის პარიზსა და ლონდონში უკვე ნახევარი მილიონი მოსახლე იყო. ამ პერიოდში ევროპის განვითარებულ და დიდ ქალაქებს აგრეთვე წარმოადგენდა გენუა, მილანი და ვენეცია.

ინდუსტრიული რევოლუციის ხანამ — 1760-1800 წლებმა განსაკუთრებული როლი შეასრულა ურბანიზაციის განვითარებაში. ორთქლის ძრავის გამოგონებამ და ინდუსტრიული მანქანა-დანადგარების გამოგონებამ დასაბამი მისცა ახალ ერას და დააჩქარა ქალაქის განვითარება. 1750-1800 წლებში ევროპის მოსახლეობა ზედმიწევნით იზრდებოდა, მაშინ, როდესაც სიკვდილიანობის მაჩვენებელი დაეცა, რაც გამოწვეული იყო ორი ძირითადი ფაქტორით: პირველი, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებითა და მეცხოველეობაში ცხოველთა ჯიშების ხელოვნური გამოყვანის ტექნოლოგიის განვითარებით; და მეორე, გაიზარდა მედიცინის, როგორც მეცნიერების, დონე და ცოდნა, შესაბამისად კი გაიზარდა იმ დროისათვის სასიკვდილო დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შესაძლებლობანი.

ვაჭრობის განვითარება მნიშვნელოვანი პირობა იყო ინდუსტრიალიზაციის შემდგომი განვითარებისათვის, რადგან ვაჭრობამ გაზარდა ევროპის გასაღების ბაზრები სხვა კონტინენტებზე, განსაკუთრებით ინგლისის ბაზრები თავის კოლონიებში (სურათი 4).

დროთა განმავლობაში ევროპაში გამოიკვეთა ურბანიზაციის ორი მოდელი: პირველი — ჭეშმარიტად რევოლუციური სისწრაფის ურბანიზაცია ინგლისსა და შოტლანდიაში, და მეორე — შედარებით ნელი ტემპის ურბანიზაციის მოდელი, რომლსაც ამ პერიოდის ბელგია, რუსეთსა, და საფრანგეთში ვხვდებით (ცხრილი 4).



სურათი 4. ვენეცია XV საუკუნეში. ფრაგმენტი ვიტორე კარაჩიოს ნახატიდან „ჯვრის სასწაული“.

ცხრილი 4. ევროპის ქალაქებში მოსახლეობის ზრდა, 1700 – 1990წწ.¹

ქალაქი	1700 წ.	1800 წ.	1900 წ.	1990 წ.
ლონდონი	550 000	861 000	6 480 000	9 170 000
პარიზი	530 000	547 000	3 330 000	8 709 000
ნეაპოლი	207 000	430 000	563 000	2 960 000
მადრიდი	110 000	169 000	539 000	4 451 000
რომი	149 000	153 000	487 000	3 021 000
ვენა	105 000	231 000	1 662 000	2 383 000
ბერლინი	-	172 000	2 424 000	3 022 000

❖ ინდუსტრიული ურბანული რევოლუცია

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ურბანიზაცია არ იზომება მხოლოდ რაოდენობრივი მახასიათებლებით, არამედ დამოკიდებულია სოციალური ორგანიზაციის ხარისხობრივ მახასიათებლებზე. ამის მაგალითია ამ პერიოდის ინგლისში ინდუსტრიული ურბანიზაციის მიერ მოტანილი რეფორმისტული კრიტიციზმი თავისუფალი დროის გატარების კონსერვატიული მეთოდებისადმი, რომელიც რურალური ყოფისათვის იყო დამახასიათებელი. ურბანული სოციალური ორგანიზაციის ნოვატორებმა გააკრიტიკეს რურალური საზოგადოების კოლექტიური გართობის მეთოდები და ყურადღება მიაპყრეს ინდივიდუალიზმზე დამყარებულ დროის გატარების სახეობებსა და ცხოვრების წყაიდას.

კაპიტალიზმის პოლიტიკურმა და იურიდიულმა ურთიერთობებმა დაიწყო მოქმედება არა მარტო ქალაქში, არამედ სოფლადაც. შემოვიდა კერძო საკუთრების იურიდიული სანქციების მოთხოვნა. მიწა, რომელიც აქამდე მხოლოდ ეკლესიისა და დიდგვაროვანთა მფლობელობაში იყო, საყოველთაო ყიდვა-გაყიდვის პროდუქტი გახდა გარდა ამისა, უძრავი ქონების ბაზარმა ზრდა დაიწყო. იზრდებოდა რა კაპიტალი, იზრდებოდა კლასთა სეპარაცია, რაც გამოხატულებას სივრცით გარემოში პოულობდა.

¹ Gottdiener, Mark. 1994. Op. Cit. p.33.

ამ პერიოდის ქალაქში ძირითად მასას მუშათა კლასი წარმოადგენდა, რომელსაც საწარმოო საშუალებათა უქონლობის გამო, მეტად მძიმე პირობებში უწევდა ცხოვრება. გაიზარდა სამუშაოს სპეციალიზაცია, კონკურენცია სამუშაო ადგილებისათვის და უმუშევრობა. ქალაქებში იმატა მათხოვართა რიცხვმა. თუმცა მუშათა ხელფასები მცირე იყო, მაინც იმაზე უკეთეს შემოსავალს წარმოადგენდა, ვიდრე გლეხებს ჰქონდათ. ამიტომ სოფლის მოსახლეობა მზარდი ეკონომიკური შესაძლებლობების იმედით ქალაქისაკენ ისწრაფვოდა. მეორე მხრივ, ქალაქელ მუშათა სამსახური დროებითი იყო და მათ არ მიუწევდოდათ ხელი მრავალ იმ სიკეთეზე, რომელიც სოფელში იყო ხეწლმისაწვდომი: საჭმელი, შეშა, და ა.შ. ქალაქელი სულ უფრო დამოკიდებული ხდებოდა არა თავის შრომაზე, არამედ კონკურენციისა და სხვა გარეშე ფაქტორებზე, რომელზეც მას არ ჰქონდა კონტროლისა და გავლენის მოხდენის საშუალება.

ინდუსტრიულ ურბანულ რევოლუციას არ მოჰყვა სახელმწიფოს მხრიდან მარეგულირებელი მექანიზმების შემუშავება,¹ რომელსაც შეეძლებოდა ქალაქური პროცესების გარკვეული მართვა არ იქნა შემოღებული ეფექტური საცხოვრებლის, ჯანდაცვის ან სოციალური პოლიტიკა. ქალაქის განვითარება არ ხდებოდა დაგეგმილად და, შესაბამისად, ქალაქთა ზრდას ქაოსური ხასიათი ჰქონდა. საცხოვრებელი სახლები შენდებოდა ქარხნების ჩრდილში, დაბინძურებულ გარემოში, სანიტარიული ნორმების ყოველგვარი დაცვის გარეშე. არ ხდებოდა ნაგვის გატანა, ქალაქის დიდ ნაწილს არ ჰქონდა კანალიზაციის გაყვანილობა. ქალაქები საცხოვრებლად და სამუშაოდ არაჯანსაღ გარემოს ქმნიდა. ასელი ხასიათის ურბანული პირობები ყველა ურბანიზებული ქვეყნის რეალობა გახდა. მათი მონაცემებით ქალაქებში სიკვდილიანობის მაჩვენებელმა აიწია.

განსაკუთრებით მძიმე იყო მუშათა კლასის წარმომადგენელი ქალებისა და ბავშვების მდგომარეობა. ისინი მძიმე შრომაში იყვნენ ჩაბმულნი. ქალისათვის არცთუ მრავალი სახის სამუშაო არსებობდა

¹ მაგალითისთვის იხილეთ Girouard, Mark. 1985. *Cities and People; A Social and Architectural History*. New Haven and London; Yale University Press. pp. 271-284; pp. 285-300.

და ამიტომ კონკურენცია კიდევ უფრო მაღალი იყო, ვიდრე მამაკაცებისათვის. საბედნიეროდ, 1860-იან წლებში ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ბავშვთა შრომის ამკრძალავი კანონების შემოღებით (სურათი 5).

უმუშევრობის გაზრდამ საზოგადოების დიდ ნაწილს უბიძგა ქუჩის დამნაშავენი გამხდარიყვნენ. ქალაქებში გამწვავდა კრიზისოვანი სიტუაცია. ეს ფაქტი ურბანული რევოლუციის მიერ მოტანილი სოციალური ცვლილებების ბუნებრივი შედეგი იყო. გაჩნდა ქალაქელი განგსტერის ფენომენი, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გარკვეულ უბნებს აკონტროლებდნენ. მაგალითად, ლონდონში, სადაც პოლიცია სუსტი იყო, განგსტერთა ხშირად ასაკიან ჯგუფებს ტერორში ჰყავდათ მოქალაქენი, მაღაზიის მფლობელნი და სხვა. ასე რომ, ქალაქში ცხოვრება სულ უფრო მეტ რისკსა და საშიშროებას უკავშირდებოდა.

XVII-XIX საუკუნეები ევროპისათვის კოლონიალიზმისა და სამფლობელოთა გაფართოების პერიოდი იყო. ამ პირობებში, ისევე როგორც ძველი სამყაროს დაპყრობითი ომებისა და იმპერიების დროს, ქალაქთა როლი კიდევ უფრო გაიზარდა. იაფი ნედლეულის არსებობა ხელს უწყობდა ინდუსტრიალიზაციის ზრდასა და წარმოების გაფართოებას. კოლონიალიზმმა სატრანსპორტო საშუალებების დახვეწა მოითხოვა, მათ დიდი ტვირთის, ადამიანთა ჯგუფის შორ მანძილზე გადაყვანის საშუალება უნდა მოეცა. ამ კუთხით კოლონიალიზმი და ინდუსტრიალიზაცია ერთმანეთს დაუკავშირდა.

❖ ურბანიზაცია განვითარებად სამყაროში

ეკონომიკურ-პოლიტიკური და განვითარების მექანიზმების მიხედვით მსოფლიოს ქვეყნები სამ ძირითად ნაწილად იყოფა: ცენტრალური სისტემა — განვითარებული და მდიდარი ქვეყნები; პერიფერიული სისტემა — ჩამორჩენილი ქვეყნები; და ნახევრადპერიფერიული სისტემა, სადაც განვითარებადი ქვეყნებია განლაგებული! (ცხრილი 5).

¹ Shanon, Thomas, Nancy Kleniewski, William Cross. 1997. Urban problems in sociological perspective. Prospect Heights; Waveland press. p. 291.



სურათი 5. ურბანული რეველუცია. სოფლიდან ქალაქში მიგრირებული მუშათა კლასის მხიმე საცხოვრებელი პირობები.

ცხრილი 5. მსოფლიოს ოცი უდიდესი ქალაქი 1990 წლის მონაცემებით¹

ქალაქი	ქვეყანა	ადგილი მოსახლეობის სიდიდის მიხედვით	მოსახლეობის რაოდენობა 1990 წელს	სიმჭიდროვე ერთ კვადრატულ მილზე
ტოკიო-იოკოჰამა ავლომერაჯია	იაპონია	1	26 952 000	24 463
მესიკო-სიტი	მექსიკა	2	20 207 000	37 314
სან-პაოლო	ბრაზილია	3	18 052 000	38 528
შენაი	ქორეა	4	16 268 000	45 953
ნიუ-იორკი	აშშ	5	14 622 000	11 473
ოსაკა-კობე-კიოტოს ავლომერაჯია	იაპონია	6	13 826 000	27 833
ბომბეი	ინდოეთი	7	11 777 000	120 299
კალკუტა	ინდოეთი	8	11 663 000	54 607
ბუენოს-აირესი	არგენტინა	9	11 518 000	21 233
რიო-დე-ჟანეირო	ბრაზილია	10	11 428 000	42 894
მოსკოვი	რუსეთი	11	10 267 000	27 117
ლოს-ანჯელესი	აშშ	12	10 714 000	8 985
მნილა	ფილიპინები	13	9 880 000	50 978
კაირო	ეგვიპტე	14	9 851 000	92 168
ჯაკარტა	ინდონეზია	15	9 588 000	122 033
თეირანი	ირანი	16	9 354 000	79 594
ლონდონი	ინგლისი	17	9 170 000	10 551
პარიზი	საფრანგეთი	18	8 709 000	20 123
დელი	ინდოეთი	19	8 475 000	59 102
ესენი	გერმანია	20	7 474 000	10 653

აღსანიშნავია, რომ XX საუკუნეში წარმოების თავმოყრა ქალაქში აღარ არის მისი ზრდის გამომწვევი ძირითადი ფაქტორი. ამის მაგალითია მესამე სამყაროს ქალაქთა კატასტროფული ზრდა, წარმოების განვითარების ხშირად არცთუ მაღალი დონის მიუხედავად. ჰონ-კონგის ურბანიზებულობა 94% აღწევს, კუვეიტის — 96%. ეს პროცესები იმ ფაქტორით აიხსნება, რომ დღეს ქალაქის მოსახლეობა სულ უფრო ნაკლებად არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობის ადგილობრივ ნაწარმზე და ბევრ ქვეყანაში მისი იმპორტიც კი არის ხელსაყრელი.

ცნობილმა კრიტიკოსმა ჯანეტ აბუ-ლუგოდმა აღნიშნა, რომ XX

¹ Gottdiener, Mark. 1994. Op. Cit. p.266.

საუკუნის ურბანიზაციის პროცესების განხილვა, მესამე სამყაროს მაგალითის გათვალისწინების გარეშე, სრულიად დაუშვებელია, რადგან იგი წარმოადგენს არა ეგზოტიკურ გამონაკლისს, არამედ კანონზომიერ რეალობას. მართლაც, XX საუკუნეში განვითარებადი ქვეყნების სწრაფი ურბანიზაცია მეტად საინტერესო ფენომენს წარმოადგენს. გარდა ამისა, მესამე სამყარო მსოფლიოს უდიდესი ნაწილია და მოიცავს ხმელეთის უდიდეს ფართობსა და მოსახლეობის სამ მეოთხედს. მსოფლიოში დღეს 24 ქალაქია 10 მილიონზე მეტი მოსახლეობით. ამ ქალაქთა უმეტესობა განვითარებად ქვეყნებშია განლაგებული. მსოფლიოს არაერთი უდიდესი ქალაქი ლათინურ ამერიკაშია: მეხიკო-სიტი მექსიკაში, რომელიც 1985 წელს მსოფლიოს უდიდესი ქალაქი გახდა 22 მილიონი მცხოვრებით, სან-პაოლო ბრაზილიაში, ბუენოს-აირესი არგენტინაში, კარაკასი ვენესუელაში. სან-პაოლოს მოსახლეობა 1950 წელს 3 მილიონი იყო, სადღეისოდ კი 24 მილიონს გადააჭარბა, რაც აშკარად ეკოლოგიური კატასტროფაა.

განვითარებად ქვეყნებში შესაბამისი პოლიტიკის უქონლობა ხელს უწყობს კრიზისის გაღრმავებას. მსოფლიოს ამ ნაწილისთვის საერთო დამახასიათებელია ეკონომიკური განვითარების შეფერხება და ქალაქური ცხოვრების პირობების გაუარესება. აქვე უნდა აღინიშნოს კრიტიკული განსხვავება ეკონომიკურ ზრდასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის. განვითარებადი ქვეყნები და მათი ქალაქები ხშირად აღწევენ ეკონომიკურ წინსვლას, მაგრამ არა ეკონომიკურ განვითარებას, ანუ არ ხორციელდება ეკონომიკური ზრდის პროდუქტის ფართო გადანაწილება საზოგადოებაში. არათანაბარი განვითარება განვითარებად ქვეყნებში კიდევ უფრო მძაფრია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში.

განვითარებადი ქვეყნების ქალაქები განიცდიან ორმაგ ზრდას: ეს გამოწვეულია მოსახლეობის ბუნებრივი მატებითა და, მეორე მხრივ, სოფლიდან ქალაქში მიგრაციის ხარჯზე. ამით ცხოვრების დონე სულ უფრო უარესდება. მრავალი ადამიანი დროებით თავშესაფრებში ცხოვრობს ელემენტარული პირობების გარეშე! (სურათი 6). სწორედ თავისი უდიდესი ზომით — ჭარბი ურბანიზებულობითა (overurbanization) და

საცხოვრებელი სტანდარტების დაბალი დონით, ანუ დაბალი დონის ურბანიზებულიობით (underurbanization) განსხვავდება განვითარებადი ქვეყნების გიგანტი ქალაქები განვითარებული ქვეყნების გიგანტებისაგან. გარდა ამისა, არის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი სხვაობა განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ურბანიზაციას შორის. განვითარებად ქვეყნებში გავრცელებულია ქალაქი-პრიმატის მოდელი, სადაც უდიდესი ქალაქი ერთპიროვნულად ლიდერობს თავისი ზომებით ამ ქვეყნის სხვა ქალაქებთან მიმართებაში. მაგალითად, ბანგკოკი ტაილანდში მოსახლეობის რაოდენობით დაახლოებით 30-ჯერ მეტია მეორე ქალაქზე. განვითარებულ ქვეყნებში კი არ ვხვდებით ასეთ განსხვავებებს: მაგალითად, აშშ-ში ყველა ზომის ქალაქებია და არსებობს გარკვეული ბალანსი მათ განვითარებაში. ქალაქი პრიმატების თავმოყრა განვითარებად სამყაროში არ არის გასაკვირი, რადგან ისინი ეფექტური ურბანული პოლიტიკის არარსებობის პირობებში ვითარდება და ქაოსურ ხასიოთს ატარებს. ზონის თავისებურების გარდა, პრიმატულობა აგრეთვე ნიშნავს ფუნქციონალურ დომინირებას ქვეყანაში — პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ „მონოპოლიას.“ სხვა ადგილების მოსახლეობა მოწყვეტილია არა მარტო კაპიტალსა და ეკონომიკურ შესაძლებლობებს, არამედ პოლიტიკურ და კულტურულ მოვლენებსაც კი. კვლევამ ცხადყო, რომ პრიმატების ზრდა განსაკუთრებული იყო 1930-1970 წლებში და 80-იანი წლებიდან სტაბილური გახდა.

განვითარებად ქვეყნებში ქალაქთა ზრდას თან ახლავს ცხოვრების დონის შემცირება. ქალაქის გარეუბნებში ხდება დროებითი საცხოვრებელი უბნების Shantytown-ის ჩამოყალიბება¹ (სურათი 7, 8), რომლებიც ძირითადად არაღვეგალური წარმონაქმნებია, სადაც კერძო საკუთრება არ არსებობს, რადგან იგი არ არის იურიდიულად რეგისტრირებული. აქ დაბალშემოსავლიანი მუშახელი პოულობს იაფ საცხოვრებელს: ამუშავებს დროებით ნაგებობას საცხოვრებლად ან ქირაობს მას. ეს დასახლებები არაფორმალური სექტორის ნაწილია, სადაც მრავალი უმუშევარი და დაბალშემოსავლიანი ადამიანი აფარებს თავს. აქვე ვითარდება იაფი სერვისის სექტორიც და ეს დასახლებები სულ უფრო მყარდება, როგორც

¹ Shanon, Thomas, Nancy Kleniewski, William Cross. 1997. Op. Cit., p. 295.



სურათი 6. ქალაქი დელი, ინდოეთი.



სურათი 7. „შენთისუნ“ კარაკახში, ვენესუელა.

ქალაქის სრულყოფილებიანი ნაწილი. აღსანიშნავია, რომ განვითარებადი ქვეყნების 40-50% სწორედ არაფორმალურ სექტორშია დასაქმებული.

„არაფორმალური ანუ ჩრდილოვანი ეკონომიკა“ — ტერმინი „ფორმალური“ სოციოლოგიურ და ეკონომიკურ ლიტერატურაში აღნიშნავს ხელფასიან, რეგისტრირებულ სამუშაოს, მაშინ, როდესაც „არაფორმალური“ ნიშნავს თვითდასაქმებულობას ერთკაციან მიკროსაწარმოს, საშინაო წარმოებას. არაფორმალური სექტორის შესწავლა განვითარებადი ქვეყნებში სიღარიბის გათვითცნობიერების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. არაფორმალური ეკონომიკა მოიცავს არასაბაზრო ქმედებას, რომელიც ასოცირებულია შავ ეკონომი-

კასთან. ეკონომისტები ამ ტერმინით აღნიშნავენ ალტერნატიულ, დამალულ, იატაკქვეშა ეკონომიკას, რომელიც არასრულყოფილად იზომება და გამოიზატება მთლიანი შიდა პროდუქტით. მას არ მოიცავს ოფიციალური უზუშევრობის სტატისტიკა, თუმცა განვითარებადი ქვეყნებში ხშირად შრომისუნარიანი მოსახლეობის 40% სწორედ არაფორმალურ ეკონომიკაში მოღვაწეობს, უმეტესად ქალები, რომლებიც ხშირად განვითარებადი ქვეყნებში გათავისუფლებული არიან გადასახადებისსაგან მცირე შემოსავლის გამო.²

მეხიკო-სიტი ყველაზე დიდი ქალაქია, ამიტომ აქ მესამე სამყაროს ქალაქთა პრობლემებიც ზედმიწევნით არის გამოვლენილი — ეკოლოგიური პრობლემები, წყალმომარაგება და კანალიზაცია, საცხივრებელი პრობლემები, უზუშევრობა, სიღარიბე და სხვა. ქალაქის გარეუბნები, რომლებიც ბარაკების ტერიტორიას წარმოადგენს, განუწყვეტილად იზრდება. ქალაქის მერი წინააღმდეგია ქალაქის ამგვარი გაფართოების იგი ხშირად იმუქრება მოსახლეობის აყრითა და ამ ადგილის გაწმენდით. თავის მხრივ, მოსახლეობა ცდილობს დაიცვას თავისი ტერიტორია, ადგილობრივი სოციალური წესრიგი, პირობები გააუმჯობესოს და დასახლებას ლეგალური ხასიათი და უფლებები მოუპოვოს. ამ ქალაქის შემდგომი განვითარება მთლიანად ადგილობრივ პოლიტიკაზეა დამოკიდებული. მეხიკო შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ ზონირებისა და ზოგადად, ურბანული პოლიტიკის არარსებობა ათწლეულების მანძილზე როგორ წარმოადგენდა ქალაქის არაუფექტური და არამდგრადი განვითარების საფუძველს. არსებული პრობლემებით სპე-

¹ Gottdiener, Mark. 1994Op. Cit., p. 256.

² Kuper, Adam, Jessica Kuper. (eds.) 1999. The Social Science Encyclopedia. London and New York; Routledge.

ციალისტთა დაინტერესება სულ უფრო იზრდება. მაგალითად, არქიტექტორებმა მეხიკოს რეაბილიტაციის პროექტიც შეადგინეს, რომელმაც UNESCO-ს საერთაშორისო კონკურსზე პირველი ადგილი აიღო. მეცნიერთა დიდი ნაწილისათვის მეხიკოს ქუჩის მდიდარი სოციალური ცხოვრება და ურბანული სპეციფიკა საინტერესო შესწავლის საგანია და დადებით ხასითსაც კი ატარებს ნიუ-იორკისა თუ სხვა ქალაქების იზოლირებულ და ანონიმურ სოციალურ ცხოვრებასთან შედარებით.

მსოფლიოს ორი უდიდესი ქვეყანა — ჩინეთი და ინდოეთი მესამე სამყაროს ეკუთვნოდა, მაგრამ ისინი მეტად ანდერურბანიზებულია. ინდოეთში, მაგალითად, მოსახლეობის 80% სოფლებში ცხოვრობს, მაშინ, როდესაც ბომბეის, დელის, კალკუტასა და შანზაის მოსახლეობა 10 მილიონზე მეტია. ინდოეთის ქალაქები გამოირჩევა თავისი სიღარიბის ხარისხით და ქალაქური ცხოვრების დაბალი სტანდარტებით. ჩინეთში სიტუაცია სხვაგვარია, სადაც მთავრობა კრიტიკულ ზომებს იღებს შობადობის კონტროლში, დანაშაულებსა და პროსტიტუციასთან ბრძოლაში, რაც, თავის მხრივ, დადებითად მოქმედებს ქალაქური ცხოვრების დონეზე. აქ დაბალია უმუშევრობა, არც ქალაქთა გარეუბნებია დატვირთული დროებითი თავმესაფრებით, რადგან ამას კანონი სასტიკად კრძალავს. მეორე მხრივ, ჩინეთის ქალაქები მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მაღალ დონეზეა დაბინძურების ხარისხით.

მაგალითად, ქალაქი გვადალახარა მექსიკაში 378000-იანი მოსახლეობიდან 1950 წლიდან 1975 წლამდე, ანუ 25 წელიწადში, 2 მილიონამდე გაიზარდა, ქალაქი კინშასა კონგოში 209000-დან 2,2 მილიონამდე იგივე პერიოდში. ამ ცვლილებებს ურბანსოციოლოგები რეკოლუციურს უწოდებენ. მეორე მხრივ, ინდუსტრიული რეკოლუცია ბევრ ქვეყანაში სწორედ ესლა მიმდინარეობს. გლობალიზაციის პროცესმა და ეკონომიკური პროცესების მიმდინარეობის „საზღვრების“ მნიშვნელობის შემცირებამ 1970 წლიდან შესაძლებელი გახადა წარმოების განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებადში გადასვლა, სადაც მუშახელისა და ნედლეულის ფასი დაბალია, და შესაბამისად წარმოება იაფი ჯდება. ამ პროცესს დეინდუსტრიალიზაცია ეწოდა

და მექსიკა, მალაიზია, სინგაპური და სხვა აშშ-სა და სხვა ქვეყნების მწარმოებელ ქვეყნებად გადაიქცა. ეს, თავის მხრივ აჩქარებს განვითარების პროცესს ამ ქვეყნებში, უმუშევრობის შემცირებითა და საშუალო ხელფასის თანდათანობითი ზრდით.

აღსანიშნავია, რომ განვითარებად ქვეყნებში უდიდეს ქალაქებს სწორედ სანაპირო პორტები წარმოადგენს — ჰონგ-კონგი, სინგაპური, ბომბეი, ბანგკოკი და ა.შ. სწორედ საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებამ შეუწყო ხელი ამ ქალაქთა ოვერუბრანიზებულიობას (ურბანიზებულიობის მაღალ ხარისხს).

მეცნიერები დღეს ინტენსიურად იკვლევენ მესამე მსოფლიოს ქვეყნების „განუვითარებლობის“ მიზეზებს. მათი მიდგომა ორ ძირითად ჯგუფად იყოფა, რომელშიც ურბანიზაცია უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს:

— მოდერნიზაციის თეორია და პოლიტეკონომია.

— მოდერნიზაციის თეორიის საფუძველი სოციოლოგიაშია.¹ იგი აღიარებს განვითარების მარტივიდან რთულ ფორმებზე გადასვლას. მის მიხედვით ტრადიცია და მოდერნიზაცია პოლარულ საკითხებადაა მიჩნეული — ერთის განვითარება მეორეს სიკვდილს უკავშირდება. მოდერნიზაცია ხასითდება ეკონომიკური ზრდით, განათლების მაღალი დონით, უთანასწორობის შემცირებით, შობადობისა და სიკვდილიანობის დონის შემცირებით, დემოკრატიული პოლიტიკური ტენდენციებით. ამ მიდგომისათვის ქალაქები და ურბანიზაცია მოდერნიზაციის მოტორია. განუვითარებლობა ამ თეორიის მიხედვით, ბრალდება ტრადიციული ფასეულობებისა და მეთოდების დომინირებას.

ამ მიდგომის ნაკლოვანება ისაა, რომ იგი ვერ ხსნის სწრაფი ურბანიზაციის შემთხვევაში უმუშევრობისა და ქალაქური ცხოვრების დონის შემცირებას. ეს თეორია გამართლდა მხოლოდ რამდენიმე განვითარებად ქვეყანაში, სადაც მართლაც მოხდა ინდუსტრიალური ბუმი და ქალაქური ცხოვრების დონემ საგრძნობლად აიწია, მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნების შემთხვევაში იგი მცდარი აღმოჩნდა.

¹ Flanagan, William G. 1999. Op. Cit., p. 150.

პოლიტიკონომია ძირითად ყურადღებას ამ საკითხის ახსნისას ამავხვილებს ისტორიულ და არსებულ ურთიერთობებზე ღარიბ და მდიდარ ქვეყნებს შორის, რომლებიც ერთიან გლობალურ სისტემაშია მოქცეული. განუვითარებლობის ეს მიდგომა ხსნის უფრო მდიდარი ეკონომიკისა და ძლიერი პოლიტიკური წყობის ქვეყნების მიერ დომინირებას, და ხშირ შემთხვევაში კოლონიალური ურთიერთობებითაც კი. თუმცა კოლონიალიზმი დღეს აღარ არის აქტუალური საკითხი, ურბანიზაციის კოლონიალური ფორმები თავისი პოლიტიკური და სივრცითი მახასიათებლებით დღემდე შემორჩა.

ეკოლოგიური თეორია გეთავაზობს, რომ ეს ქვეყნები ურბანული განვითარების მხრივ განვითარებულს ჰგავს, მაგრამ ურბანული განვითარების უფრო ადრეულ სტადიაზე იმყოფება. სოციალურ-სივრცითი მიდგომა უარყოფს ამ განცხადებას, რადგან იგი მხედველობაში იღებს სახელმწიფო და კლასობრივ სტრუქტურას, გლობალური კაპიტალის ინვესტიციებსა და ეკონომიკურ მდგომარეობას, როგორც ძირითად ფაქტორებს განვითარებადი ქვეყნების ურბანიზაციისათვის. იგი გეთავაზობს, რომ ქვეყნები, რომლებსაც განსხვავებული სტრუქტურა აქვთ, ერთნაირად ვერ განვითარდებიან. ზოგიერთი განვითარებადი ქვეყანა არ იმეორებს მრავალი განვითარებული ქვეყნის მაგალითს, არ გადის ინდუსტრიულ პერიოდს, არამედ სწრაფი, ნახტომისებური სვლით პირდაპირ შედის პოსტ-ინდუსტრიულ ეტაპში.

❖ გლობალიზაცია

გლობალიზაციის თეორია შეისწავლის გლობალურ კულტურულ სისტემას, რომელსაც თან ახლავს სოციალური და კულტურული განვითარების პროცესი: მსოფლიო სატელიტურ-საინფორმაციო სისტემა, მონპარების გლობალური სტრუქტურა, გლობალური პოლიტიკური მოლაპარაკებები, საერთაშორისო გამოფენები და შეჯიბრებები, მსოფ-

ლიო ტურიზმის აღორძინება, გლობალური ინდუსტრიის ზრდა, მსოფლიო ეკოლოგიური კრიზისი, ჯანდაცვის გლობალური პრობლემები (მაგალითად, შიდსი და სხვა). გლობალური რელიგიური ინსტიტუტები, მსოფლიო პოლიტიკური სისტემები, როგორცაა გაერო და სხვა გვარწმუნებს, რომ დღეს მსოფლიო ერთ მთლიანობაში განიხილვ-

ბა. აქედან გლობალიზაცია არის სო- რულ პროცესებზე სულ უფრო ციალურ-სივრცითი პროცესი, მკვირდება გლობალიზაციას საერთა- რომელშიც „აფილის“ და გეოგრაფი- შორისო ურთიერთობების სოციო- ის გავლენა სოციალურ და კულტუ- ლოგიადაც მოიხსენიებენ!

XX საუკუნეში, როდესაც ქალაქის მოსახლეობამ განვითარებულ ქვეყნებში ხშირ შემთხვევაში 70-80% მიაღწია, გლობალიზაცია ის ძირ- ითადი პროცესი გახდა, რომლითაც შეგვიძლია განვსაზღვროთ თანამე- დროვე ურბანიზაცია. რა როლი აქვს ყოველივე ამაში გლობალიზა- ციას? გლობალიზაციის პროცესმა განაპირობა ბაზრების, რესურსების, კაპიტალის, მუშა ძალის თავმოყრა ერთიან მსოფლიო სავაჭრო სისტე- მაში, რომელიც გამყარებულია საკომუნიკაციო საშუალებების მზარდი განვითარებითა და გლობალური კონტროლის სისტემით.² გლობალიზა- ციის შედეგი გლობალური კულტურის წარმოშობაა, სადაც ეკონომიკურად ძლიერი ერები გავლენას ახდენენ შედარებით სუსტზე.

დღეს, სულ უფრო მძლავრდება გლობალური კორპორაციები. (სურათი 9). ისინი მსოფლიოს განიხილავენ როგორც ერთიან სივრცე- ეს³: Coca-Cola, McDonalds, Kodak სწორედ ასეთი კორპორაციების მაგალითია ახალი საკომუნიკაციო სისტემები, კომპიუტერული საშუ- ალებები სივრცესა და დროში ლავირების შეუდარებელ საშუალე- ბას იძლევა. საკაბელო ტელევიზიას (MTV, CNN და სხვა) ემატება გლობალური მაყურებელი. ქალაქები კონკურენციის პროცესში იმყ- ოფებიან, რათა მიიპყრონ გლობალური კაპიტალის ყურადღება და მიიზიდონ გლობალური ინვესტიციები. წარმოებისა და ბიზნესის გან- ლაგებას მსოფლიოში განსაზღვრავს გლობალური კონკურენცია. გაჩნდა გლობალური ბიზნესის ქსელი, რომელმაც არ იცის საზღვარი. მრავ- ალეროვანმა კორპორაციებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მე- სამე მსოფლიოს ქვეყნების ურბანულ განვითარებასა და ამ ქვეყნების ინტეგრაციაზე გლობალურ ეკონომიკასა და გლობალურ პროცესებ-

¹ Kuper, Adam, Jessica Kuper. (eds.) 1999. The Social Science Encyclopedia. London and New York; Routledge.

² Sassen, Saskia. 1998. Globalization and Its Disconnects. New York; NY Press. p. XXIII.

³ Knox, Paul, Peter J. Taylor. (eds.) 1995. Cambridge; Cambridge University Press. p. 99.

ში. გლობალიზაციის ნიშანია ის, რომ დღეს საუბარი მიდის არა კლასთა შორის ქალაქური ცხოვრების ღონის შედარებაზე, არამედ ეს შედარება მიმდინარეობს ქვეყნებსა და რეგიონებს შორის. მასმედია, კომუნიკაციისა და ტრანსპორტის საშუალებები ხელს უწყობს ასეთ მიდგომას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მიმდინარე პროცესებისადმი. გლობალიზაციის ნიშანია ის საერთაშორისო კონვენციები და ხელშეკრულებები, რომელიც აფართოებს ღია სავაჭრო ზონების გაჩენასა და საერთაშორისო ვაჭრობას.

მიმდინარეობს კულტურული გლობალიზაციაც, ანუ გლობალური კულტურის ფორმირება, ნაწილობრივ ეთნიკური თავისებურებების ხარჯზე¹ გლობალიზაციის ტემპების ზრდამ 90-იან წლებში გამოიწვია გარკვეული ერთეულების არა გაერთიანება გლობალურ სისტემაში, არამედ მათი პროტესტი ამ პროცესისადმი და ხშირ შემთხვევაში გამოიხატა თვითგამორკვევის სურვილის ზრდით — დაბრუნების სურვილით კულტურული საწყისებისა და ფესვებისადმი. შესაბამისად, გლობალიზაციას ორი პოლარული კუთხიდან განიხილავენ: როგორც ახალსა და პროგრესულს, და როგორც დამლუპველსა და კატასტროფულს. დღეს, გლობალიზაციის გავლენით ტერმინი მაკონაღლიზაციაც კი არის შემოსული ხმარებაში, რომელიც აღნიშნავს მაკონაღლიზაციის რესტორნებისა და საკვების სრულ იდენტურობას მთელს მსოფლიოში. ასეთი საზოგადოებრივი კვების ობიექტები თანამედროვე საზოგადოებაში კვების, სერვისისა და დიზაინის სტანდარტიზაციის ერთ-ერთი ნიშნეა.

❖ ურბანიზაცია დასავლეთ ევროპაში

დასავლეთ ევროპა გამოირჩევა ქალაქთა შესანიშნავად განვითარებული იერარქიით მოსახლეობის რაოდენობის კუთხით: ძირითადად, 5000-დან 1 მილიონ მოსახლემდე. დღეს აქ, ისევე როგორც აშშ-ში, აშკარაა სუბურბანიზაციის ტენდენციები. ინგლისში, გერმანი-

¹ Scott, Allan, (eds). 1999. The Limits of Globalization: Cases and Arguments. London and New York; Routledge. pp. 284-300.

აში, იტალიასა და სხვა ქვეყნებში მოსახლეობა ცენტრიდან გარეუბნებში მიიღლტვის. მეორეს მხრივ, ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად ბელგიაში, ლუქსემბურგში, და საფრანგეთში შენარჩუნებულია ცენტრის ზრდის ტენდენცია. ევროპის ქალაქები დღეს აღარ არიან მწარმოებელი, არამედ სრულიად არიან ჩართულები სერვისის ეკონომიკაში. მაგალითად ბრიტანეთში 1978-85 წლებში წარმოება 24%-ით დაეცა და გაიზარდა უმუშევრობა ქალაქის მოსახლეობის გაუნათლებელ ფენაში.¹ ამავე დროს, 44%-ით გაიზარდა საბუშარო რაოდენობა სერვისის სფეროში. 1986 წელს ლონდონში სამსახურის 15% განთავსებული იყო წარმოებაში, 80% კი — სერვისის სფეროში. ასეთმა ეკონომიკურმა პროცესებმა დიდი გავლენა მოახდინა ქალაქთა არა მარტო სოციალურ, არამედ სივრცით გარემოზეც. მაღალი ტექნოლოგიების განვითარების გავლენით დაიწყო მრავალპექტარიანი ფართობის სამეცნიერო პარკების (*science parks*) მშენებლობა, რომელთაც, თავის მხრივ, ქალაქთა შორის გარკვეული კორიდორები ჩამოაყალიბეს და ურბანული გარემოს ახალი კონტინიუმი შექმნეს ევროპაში. ეს მოდელი განსაკუთრებით საფრანგეთსა და ინგლისში განვითარდა.

❖ ურბანიზაცია აღმოსავლეთ ევროპაში

კომუნისტურმა იდეოლოგიამ 70 წლის მანძილზე თავისი დადი დასვა აღმოსავლეთ ევროპის ქალაქებს. ცენტრალიზებული ეკონომიკით და კომუნისტური იდეოლოგიის მატარებელი ქალაქის მაფორმირებელი ფაქტორები თავისებურ სპეციფიკას აძლევდნენ ქალაქის სოციალურ-სივრცით გარემოს.²

უძრავი ქონებისა და მიწის ბაზრის, კერძო ბიზნესის, ფინანსური კაპიტალის სექტორის არარსებობა ერთგვაროვან ხასიათს აძლევდა ქალაქის გარემოს. შესაბამისად, 1990-იან წლებში ეს ქალაქები საბაზრო

¹ Sassen, Saskia. 1998. *Globalization and Its Disconnects*. New York, NY Press. p. XXIII.

² თ. სულუხია. მსხვილი საცხოვრებელი მასივების ფუნქციურ-სივრცით რეორგანიზაციის ურბანოლოგიური წინაპირობები. დისერტაცია. 1997. გვ. 3-20.



სურათი 8. ნიუ-იორკი და ტოკიო თანამედროვე ქალაქის ბიზნესისა და სავაჭრო ქუჩები



ეკონომიკას მრავალი გაუგებრობითა და შეუსატყვისობით შეხვდნენ. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ ევროპის ცენტრალური ქალაქები უმეტესად ისტორიულ ქალაქებს წარმოადგენს და ისინი სოციალისტურ რეჟიმს უკვე ფორმირებულნი შეხვდნენ. სოციალისტურ წყობაში განხორციელდა მხოლოდ ძველ მოდელზე და დაგეგმარების საშუალებით ახლის შექმნა, ისტორიულმა ცენტრებმა შეძლეს გარკვეულად შეენარჩუნებინათ ფორმირებული სტრუქტურა, დაგეგმარება და ვიზუალური ხასიათი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს მიერ მიმართულმა ინვესტიციებმა შეძლეს მთლიანად ქალაქთა სოციალურ-სივრცითი სტრუქტურისა და ინდივიდის ქალაქის გარემოსთან მიმართების შეცვლა. გარდა ამისა, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა სისტემათა ქვეყნებში, აქაც ურბანიზაციის ძირითადი მამოძრავებელი ძალა ინდუსტრიალიზაციის სწრაფი პროცესი იყო.¹

სოციალისტურ წყობაში ქალაქთა განვითარებას თან ახლდა საცხოვრებელი ფართის მუდმივი დეფიციტი, ვინაიდან ბინათმშენებლობის პროცესი და განვითარება არ იყო ნაკარნახევი საბაზრო პირობებით, არამედ მოწოდებული და დაგეგმილი იყო სახელმწიფოს მიერ. ბინის დეფიციტი საზოგადოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენდა, რაც უდიდეს გავლენას ახდენდა ოჯახის ცხოვრების სტილზე. საბაზრო ძალები და საზოგადოება ვერ არეგულირებდნენ მოთხოვნისამებრ მოსახლეობის საცხოვრებლით დაკმაყოფილებას. თაობები ერთ ჭერქვეშ მრავლდებოდნენ. ასეთმა განთავსებამ უდიდესი გავლენა მოახდინა საზოგადოების სტრუქტურასა და ქალაქური ცხოვრების სპეციფიკაზე. შესაბამისად, ქალაქი არ ვითარდებოდა საბაზრო და სოციალური პროცესების მიერ ნაკარნახევი ძალებით, არამედ მხოლოდ სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული „მოწოდებითა“ და სახელმწიფო გადაწყვეტილებებით.

მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ სოციალისტურმა რეჟიმმა აღმოსავლეთ ევროპის ქალაქები მრავალი ნაკლოვანი პროცესისაგან იხსნა, რომელიც ბუნებრივად განვითარდა განვითარებადი და განვი-

¹ Shanon, Thomas, Nancy Kleniewski, William Cross. 1997. Op. Cit. p. 284



სურათი 9. უილიამ ლევიტის მიერ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აგებული ლევიტ-ტაუნი. 17,477 ერთბინიანი იზოლირებული სახლი აგებულია იდენტური პროექტით და ქარხნული მეთოდით.

თარებული მსოფლიოს ქვეყნებში. მაგალითად, „შენტიტაუნების“ (shantytown) ფორმირება, რომელიც ჩვეული ამბავია განვითარებად ქვეყნებში და გეტოს უბნები, რომელიც ასე ხშირია განვითარებული ქვეყნების ცენტრალურ ქალაქებში.

1990-იან წლებში საბჭოთა წყობის რღვევის შედეგად გაჩნდა მიწისა და უძრავი ქონების ბაზარი, ფინანსური კაპიტალი, შეიცვალა მთავრობის როლი დამგეგმარებელ და მაკონტროლებელ მექანიზმებთან მიმართებაში, გაჩნდა კერძო სექტორი და თანდათანობით გაიზარდა საბაზრო ძალების როლი ქალაქისფორმირებაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესები ჯერ კიდევ ახალია, მათი მიმდინარეობა გვარწმუნებს იმაში, რომ ურბანიზაციის პროცესები მსოფლიოს ამ ნაწილში ინდუსტრიული ქვეყნების მსგავსად ვითარდება: იზრდება კლასთა სეგრეგაცია ქალაქის სივრცეში, იწყება სუბურბანიზაცია, წარმოებას თანდათანობით ეფარდება სერვისის ეკონომიკა. მიუხედავად ამისა, შესაძრწევეია, რომ აღმოსავლეთ ევროპაშიც ურბანული გარემოს არაბაღანსირებული განვითარება ხდება, ანუ არ არის დაცული ის იერარქია ქალაქებისა, რომელიც ქვეყანაში ერთი (ან ორი) ლიდერი ქალაქის ერთპიროვნულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ დომინირებას აგვაშორებდა საკმაოდ მნიშვნელოვან დომინირებასთან ერთად.

❖ აშშ-ს ურბანიზაცია

აშშ მსოფლიოს ყველაზე ურბანიზებული ქვეყანაა. მისი ისტორია ოთხ ძირითად ეტაპად იყოფა: კოლონიალური პერიოდი — 1630-1812წწ; ქალაქთა განვითარების პერიოდი — 1812-1920; ქალაქთა ზრდის — 1920-1960 და დეკონცენტრაციის პერიოდი — 1960წ-დანდღემდე. ეს განვითარება გარკვეულად უკავშირდება კაპიტალიზმის განვითარების ძირითად ფაზებს აშშ-ში. მაგრამ ჩვენ, რა თქმა უნდა ურბანული განვითარება მხოლოდ ეკონომიკური სისტემის განვითარებით არ უნდა ავხსნათ, რადგან როგორც სოციალურ-სივრცითი მიდგომა გვარწმუნებს, ქალაქისა და მეტროპოლიტენის განვითარებაზე მოქმედებს

არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური და სოციალური ფაქტორები (ცხრილი 6).

ცხრილი 6. აშშ-ს ყველაზე დიდი ქალაქები 1980-1990წწ. ¹

ქალაქი, შტატი	1980	1990
ნიუ-იორკი, ნიუ-იორკი	7 071 639	7 322 564
ლოს ანჯელესი, კალიფორნია	2 966 850	3 485 398
ჩიკაგო, ილინოისი	3 005 072	2 783 726
ჰიუსტონი, ტეხასი	1 595 138	1 630 553
ფილადელფია, პენსილვანია	1 688 210	1 585 577
სან-დიეგო, კალიფორნია	875 538	1 110 549
დეტროიტი, მიჩიგანი	1 203 339	1 027 974

1960-იანი წლებიდან აშშ-ში გატარდა სუბურბანიზაციის მეტად საინტერესო და ძლიერი ტენდენცია, რომელიც გარკვეული ხარისხით ყველა განვითარებად ქვეყანაში მიმდინარეობს, მაგრამ აშშ-ში იგი განსაკუთრებული ინტენსივობით და სიძლიერით გამოვლინდა (სურათი 9, 10). საშუალო კლასისათვის ქალაქის პრესტიჟულ უბნებში საცხოვრებლის შეძენა და მაღალი დონის საცხოვრებელი პირობების მოპოვება ეკონომიკურად მიუწვდომელი იყო, ამიტომ 1930 წლიდან მათმა წარმომადგენლებმა მაღალი ინტენსივობით დაიწყეს ქალაქთა გარეუბნებში გადანაცვლება ერთბიანი საცხოვრებელ სახლებში. აღსანიშნავია, რომ ქალაქგარეთ ცხოვრების სურვილი და ერთბიანი საცხოვრებელ სახლის იდეალია ყოველთვის თან ახლდა ქალაქთა განვითარებას, მაგრამ ავტორტრანსპორტისა და კომუნიკაციის სხვა საშუალებებმა ეს ოცნება რეალობად აქცია. ამას დაემატა ის ფაქტიც, რომ ინდუსტრიალიზაციის პერიოდში მეწარმეებმა საწარმოები ქალაქგარეთ გაიტანეს და ამან სატელიტური ქალაქებისა და მუშათა კლასის ქალაქთა ცენტრში კონცენტრაციის სწრაფ შემცირებას შეუწყო ხელი.


¹ ადაპტირებულის შემდეგი წყაროდან: Gottdiener, Mark. 1994. The New Urban Sociology. McGraw Hill Inc. p. 80.

სატრანსპორტო ტექნოლოგიის წინსვლის შედეგად შეიცვალა მიწის მოხმარების სტრუქტურა ქალაქში. ურბანული ქცევა და ქალაქში მოძრაობის ფაქტორები სულ უფრო ნაკლებად დამოკიდებული გახდა მანძილსა და სიშორეზე. მეორე მნიშვნელოვანმა მიღწევამ, რომელიც რკინა-ბეტონის გამოგონება გახლდათ, საზოგადოებას ცათამბრჯენების მშენებლობის საშუალება მისცა, რამაც სრულიად დააკონკრეტა ქალაქთა ცენტრალური საქმიანი რაიონის მდებარეობა. მოსახლეობის სიმჭიდროვე ქალაქის ცენტრებში შემცირდა და მიწის მაღალი ფასების გამო, ასეთი უბნები ბიზნესმა ჩაიგდო ხელში. მანძილი საცხოვრებელსა და სამსახურს შორის სულ უფრო იზრდებოდა. ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში თავდაპირველად პარიზში და შემდეგ ნიუ-იორკში შემოვიდა ტრანსპორტის ახალი საშუალება — ომნიბუსი, რომელშიც ცხენი იყო შებმული, იგი 12 მგზავრს იტევდა და მხოლოდ კონკრეტული მარშრუტებით დადიოდა. შემდეგ განივითარდა საკაბელო და სარკინიგზო ტრანსპორტი და ასე შემდეგ. 1898 წელს კი ბოსტონში შეიქმნა და ხმარებაში შევიდა პირველი მეტრო. 1860 წელს ნიუ-იორკის საზოგადოებრივი ტრანსპორტს უკვე 45 მილიონი მგზავრი გადაჰყავდა წელიწადში.¹ XIX საუკუნის ბოლოს ინდუსტრიული ქალაქის სიბინძურეს და ხმაურს მოშორებული პირველი სუბურბანული მოსახლეობა ამერიკელი კომპიუტერები იყვნენ. შემდეგში მათი სულ უფრო მზარდი რაოდენობა მოჰყვა მთელს მსოფლიოში და გაჩნდა გარეუბნის „საბარბის“ (*suburb*) ახალი ცნება. ქალაქის საცხოვრებელი უბნების ტერიტორია სულ უფრო გაიშალა და გაფართოვდა, მაგრამ ვითარდებოდა იგი იმ სატრანსპორტო საშუალებების ზრდის პარალელურად, რომელიც უზრუნველჰყოფდა კომპიუტერთა მოხერხებულ გადაადგილებას სამსახურსა და სახლს შორის. ასეთი უბნები — სატელიტები — ქალაქის ეკონომიკაზე იყო დამოკიდებული და ცალკე არ აღიქმებოდა.

1900-იანი წლებიდან აშშ-ში განსაკუთრებით სწრაფად დაიწყო ზრდა ქალაქის მოსახლეობამ და 1920 წლისთვის უკვე სოფლის მოსახლეობას გადააჭარბა.

ამ პერიოდისათვის ორი მნიშვნელოვანი პირობა ჩამოყალიბდა,

¹ Gottdiener, Mark. 1994. Op. Cit., p. 55.



სურათი 10. კელაქის პალმ-სიტი, ფლორიდა, აშშ. განაშენიანებული სუბურბანული ერთბინიანი სახლებით, რომლებიც აგებულია იდენტური პროექტითა და ქარხნული მეთოდით. (წყარო: Kostof, Spiro, 1991, *The City Shaped; Urban Patterns and Meanings Throughout History*. Boston, New York, Toronto, London; f Bulfinch Press Book Little, Brown and Company).

რომელმაც აშშ-ში ურბანიზაციის შემდგომი დაჩქარება გამოიწვია. პირველი იყო საავტომობილო ინდუსტრიის განვითარება; მეორე კი, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, რომელმაც სოფლის მუშახელის დიდ რაოდენობა უმუშევარი დატოვა და ამ მუშახელის ქალაქისაკენ გადინება განაპირობა სამუშაოს საძებნელად.

ცხრილი 7. აშშ-ს რურალური მოსახლეობა, 1920-1990.

წელი	რურალური მოსახლეობის რაოდენობა
1920	31 974 000
1930	30 529 000
1940	30 547 000
1950	23 048 000
1960	15 635 000
1970	9 712 000
1980	7 241 000
1990	4 591 000

20-იან წლებში უკვე ამერიკაში შეიქმნა „მეტროპოლიტენი“, რომელიც ცდება ცალკეული ქალაქის მიერ ჩამოყალიბებულ სოციალურ, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ გარემოს და მეტი ტერიტორიული ერთეულების ერთობლივ ფუნქციონირებასა და კავშირს ემყარება. 20-იანი წლების ბოლოს აშშ-ში უკვე ასეთი 96 მეტროპოლიტენი არსებობდა, სადაც იგულისხმება, რომ რამდენიმე ქალაქი ერთიან სისტემაში ფუნქციონირებდა. 1950 წელს აშშ-ს მთავრობამ უკვე შემოიტანა მეტროპოლიტენის ოფიციალური ცნება და მისი საზომი სტატისტიკური ერთეული — ეგრეთ წოდებული სტანდარტული მეტროპოლიტენის სტატისტიკური არეალი (SMSA).

1920 წლისთავის გამოგონილ იქნა კონვეირის მეთოდი, რის შედეგადაც ავტომობილის ფასები სამჯერ შემცირდა. აგრეთვე ამ პერიოდში გაიზარდა საშუალო ხელფასი და ამ ორმა ფაქტორმა სულ უფრო მეტ ინდივიდს მისცა ავტომობილის ფლობის საშუალება. ავტომფლობელთა მზარდი რიცხვიდან შემოსულმა გადასახადებმა საშუალება მისცა მთავრობას გაეზარდა საავტომობილო გზების ინვესტიციები და აემალლებინა ტრასებისა და ქუჩების ხარისხი. ავ-

ტოტრანსპორტისა და, ზოგადად, ტრანსპორტის განვითარებამ კოლოსალური როლი შეასრულა მეტროპოლიტენის როლის ამოღებაში. უკეთესი გზები ამცირებდა გარეუბანი-ქალაქი-გარეუბანი სამოძრაო გზას და ამით საშულებას აძლევდა გარეუბნებს უფრო მეტად გაშლილიყვნენ ცენტრის საწინააღმდეგო მიმართულებით.

აშშ-ს მთავრობის პოლიტიკა მიზანმიმართულად უწყობდა ხელს სუბურბანიზაციის განვითარებას. მთავრობამ საზოგადოებრივ ტრანსპორტზე მეტად დაბალი გადასახადი დააწესა და ამ ტრანსპორტით კომიუტერთა მოძრაობა ეკონომიკურად ეფექტური გახადა საშუალო კლასისათვის. 1934 წელს კონგრესმა გაატარა ეროვნული საცხოვრებლის აქტი, რომელმაც ჩამოაყალიბა ფედერალური საცხოვრებლის სამსახური. ამან საშულება მისცა ხარისხიანი საცხოვრებლის მფლობელებს ესარგებლათ ფედერალური მთავრობის მხრიდან იპოთეკური დაზღვევით ბანკის წინაშე. ეს ამცირებდა ბანკების რისკს საცხოვრებლის რეაბილიტაციისა თუ განახლებისათვის სესხის გაცემაში, ამ პოლიტიკამ კაპიტალი მიიზიდა საცხოვრებლის ინდუსტრიაში.

შემდგომი ნაბიჯები გადაიდგა 1937 და 1941 წლებში, როდესაც მთავრობამ დააწესა საგადასახადო სუბსიდიები უძრავ ქონებაზე. კონკრეტულად ბინის ფლობისა და ქირაობისათვის. 40-იან წლებში 16 მილიონმა ომიდან დაბრუნებულმა ჯარისკაცმა უზარმაზარი მოთხოვნა წამოაყენა იაფ და ხარისხიან საცხოვრებელზე. 1944 წელს გატარდა სპეციალური საკონონმდებლო აქტი (*Readjustment Act*), რომელმაც მთელი პაკეტი შეუქმნა ომიდან დაბრუნებულ ჯარისკაცებს განათლების მიღებისა და ბინათმფლობელობისათვის სუბსიდირებული კრედიტების საშუალებით.

1951 წელს ჩამოყალიბდა ეროვნული საიპოთეკო „ფანი მეის ასოციაცია“, რომელმაც მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ასეთი კრედიტი თუ სუბსიდირებული საიპოთეკო სესხები ხელმისაწვდომი გახადა საშუალო კლასისათვის.

აშშ-ს მთავრობის ამ უმნიშვნელოვანესმა პოლიტიკურმა ნაბიჯებ-

მა უდიდესი ბიძგი მისცა ბინათმფლობელობის განვითარებას, განსაკუთრებით კი გარეუბნებში, სადაც მიწის ბაზარი შედარებით იაფია. 1940-1960 წლებში აშშ-ს ქალაქთა უმრავლესობაში თეთრკანიანმა საშუალო კლასმა თითქმის მთლიანად დატოვა ქალაქთა ცენტრალური უბნები და გარეუბნებში გადასახლდა. 1970 წელს კი აშშ უკვე პირველი ქვეყანა იყო, სადაც მოსახლეობის უმეტესობა ქალაქგარეთ ცხოვრობდა. ამ უზარმაზარმა ცვლილებამ საზოგადოებაში ქალაქური კულტურის მნიშვნელოვანი გარდატეხა გამოიწვია. გარეუბნის მოსახლეობა 70-იანი წლებისათვის უკვე ძირითადად, საშუალო კლასის წარმომადგენელი „თეთრსაყელოანი“ მოსამსახურე კლასი იყო, საკმაოდ პეტეროგენული თავისი რასის, ცხოვრების სტილისა და ასაკის მხრივ.

აშშ-ს ურბანიზაციაში კრიტიკული გავლენა მოახდინა 70-იანი წლების დეინდუსტრიალიზაციის პროცესმა, როდესაც აშშ-მ და დასავლეთ ევროპამ ერთად 8 მილიონი სამუშაო ადგილი დაკარგეს. ინდუსტრიული ქალაქების რიცხვი შესაბამისად შემცირდა და შეიცვალა მათი სოციალურ-სივრცითი სტრუქტურის ხასიათი.

1990-იან წლებში წარმოიშვა თეორია, რომ ყველა ამერიკული ქალაქი ამჟამად ლოს-ანჯელესის სტილით იზრდება, კერძოდ კი, — მრავალცენტრიანობის პრინციპით, სადაც რამდენიმე უბნის განვითარება ხდება ცენტრალური ფუნქციებით და არა ერთის. ასეთ ქალაქებს განაპირა ქალაქები (edge cities) ეწოდება და მათი განვითარების პრინციპი სწორედ ქალაქთა ცენტრებიდან მოსახლეობის ემიგრაციას ეფუძნება.

III თავის საკითხავი ლიტერატურა:

ურბანიზაცია:

- ❖ Shanon, Thomas, Nancy Kleniewski, William Cross. 1997. Urban problems in sociological perspective. Prospect Heights; Waveland press. Pp.1-59.
- ❖ Levy, John M. 2000. Contemporary Urban Planning. Upper Saddle River; Princeton-Hall, Inc., pp. 7-23.
- ❖ Яницкий О. Социальные аспекты урбанизации в условиях НТР. С. 3-50 В кн. Проблемы современной урбанизации. М., „Статистика“, 1973.

განვითარებადი სამყაროს ურბანიზაცია:

- ❖ Shanon, Thomas, Nancy Kleniewski, William Cross. 1997. Urban problems in sociological perspective. Prospect Heights; Waveland press. Pp. 291-302
- ❖ Flanagan, William G. 1999. Urban Sociology; Images and Structures. Needham Height. Allyn & Bacon. Pp. 137-178.
- ❖ Gottdiener, Mark. 1994. The New Urban Sociology. McGrow Hill Inc. pp. 249-271.

განვითარებული ქვეყნების ურბანიზაცია:

- ❖ Shanon, Thomas, Nancy Kleniewski, William Cross. 1997. Urban problems in sociological perspective. Prospect Heights; Waveland press. Pp.185-267.
- ❖ Levy, John M. 2000. Contemporary Urban Planning. Upper Saddle River; Princeton-Hall, Inc. pp. 7-22; 25-59.
- ❖ Яницкий О. Урбанизация и рабочий класс в развитых странах – некоторые актуальные вопросы социологических исследований. С. 5-37. В кн. Урбанизация и расселение трудящихся в условиях капитализма. М., „Прогресс“. 1974.


გლობალიზაცია:

❖ თ. სულუხია. ტრადიციის როლი თანამედროვე ქალაქის გარემოს ფორმირებაში: სოციალურ-ფსიქოლოგიური ანალიზი. „არქიტექტურა“, 2000 აპრილი, გვ. 7.

❖ თ. სულუხია. თბილისის ქალაქური გარემო და ახალი ტენდენციები. „სელოვნება“, 3-4, 1998. გვ. 36-39.

❖ Sassen, Saskia. 1998. Globalization and Its Disconnects. New York; NY Press. Pp.??

❖ Street, John. 1997. Across the Universe: The Limits of Global Popular Culture in Scott, Allan (eds). The Limits of Globalization, London and NY: Routledge. Pp. 175-219.



თანამედროვე ურბანსოციოლოგია

- ქალაქი და პოლიტიკონომია
- არათანაბარი განვითარების თეორია
- კლასობრივი კონფლიქტის თეორია
- სტროპერი და ულკერის თეორია
- მანუელ კასტელსის თეორია
- თანამედროვე სოციოლოგიური მიდგომა
- ზრდის მანქანა
- სოციალურ-სივრცითი მიდგომა
- უტოპისტური ურბანისტები
- დაგეგმარების კრიტიკოსები
- რეგიონალიზმის პერსპექტივა
- სტრუქტურული ზაციის თეორია. ენტონი გიდენსი

XX საუკუნის მეორე ნახევარში კაპიტალიზმისა და გლობალიზაციის ტენდენციებს მზარდი ყურადღება დაეთმო ქალაქების ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული, ასევე, სოციალური საკითხების წინა პლანზე წამოწევის გზით. გაიზარდა მეცნიერთა ყურადღება რასიზმის, გენდერული საკითხების, მეტროპოლისის განვითარების, უძრავი ქონების ბაზრებში ინვესტიციებისა და რეგიონული საკითხებისადმი. ეს პროცესი 1970 წლისთვის საბოლოოდ ჩამოყალიბდა და ყველაზე ნიშანდობლივი ის არის, რომ ნაშრომთა უდიდესი ნაწილი მეცნიერებათა სხვადასხვა სფეროებსა და განსხვავებულ გეოგრაფიულ რეგიონებში დამუშავდა. ამასთან, მათ საერთო მიმართულება და მახასიათებლები აქვთ. ეს საერთაშორისო ორიენტაცია და ინტელექტუალური მრავალმხრივობა მაინც ვებერის, მარქსისა და ენგელსის ნაშრომებში იღებს სათავეს, მათ კაპიტალიზმის ანალიზში სხვაგვარად პოლიტეკონომიური ეწოდება. ჩვენ მიერ I თავში განხილულ კლასიკური ურბანსოციოლოგიის საწყისებთან შედარებით ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო თავისი აქცენტით პოლიტიკური და ეკონომიკური წანამძღვრებისადმი. სოციოლოგებმა, თავის მხრივ აიტაცეს და განავითარეს პოლიტიკური ეკონომიის მიდგომა, მაგრამ თანამედროვე პოლიტეკონომიისა და ქალაქის მიმართების ანალიზისათვის აუცილებელია მარქსის, ენგელსისა და ვებერის თეორიათა განხილვა.

თუმცა მარქსის მიდგომის კუთხე არასოდეს ყოფილა ქალაქი და ურბანული პროცესები, 1970-იან წლებში ურბანული თეორეტიკოსების შრომებს მარქსის იდეები დაედო საფუძვლად. ეს მიდგომა აკრიტიკებდა კლასიკურ ურბანსოციოლოგიასა და ეკოლოგიას და ემზრობოდა მარქსის აზრს იმის შესახებ, რომ საზოგადოების განვითარების პროცესებს საფუძვლად უდევს ეკონომიკური ფაქტორები, და არა როგორც კლასიკოსი ურბანსოციოლოგები გვთავაზობენ — ქალაქის მოცულობა, სიმჭიდროვე და პეტეროგენულობა. კლასიკოსმა სოციოლოგებმა მარქსმა და ვებერმა სოციალური განვითარების ზოგადი კანონების გამოსაკვლევად ისტორიული ანალიზი გამოიყენეს. მათ დაასკვნეს, რომ საზოგადოება ვითარდება ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ინტეგრირებული სისტემის გარშემო. საზოგადოების ქცევისა და

სოციალური ისტორიის განსაზღვრისას მარქსი, ძირითადად, ეკონომიკურ ფაქტორებს ეყრდნობოდა. ვებერი კი პოლიტიკურსა და კულტურულს. მარქსის ფუნდამენტური ნაშრომი — „კაპიტალი“ 1867 წელს დაიწერა და გარკვეულწილად იზილავდა ქალაქის ხასიათს, ვებერის „ეკონომიკა და საზოგადოება“ (1920 წ.) ქალაქის საკითხებს ეხებოდა. მარქსმა და ვებერმა გვაჩვენეს ის, თუ როგორ ვითარდებოდა საზოგადოებრივი ორგანიზაციის (ფეოდალიზმისა თუ კაპიტალიზმის) ფორმა სივრცის ფორმაციასთან მიმართებაში ამ ფორმაციაში მოქმედი სოციალური ურთიერთობების საშუალებით.

ისტორიული პერიოდებიდან გამომდინარე, ისინი, ძირითადად, იზილავდნენ ფეოდალურ ქალაქსა და მის ურთიერთობებს. შემდგომში, ფრიდრიხ ენგელსმა ეს მიდგომა კაპიტალისტურ და ინდუსტრიულ ქალაქთან მიმართებაში გააღრმავა. მისი თეორია ძირითადად ინგლისის ქალაქ მანჩესტერის მაგალითზე დაყრდნობით განვითარდა¹, რადგან იგი კაპიტალისტური ინდუსტრიული ქალაქის მაგალითს წარმოადგენდა, რომელიც სწორედ ინდუსტრიალიზაციასთან ერთად აღმოცენდა და ხანგრძლივი ისტორიული წარსული არ გააჩნდა, როგორც, მაგალითად, ლონდონს. ენგელსმა რამოდენიმე ძირითადი პოსტულატი ჩამოაყალიბა. უპირველეს ყოვლისა ის, რომ ქალაქი არის ფული-სა და მუშახელის კონცენტრაციის ადგილი. მეორე, რომ როდესაც ქალაქი ვითარდება, ინვესტიციები ცენტრიდან პერიფერიისკენ გადაადგილდება. მესამე, მან ყურადღება გაამახვილა იმ სოციალურ პრობლემებზე, რომელიც ტრადიციული საზოგადოების რღვევასა და ახალზე გადასვლას მოჰყვება: მათხოვრობა, სიღარიბე, პროსტიტუცია, ალკოჰოლიზმი, კრიმინოგენული სიტუაციის ზრდა და სხვა. გარდა ამისა, მან გამოავლინა, რომ კაპიტალიზმი შობდა კლასების სივრცით იზოლაციას და ხელს უწყობდა უთანასწორობის განვითარებას.

პოლიტეკონომია სწავლობს ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკური ცვლილებების მოდელებს. მასში ძირითადი ყურადღება ეთმობა და-

ბალშემოსავლიან და მაღალშემოსავლიან კლასებს შორის ურთიერთობებს, რომლებიც გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში თავმოყრი-

¹ Flanagan, William G. 1999. Urban Sociology; Images and Structures. Needham Height. Allyn & Bacon. p. 26-27.

ლი. ეს მიღვომა ხსნის უფრო მდი-
დარი ეკონომიკისა და პოლიტიკური
წყობის ქვეყნების დომინირებას შედარ-
ებით დაბალგანვითარებულ ერებსა და
ქვეყნებზე. პოლიტიკონომია აგრეთვე
სწავლობს თუ როგორ შეესაბამება
პოლიტიკური გადაწყვეტილებები და
სოციალური პოლიტიკა კონკრეტული
ეკონომიკური ინტერესების მქონე კლას-

სებს, როგორ შეუძლია მას მიანი-
ჭოს ან წაართვას შესაძლებლობები
სხვადასხვა ინტერესების მა-
ტარებელ ჯგუფებს კონკურენციის
პროცესში. პოლიტიკონომიის ძირ-
ითადი შეკითხვა, რომელიც ეხება
იმას, თუ ვინ სარგებლობს ამა თუ
იმ პოლიტიკიდან, გამოძვინარეობს
სწორედ მარქსის თეორიიდან¹.

დამატებითი ცვლილება თანამედროვე ურბანსოციოლოგიაში
მოიტანა კაპიტალიზმის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური სისტემ-
ისადმი მზარდმა ინტერესმა და მისმა შესწავლამ. თუ ადრე, გან-
საკუთრებით 1970 წლამდე, კონკრეტულ ურბანულ პროცესებსა და
მოვლენებს ხშირად ცალკეულ ინდივიდთა ნება-სურვილით ხსნიდნენ,
დღეს, თვით ეს სურვილები საბაზრო მოთხოვნისა და მოწოდების
პრინციპებით აიხსნება. მაგალითად, თუ განვიხილავთ იმ ფაქტს, რომ
ცალკეულმა ინდივიდმა თავისი სურვილით ქალაქური ბინიდან სუბ-
ურბანულ კერძო ერთბინიან საცხოვრებელ სახლში გადასვლა გადაწყ-
ვიტა, ამის მიზეზი სწორედ სუბურბანიზაციის პროცესის ეკონომიკუ-
რი და სოციალური პირობები და საბაზრო პროცესები გვეკვლინება.
ადამიანთა და გარემოს ურთიერთობაში ინდივიდუალურ ქცევასა და
არჩევანს თანამედროვე სოციოლოგია საბაზრო პროცესების კუთხით
უდგება და მოთხოვნა-მიწოდების სტატუსით ხსნის. საბაზრო პრო-
ცესების უდიდესი როლი კიდევ უფრო წარმოაჩინა სოციალისტური
სამყაროს დაცემამ და მსოფლიოში კაპიტალიზმის, როგორც
ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემის სრულმა მონოპოლიამ.

პოლიტიკონომიის მიმართება ქალაქში მიმდინარე პროცესებთან
მიმართებაში იმ კუთხით არის მნიშვნელოვანი, რომ მას სჯერა პოლი-
ტიკური გადაწყვეტილებების უნარისა, მიანოჭონ ან წაართვან ამა
თუ იმ სოციალურ ჯგუფებს პირობები ქალაქში მათი ცხოვრების,
მოღვაწეობის, სივრცით განლაგებასთან მიმართებაში ისევე, როგორც
არსებულ რესურსებთან მიმართებაში.

¹ Kuper, Adam, Jessica Kuper. (eds.) 1999. The Social Science Encyclopedia. London and
New York; Routledge. p. 627.

1960 წლებიდან მარქსის თეორიას მზარდი ყურადღება დაეთმო ევროპაში, განსაკუთრებით კი საფრანგეთში. ფილოსოფოსმა ჰენრი ლეფვერმა (Henry Lefevre) (სურათი 11). მარქსისა და ენგელსის ნაშრომებიდან ამოატივტივა პოლიტიკური ეკონომიის თემა ქალაქის განვითარებასთან მიმართებაში. მან ქალაქის თეორიაში დაამკვიდრა ახალი ეკონომიკური კატეგორიები: მოგება, ინვესტიცია, ქირა, ზეღვასი, და ასე შემდეგ, რომლებიც მისი თეორიის მიხედვით, ქალაქის განვითარების უმნიშველოვანესი კომპონენტებია. ლეფვერმა აგრეთვე შემოიტანა ახალი მიდგომა სივრცისადმი, როგორც სოციალური ორგანიზაციის კომპონენტისადმი. მან განაცხადა, რომ სოციალური ურთიერთობები თვითონ ახდენს გავლენას სივრცის ფორმირების პროცესზე. მან დააკონკრეტა, რომ ეს განსაზღვრება უკუქმედებითია — სივრცე გავლენას ახდენს ქცევაზე, და აგრეთვე წარმოადგენს ქმედების შედეგს.

ლეფვერის შემოქმედების მნიშვნელობა იმითაც განისაზღვრება, რომ მან განიხილა მმართველობის როლი ქალაქის განვითარებასა და ქალაქური პროცესების მიმართებაში.¹ სახელმწიფო იყენებს სივრცეს სოციალური კონტროლის მიზნით: ფლობს და ადმინისტრირებს მიწას, აკანონებს და აგროვებს გადასახადებს, ფლობს ისეთ სერვისებს, როგორიცაა: სახანძრო, წყლის მიწოდება, და სხვა, ანუ სახელმწიფო მმართველობის როგორც ქალაქმაფორმირებელი ფაქტორის როლი მეტად დიდია. ლეფვერის თეორიამ, ერთის მხრივ, და კლასიკოსების — მარქსის, ვებერისა და ენგელსის თეორიამ, მეორე მხრივ, უდიდესი გავლენა მოახდინა თანამედროვე ურბანული თეორიის შემდგომ განვითარებაზე.

❖ არათანაბარი განვითარების თეორია

პოლიტეკონომია კაპიტალის აკუმულაციას ქალაქის გარემოს განვითარებაში უმნიშვნელოვანეს კომპონენტად მიიჩნევს. ინვესტიციები ის ძირითადი საშუალებაა, რომელიც ქალაქის გარემოს ხარისხობრივ გაუმჯობესებას განაპირობებს. კაპიტალის ინვესტიციებით იქმნება არა მარტო სამუშაო ადგილები, არამედ საგადასახადო შემოსავლები, რომლებიც გამოიყენება უბნების მდგომარეობის გაუმ-

¹ Gottdiener, Mark. 1994. The New Urban Sociology. McGraw Hill Inc. p. 127.



სურათი 11. კერი ლევკოვა



სურათი 12. სენტ ლუისში პრუიტ-აიგოს საცხოვრებელი მახვიის აფეთქება 1972 წელს.

ჯობესებისათვის ადგილობრივი მმართველობის მიერ. სწორედ ესაა არათანაბარი განვითარების საფუძველი — შედარებით მდიდარი უბნები იღებენ მეტ ინვესტიციებს და უფრო სწრაფად ვითარდებიან.

გარდა ამისა, დიდ განსხვავებას ქმნის მაღალშემოსავლიანი და დაბალშემოსავლიანი ინდივიდების მიერ შეტანილი წვლილი გარემოს მახასიათებელი ნიშნების ფორმირებაში. მდიდარი მეტ ფულს ხარჯავს თავის უბანში და მეტი წვლილი შეაქვს ადგილობრივ ბიუჯეტში, ვიდრე ეს დაბალშემოსავლიან მოსახლეობას შეუძლია.

მსოფლიო ფინანსური კაპიტალი დღეს განსაკუთრებით მობილურია და საშუალებას იძლევა იგი დაბანდებულ იქნეს ქალაქის, ქვეყნისა თუ მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას, სადაც მან ყველაზე დიდი მოგება შეიძლება მიიღოს! შესაბამისად, ღარიბ უბნებში მაღალი მოგების შესაძლებლობა დაბალია და კაპიტალის მობილურობა საბოლოო შანსს ართმევს ღარიბ უბნებს მიიზიდონ ან შეაკავონ თავისთან კაპიტალდაბანდებები.

ეკონომიკური ზრდა არის ეროვნული შემოსავლის ზრდა, ან გამოშუქებული პროდუქციის ან სერვისის წილის ზრდა ერთ სულ მოსახლეზე, რომელიც იზომება მთლიანი ეროვნული პროდუქტით. ეკონომიკური ზრდა არ ნიშნავს აუცილებლად ამ მატეხის თანაბრად გადანაწილებას მოსახლეობაზე. ეკონომიკის ზრდისათვის აუცილებელია ინვესტიციები ეკონომიკური ინფრასტრუქტურაში, განათლებაში და სხვა სფეროებში. მაგალითად, აშშ-ში XIX საუკუნეში რკინიგზასა და ტელეგრაფში ჩადებულმა ინვესტიციებმა განსაზღვრეს ქვეყნის ეფექტური ეკონომიკური ზრდა. მეორე მხრივ, ეკონომიკური ზრდა არ ნიშნავს მდგრად განვითარებას. იგი ისეთ

პოლიტიკაზეა დაფუძნებული, რომელიც ინარჩუნებს და აფართოებს ბუნებრივი გარემოს რესურსების ბაზას და ასევე მეტ-ნაკლებად ტოლფასად ანაწილებს ზრდის შედეგებს მოსახლეობაზე. ეკონომიკური განვითარება მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ქალაქის განვითარებასთან. 1945 წლიდან ეროვნული შემოსავლის ზრდა მიღებული იყო ეკონომიკური განვითარების ინდიკატორად. შემდგომ შეამჩნიეს, რომ ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური ზრდა განსხვავებული ცნებებია და იმ შემთხვევაში, თუ არ ზღვება ეკონომიკური სიკეთის თანაბრად გადანაწილება საზოგადოებაში და სოციალური თანაბარუფლებიანო-

¹ Sassen, Saskia. 1998. Globalization and Its Disconnects. New York; NY Press.

² Kuper, Adam, Jessica Kuper. (eds.) 1999. Op. Cit., p. 219

ბის მიღწევა, ეკონომიკური ზრდა ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკურ განვითარებას. ეკონომიკური განვითარება უკავშირდება სოციალისტულ აღმოფხვრას, როდესაც ეკონომიკური ზრდისათვის ეს არ არის აუცილებელი ფაქტორი. ეკონომიკური განვითარების ინდიკატორები გამყარებულია სოციალური პირობების გაუმჯობესების ინდიკატორებით: სასაბუღალტრო წყლის ხარისხი, საკვების შემცველობა, საცხოვრებლის ხარისხის გაუმჯობესება, ტანსაცმლისა და პირველადი მოხმარების საგნების მოხმარების, განათლების შესაძლებლობებითა და სხვა პირობების გაუმჯობესებით. ძირითადად, ეს პროცესები ასე შეგვიძლია შევაჯამოთ: ¹ 'ეროვნულ ხარვეზში ინვესტიციების წილის ზრდა, რომელიც ზრდის კაპიტალდაბანდობებს ერთ სულ მოსახ-

ლეზე 2. ეროვნული პროდუქციის სტრუქტურის დივერსიფიკაცია, როგორც ინდუსტრია, სერვისები და სხვა, სადაც სოფლის მეურნეობის წილი თნდათან იკლებს. 3. სავარელო ვაჭრობის ზრდა. 4. მთავრობის ბიუჯეტის ზრდა. 5. მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდა, სიკვდილიანობის წილის შემცირება და სხვა პოზიტიური დემოგრაფიული ცვლილებები. 6. ურბანული მოსახლეობის ზრდა. 7. განათლების წილის ზრდა მოსახლეობაში ეკონომიკური ზრდის კონცეპტუალიზაცია შეიძლება კაპიტალის აკუმულირების, ინდუსტრიულიზაცია, მმართველობის გაუმჯობესების, ურბანიზაციის, განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის ზრდის პირობებში.

თუმცა კოლონიალიზმი დღეს უკვე აღარ არის აქტუალური საკითხი, ასეთი ქვეყნების ურბანიზაციას დღემდე შემორჩა ძველი პოლიტიკური და ეკონომიკური მახასიათებლები, პოლიტეკონომია ასხვავებს ეკონომიკურ ზრდას ეკონომიკური განვითარებისაგან და აცხადებს, რომ ხშირ შემთხვევაში ხდება პერიფერიული სისტემის ქვეყნების ეკონომიკური ზრდა და არა ეკონომიკური განვითარება, რომელიც ნიშნავს მოსახლეობის ფართო მასებზე სარგებლის გადანაწილებასა და არა მის თავმოყრას კონკრეტულ მცირე ტერიტორიაზე ან ჯგუფში. ასეთ მიმართებას ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მიმართ პოლიტეკონომია იმით ხსნის, რომ კოლონიალურ ქვეყნებში სიმდიდრის თავმოყრა ხდება მხოლოდ ურბანულ ცენტრებში სახელდობრ, კერძო და სახელმწიფო ინვესტიციების ჩადება მხოლოდ ქალაქში იხდება და აუმჯობესებს ქალაქური ცხოვრების პირობებს. ამით მატულობს სხვაობა და კონფლიქტი რურალურსა და ურბანულს შორის. იგივე პრინციპით, ღრმავდება არაპროპორციულობა ცენტრალური ქალაქებისა და მეორადი ქალაქების განვითარებაში: მოდერნიზა-

¹ Kuper, Adam, Jessica Kuper. (eds.) 1999. p. 213.

ცია. ანუ განათლების სისტემის დახვეწა, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება და სხვა პროგრესული პროცესები ძირითადად მაღალი ტემპით მხოლოდ დედაქალაქებში მიმდინარეობს. შესაბამისად, თუმცა ხდება ქალაქთა ეკონომიკური ზრდა, ეს ქვეყნები სოფლის სიღარიბის ზრდის გამო ვერ აღწევენ ეკონომიკურ განვითარებას.

❖ *კლასობრივი კონფლიქტის თეორია*

კლასობრივი კონფლიქტის თეორია ურბანულ განვითარებაში შემოტანილ იქნა ეკონომისტ დევიდ გორდონის (David Gordon) მიერ.¹ მან შემოგვთავაზა, რომ კაპიტალისტთა მიერ თავისი ქარხნების ადგილმდებარეობის არჩევანი არა მარტო ეკონომიკური პირობებით იყო ნაკარნახევი, არამედ პოლიტიკურითაც. მაგალითად, მუშათა კლასის გარკვეული კონცენტრაციების შესაქმნელად ურბანულ სივრცეში. მან შეისწავლა ისტორიული ფაქტები და მიუთითა, რომ XX საუკუნის დასაწყისიდან ბიზნესის მფლობელნი ქარხნებისა და სტრატეგიული წარმოების განლაგებას ხშირად მიმართავდნენ იმ კუთხით, რომ შეემცირებინათ გაფიცვათა და სხვა არასასურველი პროცესების რიცხვი — მუშათა კლასის არასასურველი კონცენტრაცია ხშირად შემცირებული იყო საწარმოს გადატანით ახალ ადგილას — ქალაქის გარეუბანსა ან ახალ ქალაქში. კლასობრივი კონფლიქტი ქალაქის განვითარების თანმხლები პროცესია. მაღალშემოსავლიან კლასს აქვს კაპიტალი და ძლავუფლება და, შესაბამისად, საშუალება — შეცვალოს სივრცის სტრუქტურა, დაბალშემოსავლიან კლასს კი არა აქვს ასეთი საშუალება, მაგრამ აქვს კონკრეტული ინტერესები და შეხედულება იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა შეიცვალოს სივრცე. ამიტომ, მათი ურთიერთობა ხშირად კონფლიქტურად გამოიხატება ქალაქის სივრცეში.

❖ *სტროპერი და უოლკერის თეორია*

ორმა გეოგრაფმა — მაიკლ სტროპერმა (Michael Stropfer) და დევიდ უოლკერმა (David Walker) განავრცეს გორდონის თეორია. მათ

¹ Shanon, Thomas, Nancy Kleniewski, William Cross. 1997. Urban problems in sociological perspective. Prospect Heights; Waveland press. p. 27.

აზიაში წარმოების გადატანა და მაღალი კონცენტრაცია სწორედ ადგილობრივი მუშახელის კონკრეტული მახასიათებლებით ახსნეს.¹ მათ აღნიშნეს, რომ ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად მუშახელის დამახასიათებელი ნიშნები ამ ქვეყნებში მიმზიდველი აღმოჩნდა დასავლური ბიზნესის მეპატრონეთათვის. მაგალითად, საფეიქრო წარმოებაში მდებრობითი სქესის ახალგაზრდა დაუოჯახებელი ქალები არიან დასაქმებული, რომლებიც მათი საზოგადოების პატრიარქალური ხასიათიდან და საზოგადოებაში ქალის არსებული როლიდან გამომდინარე, მუდმივი მორჩილებისა და შეგუების ტრადიციის გავლენით მეტად იოლი სამართავი ძალაა ბიზნესის მენეჯმენტისათვის. 1970 წლიდან განვითარებულმა ქვეყნებმა ბიზნესის განვითარებად ქვეყნებში გადასაცვლების გამო 8 მილიონზე მეტი საშუალო ადგილი დაკარგა, მაშინ როდესაც ლათინურმა ამერიკამ და აზიამ 6 მილიონი საშუალო ადგილი შეიძინა.² აშშ-ში მუშის საათობრივი ანაზღაურება საშუალოდ 6-ჯერ მაღალია, ვიდრე კორეაში და 20-ჯერ მაღალია ვიდრე ინდოეთში. ამიტომ არ არის გასაკვირი გლობალური კაპიტალის დაინტერესება ამ ქვეყნებში ინვესტიციებით.

სტროპერისა და უოლკერის ტრადიციონალური მარქსისტული ორიენტაციის არასრულყოფილება მდგომარეობს ეკონომიკური ფაქტორებით შემოფარგვლასა და სხვა სოციალური ასპექტებისადმი გულგრილ დამოკიდებულებასში. უდავოა, რომ ნაკლებად განვითარებად ქვეყნებში წარმოების გადატანის მთავარი მიზეზი მუშახელია, მაგრამ ზემოთ მოყვანილი თეორია ვერ ხსნის განვითარებულ ქვეყნებში მრავალეროვნული კომპანიების მაღალ კონცენტრაციას, სადაც ხელფასები ყველაზე მაღალია. ეს თეორია გვერდს უვლის ისეთ ფაქტორებს როგორცაა: მთავრობისა და პოლიტიკური წყობის სტაბილურობა, ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი კანონმდებლობა და სხვა ასპექტები, რომლის გავლენით უდიდესი ფირმები კონცენტრირებულია აშშ-ში, იაპონიაში, გერმანიაში და სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში.

¹ Gottdiener, Mark. 1994. Op. Cit., p. 130.

² Gottdiener, Mark. 1994. Op. Cit., p. 128

❖ მანუელ კასტელსის თეორია

საინტერესოა სოციოლოგ მანუელ კასტელსის (Manuel Castells) თეორია, რომელმაც გაიზიარა მარქსისა და ლეფფერის მიღწევები, გააკრიტიკა ისინი და სრულიად ახალი მიდგომა შეიმუშავა. მისი თეორიით არ შეიძლება ქალაქის კონტექსტმა წარმოშვას სოციალური ურთიერთობების — ურბანიზმის სპეციფიკური სისტემა, არამედ გარემოს აყალიბებს კაპიტალისტური ინდუსტრიალიზაცია და ეკონომიკური პროცესები. მისი ყურადღება ისეთ სოციალური კეთილდღეობის პროგრამებზე შეჩერდა, როგორცაა: უმუშევრების დაზღვევა, სუბსიდიები დაბალშემოსავლიანი საცხოვრებლისათვის და ადგილობრივი მთავრობის როლი ამ პროგრამების განხორციელებაში. კასტელსმა მთავრობის როლი წამოწია კაპიტალისტთა კლასის როლის სიმალლეზე ქალაქის სივრცეში რესურსების გადანაწილების პროცესში. კასტელსის თეორიის პოპულარობა რამდენიმე ათეული წელი გაგრძელდა, სანამ 1970-იან წლებში არ მოხდა მრავალ ქვეყანაში სუბსიდირებული პროგრამების კლება და სოციალური პრობლემატიკის გადატანა სამუშაო ადგილების შექმნის გარშემო.

❖ თანამედროვე სოციოლოგიური მიდგომა

დღეს გვაქვს ორი ძირითადი თანამედროვე სოციოლოგიური მიდგომა: ზრდის მანქანა (growth machine) და სოციალურ-სივრცითი მიდგომა.¹

❖ ზრდის მანქანა

ეს მიდგომა ასოცირებულია ჰარვეი მოლოტჩისა (Harvey Molotch) და ჯონ ლოგანის (John Logan) სახელებსა და მათ ურთიერთ-თანამშრომლობასთან. მოლოტჩი დაუკმაყოფილებელი იყო ტრადიციული ეკოლოგიური მიდგომით და შთაბერელი იყო იმ სულით, რომელიც ურბანიზტების — ლეფფერისა და კალტელსის ნაშრომებშია წარმოდგენილი. მოლოტჩის მიხედვით, ურბანული ცვლილებები

¹ Gottdiener, Mark. 1994. Op. Cit., p. 138.

მოიცავს უძრავი ქონების დეველოპერების (developers) მოქმედებებს, რომლებიც ჯერ კიდევ მარქსის თეორიის მიხედვით ცალკე ურბანულ კლასს — რენტერებს (renters) წარმოადგენენ.¹ ეს ის კლასია, რომელიც ამზადებს მიწას ახალი განვითარების პროექტებისათვის, ანუ დეველოპმენტისათვის (development projects) და მათი აქტიურობა განაპირობებს უძრავი ქონების ბაზრის განვითარებას.

მოლოტჩის მიხედვით, რენტერების კლასის ინტერესები ხშირად თანხვდება ადგილობრივი მთავრობისას, რადგან მთავრობას სჭირდება საგადასახადო შემოსავლები, რომლებიც სწორედ ამა თუ იმ ბიზნესისა თუ პროექტის განხორციელების შედეგად შედის ბიუჯეტში. უძრავი ქონების ბაზრის გაძლიერება იწვევს ქალაქისა და მთავრობისათვის შემოსავლების მატებას, რომელიც თავის მხრივ მოსახლეობის კეთილდღეობასა და უბნის კეთილმოწყობას უნდა მოხმარდეს. მოლოტჩის ასოციაცია ასეთია: ქალაქი ზრდის მანქანაა, რომელიც წინ მიდის იმის წყალობით, რომ მას წინ მიუძღვება ქალაქის გარემოს ხარისხის გაუმჯობესების ამოცანა და ზურგიდან აწეობა რენტერების პოექტები. ადგილობრივი პოლიტიკა სწორედ ის სფეროა, რომელმაც შეიძლება ხელი შეუწყოს ან შეუშალოს ზრდის მანქანის ასეთ წინსვლას.

❖ *სოციალურ-სივრცითი მიდგომა*

ეს მიდგომა ეყრდნობა როგორც ტრადიციულ ეკოლოგიას, ასევე პოლიტეკონომიას. იგი მოიცავს ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ფაქტორების ინტეგრაციას, როგორც სივრცითი მოვლენების ახსნის ერთადერთ სრულყოფილ მეთოდს. გარდა ამისა მთავრობის როლი მიჩნეულია როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ქალაქის განვითარებაში, ტრადიციული ურბანეკოლოგიისაგან განსხვავებით, რომელიც სრულიად უარყოფს მთავრობის როლს ქალაქის ზრდაში ან მხოლოდ ეკონომიკური ინტერესებით შემოფარგლავს მას. სო-

¹ Gottdiener, Mark. 1994Op. Cit., p. 138.

ციალურ-სივრცითი მიდგომა მჭიდროდ უკავშირებს მთავრობის პოლიტიკას და უძრავი ქონების ბაზრებს. ასევე, სოციალურ-სივრცითი მიდგომა ყურადღებას ამახვილებს კულტურულ მემკვიდრეობითობაზე და ორიენტაცია ქალაქური ცხოვრების ჩამოყალიბებული ფორმების ახსნისაკენ გადააქვს. დღეს, როდესაც მცირედი განსახლებული ადგილებიც კი შეიძლება უკავშირდებოდეს მრავალეროვანი კორპორაციებისა და ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობას, გლობალიზაციის შედეგები სულ უფრო აშკარაა, სოციალურ-სივრცითი მიდგომა ცდილობს ადგილობრივი და ინტერნაციონალური ფაქტორების ურთიერთასახვა და კავშირი გამოახსოს.

სოციალურ-სივრცითი მიდგომა ყურადღებას ამახვილებს ადამიანურ განზომილებაზე. იგი არკვევს, თუ ვინ არიან მოქმედი პირნი და როგორ იქცევიან ისინი ქალაქის ზრდასთან მიმართებაში. მათ, ინტერესები იყოფა პირად და ინსტიტუციონალურ ინტერესებად ეკონომიკური ბიძგის გამოშწვევ ზრდის ფაქტორებთან და მათ როლებთან მიმართებაში. მაგალითად, ასეთი როლები შეგვიძლია გამოვყოთ: უძრავი ქონების გადაამყიდველები; დეველოპერები, რომლებიც ყიდულობენ მიწას, აგებმარებენ და აშენებენ მომგებიან სტრუქტურებს; ბინათმფლობელები, ვინც ინვესტიციებს დებენ საკუთარ ქონებაში; ადგილობრივი პოლიტიკოსები, რომელთა მოღვაწეობის ეფექტურობა უძრავი ქონების ბაზრის წარმატებულობის ზარისხს უკავშირდება; კომპანიები, რომლებიც ხელს უწყობენ უძრავი ქონების ბაზრის განვითარებას — ფინანსური ინსტიტუტები, საინვესტიციო ფონდები და სხვა, ანუ სტრუქტურა, რომელიც მიზანმიმართულად უწყობს ხელს კაპიტალის მოძრაობას.¹

სოციალურ-სივრცითი მიდგომა განიხილავს მეტროპოლიტენის ზრდას როგორც საქმიანი გარიგებებისა და თანმხვედრი ინტერესების შედეგს, ვიდრე უკონფლიქტო ურთიერთობათა პროდუქტს. დეველოპერები მოლაპარაკებებს აწარმოებენ პოლიტიკოსებთან, მოქალაქეთა ჯგუფებთან, რელიგიურ ორგანიზაციებთან, რომელთაც მივყავართ

¹ Gottdiener, Mark. 1994. Op. Cit., p. 142.

სოციალურად კონსტრუირებული გარემოს ფორმირებისაკენ, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს ზრდის კავშირების ქსელს, ვიდრე მონოლითურ სხეულს, როგორც ამას ზრდის მანქანის თეორია გვთავაზობს.

სოციალურ-სივრცითი მიდგომისათვის გლობალური ეკონომიკის მნიშვნელობა განუზომელია. კაპიტალის მობილურობა, შრომის საერთაშორისო განაწილება და სხვა გლობალური პროცესები დეტერმინანტებია ურბანული ზრდისა. 1970-იან წლებში გლობალურ ეკონომიკაში მომხდარმა უმნიშვნელოვანესმა ცვლილებებმა უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიოს ურბანულ განვითარებაზე. მაგალითად, განვითარებად ქვეყნებში ამის შედეგად გაიზარდა სამუშაო ადგილების რაოდენობა, რამაც, თავის მხრივ იმოქმედა ქალაქური პროცესების მიმდინარეობაზე, ქალაქურ ურთიერთობებზე, ზოგადად ქალაქის ზასიათსა და სოციალურ-სივრცით კონტექსტზე!¹

შეჯამების სახით სოციალურ-სივრცითი პერსპექტივა განსხვავდება სხვა წინამორბედი სოციოლოგიური მიდგომისაგან. მისი ძირითადი უპირატესობა მდგომარეობს ფაქტორთა ერთობლიობასა და ინტეგრირებულობაზე ყურადღების გამახვილებით, ვიდრე რომელიმე ცალკე არსებულ ფაქტორზე, როგორც წინა თეორიებს ჰქონდათ პრაქტიკაში. სოციალურ-სივრცითმა პერსპექტივამ, ძირითადად, ყურადღება მიაპყრო უძრავი ქონების ბაზრის როლს, ინვესტიციების აკუმულირებას, ურბანული პოლიტიკის როლს, კულტურული ფაქტორების მნიშვნელობას გლობალურ სამყაროში ისევე, როგორც გლობალიზაციის სხვა ფაქტორებს. თანამედროვე ურბანსოციოლოგია სწორედ სოციალურ-სივრცით პერსპექტივას ეყრდნობა აღიარებს რა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ფაქტორების ტოლფას მნიშვნელობას ქალაქთა განვითარებაში.

¹ Shanon, Thomas, Nancy Kleniewski, William Cross. 1997. Op. Cit., p. 46.

❖ უტოპისტთა ურბანისტები: ჰოვარდი, კორბუზიე, რაიტის

ურბანსოციოლოგიის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა უტოპისტების ნაშრომებმა. უტოპისტური მწერლობის ყველაზე ადრეულ ნაშრომად პლატონის „რესპუბლიკა“ უნდა მივიჩნიოთ, თუმცა ყველაზე ცნობილია თომას მორის (Thomas Moore) „უტოპია“. XIX საუკუნეში, როდესაც ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის „საფრთხე“ წარმოიშვა როგორც მეცნიერთა ძირითადი სოციალური პრობლემა, ალტერნატიული ურბანული გარემოს ძიება უტოპისტების ძირითადი საზრუნავი გახდა და გაჩნდა ახალი სქემები, მანიფესტები და ქალაქის მოწყობის კონცეფციები. ასეთებია: ებენეზერ ჰოვარდის (Ebenezer Howard), ლე კორბუზიესა, (Le Corbusier) და ფრენკ ლოიდ რაიტის (Frank Lloyd Wright) ქალაქ-ბაღის, გასხივოსნებული ქალაქისა და ვრცელი ქალაქის (Broadacre City) კონცეფციები.

ებენეზერ ჰოვარდი საუკუნის მიჯნაზე ცხოვრობდა ინგლისში და მისი რეაქცია ურბანიზაციის სწრაფი პორცენტის მიმართ ისეთი მოდელის შემუშავება, სადაც ადამიანის ცხოვრება მშვენიერი და მშვიდი იქნებოდა. ჰოვარდს ქალაქი ეკონომიკური ზრდის ნაყოფად მიაჩნდა, მაგრამ საცხოვრებლად უვარგისად თვლიდა. სოფელს მისი შეხედულებით, სწორედ ის ორგანული ჰარმონია გააჩნდა, რომელიც აკლდა ქალაქს, მაგრამ, ამავ დროს, შეზღუდული ეკონომიკური შესაძლებლობები ჰქონდა¹. ამიტომ ჰოვარდმა თავის მიდგომაში ისევე ეს ორი სისტემა გააერთიანა და შეიმუშავა მოდელი, რომელიც ითვალისწინებდა ინდუსტრიული ობიექტების გატანას ქალაქიდან ახალ ადგილებზე, ასევე მათ გარშემო საცხოვრებელი ქალაქ-ბაღების განლაგებას, სადაც დასახლებოდა ამ ინდუსტრიულ ობიექტებში დასაქმებული მოსახლეობა. ამ მოდელის გავლენით, რომელიც თეორიულად აერთიანებდა ქალაქის ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და სოფლის ეკოლოგიური და მშვიდი საცხოვრებელ გარემოს უპირატესობებს, ასეულობით ქალაქი აშენდა ბრიტანეთში, აშშ-ში და რუსეთშიც კი. ფრანგმა არქიტექტორმა ლე კორბუზიემ (1887-1965წწ.), რომელიც

¹ Levy, John M. 2000. Contemporary Urban Planning. Upper Saddle River, Princeton-Hall, Inc. p. 45.

არქიტექტურაში გერმანულ ვალტერ გროპიუსთან და ამერიკელ მის ვან-დერ როესთან ერთად ინტერნაციონალური სტილის მამამთავრად ითვლება, შეიმუშავა ქალაქის ახლებური მოდელები, რომელიც მთელ მსოფლიოში გახდა ცნობილი. მისი თეორიიდან გამომდინარე, არქიტექტურამ და ქალაქის და გვემარებამ სახლს შეხედა როგორც „საცხოვრებელ მანქანას“¹, დაგამოაცხადა მაღალი ტექნოლოგიების ტრიუმფი და გამარჯვება სოციალურ პროცესებზე. (სურათი 12, 13). კორბუზიეს ღრმად სწამდა, რომ ტექნოლოგიის ინტერვენცია გააუმჯობესებდა ქალაქური ცხოვრების დონეს. მან თავის ურბანულ კონცეფციაში შემოგვთავაზა ცათამბეჭებებისა და გიგანტური ღია სივრცეების კომპოზიციები, სადაც მოძრაობა და ურთიერთობა კომუნიკაციების საშუალებათა მაღალგანვითარებულობაზე დაფუძნებული. კორბუზიეს მოდელი, უგულბებლყო რა სოციალური პროცესებისა და ინდივიდი-გარემოს ურთიერთქმედების მნიშვნელობა, ქუჩისა და ქალაქის გარემოს სხვა იერარქიული საფეხურების დაღუპვას მოასწავებდა. ასეთი მოდელით აშენდა ბრაზილიის დედაქალაქი ბრაზილია ოსკარ ნიშეიერისა და ლუსიო კოსტას (Lusio Costa) პროექტით 60-იან წლებში და იგი პრუიტ-აიგოს მსგავს ტრაგედიად იქცა, მხოლოდ უფრო დიდი მასშტაბით. ქუჩის სიკვდილი აქ სრულიად აშკარად გამოიხატა, ისევე როგორც უბნისა და სამეზობლოს ცნების გაქრობა. ინდივიდი-გარემოს ინტერაქცია უმეტესად უზარმაზარ სამანქანო ესტაკადებზე მოძრაობით შემოიფარგლა. იმატა დანაშაულებრიობამ და ვანდალიზმებმა ცარიელ „აუთვისებელ“ ტერიტორიებზე. კორბუზიეს რწმენა, რომ დიზაინის, არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის ასეთ ჩარევას შეეძლო სოციალური პროცესები სასიკეთოდ მიემართა, პრაქტიკაში არ გამართლდა.

ფრენკ ლოიდ რაიტის (1869-1959წწ.) იდეები კორბუზიეზე ნაკლები რადიკალურობით გამოირჩევა და დღემდე პროფესიონალთა ფართო მოწონებას იმსახურებს.² ისინი გარკვეულად წააგავს ებენ-ეზერ პოვარდის კონცეფციას ქალაქისა და სოფლის შერწყმის თაობაზე რაიტი უზარმაზარ ქალაქებს ზედავდა ინდივიდუალური ერთბინიანი

¹ Levy, John M. 2000. Contemporary Urban Planning. Upper Saddle River; Princeton-Hall, Inc. p. 157.

² Levy, John M. 2000, p. 158.



სურათი 13. ლე კორბუზიეს ვუაზენის გეგმა პარიზისათვის. 1922-25. (წყარო: Levy, John M.2000. Contemporary Urban Planning. Upper Saddle River; Princeton-Hall, Inc., გვ. 159).



სურათი 14. ფრენკ ლოიდ რაიტის ვრცელი ქალაქის („აბრუდაერის“) პროექტი. (წყარო: Gottdietner, Mark,1994. The New Urban Sociology. McGraw Hill Inc., გვ. 306).

სახლებით განაშენიანებულს 1 აკრის (405 კვ. მ.) ტოლ მიწის ნაკვეთზე, სადაც ოჯახს შეეძლო სუბურბანული ტიპის ცხოვრება ეწარმოებინა. ინდუსტრიული ზონა ასეთ ქალაქებში იზოლირებული იყო მწვანე ზოლით, ხოლო კომერციული ცენტრები კი საცხოვრებელი რეგიონების გეომეტრიულ ცენტრებში განლაგდა. (სურათი 14).


დღეს ჩვენ ამ და სხვა მრავალ ამგვარ მიდგომას უტოპიურს ვუწოდებთ მათი გაუმართლებლობისა თუ განუხორციელებლობის გამო. მათ კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს XX საუკუნის პირველ ნახევარში ქალაქის გარემოსა და მასში მიმდინარე სოციალური პროცესების იდეალური შერწყმის სივრცითი მოდელების და შესაძლებლობათა ძიებაში.

❖ *დაგეგმარების კრიტიკოსები: ჯეკობსი, კრიერი, გუდმენები*

ქალაქის დაგეგმარებაში სოციალური მიდგომის ჩამოყალიბებას დიდად შეუწყო ხელი კრიტიკოსების ნაშრომებმა, რომელთა რიცხვს მიეკუთვნებიან ამერიკელი სოციოლოგი ჯეინ ჯეკობსი (Jane Jacobs), არქიტექტორი ლეონ კრიერი (Leon Krier) და პოლ და პერსივალ გუდმენები (Paul and Persival Goodman).

ჯეინ ჯეკობსის ძირითადი თემა ქალაქში სიცოცხლისუნარიანი საცხოვრებელი გარემოს ჩამოყალიბებაა. მისთვის საუკეთესოა ის ქალაქი, რომელსაც აქვს მდიდარი ქუჩის ტრადიცია ბინებში კარჩაკეტილი ცხოვრების მოდელის საწინააღმდეგოდ.¹ ჯეკობსი თვლის, რომ ურბანული ცხოვრების ყაიდა წინასწარ ვერ დაიგეგმება, რადგან იგი ფორმირდება ინდივიდი-გარემოს ინტერაქციის პროცესში. დაგეგმარება, რომელიც ხელს არ უწყობს სოციალურ ინტერაქციას, და ინდივიდი-გარემოს პოზიტიურ ურთიერთქმედებას, დამანგრეველია ქალაქური ტრადიციისათვის, — ამბობს ჯეკობსი, რომელიც უბნისა და ქუჩის ფენომენის შეუდარებელი აღვოკატია. მან გამოიკვლია ბოსტონში ვესტ-ენდის უბნის მაგალითი, სადაც მთავრობამ დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის დაბალხარისხიანი საცხოვრებელი (ბარაკების ტიპის)

¹ Jacobs, Jane. *Death and Life of Great American Cities*. Vintage Books, NY, 1961.



სურათი 15. ლე კორბუზიეს თანამედროვე კლასის კონცეფცია სამანქანო ესტაკადებითა და უზარმაზარი ღია სივრცეებით.

დაანგრია და მის ადგილზე ააშენა კომფორტული თანამედროვე სტანდარტების საცხოვრებელი უბანი. ვესტ-ენდის ყოფილი მცხოვრებნი ან სხვა უბანში გადაიყვანეს საცხოვრებლად, ან იმავე უბანში ახალ სახლებში დაასახლეს. ყოფილმა მაცხოვრებლებმა ვერ მოახდინეს ახალ გარემოსთან ადაპტაცია. მოსახლეობის ამ ჯგუფში იმატა სიკვდილიანობამ, ნერვულმა დაავადებებმა და სხვა ნეგატიურმა სოციალურმა მოვლენებმა. ძველი უბნის ქუჩისა და უბნის ტრადიციათა რღვევამ და მდიდარი სოციალური კონტაქტების გაქრობამ, რასაც ახალი უბნის სოციალურ-სივრცითი მექანიზმები ვეღარ უზრუნველყოფდა, შეუდარებელი ნოსტალგია გამოიწვია. ვესტ-ენდის შემთხვევა ქალაქის დაგეგმარებისა და ურბანსოციოლოგიის ისტორიის ცნობილი შემთხვევა გახდა, ჯეინ ჯეკობსი კი — ცნობილი თეორეტიკოსი და ანალიტიკოსი (სურათი 15).

გერმანელი თანამედროვე არქიტექტორის ლეონ კრიერის თეორია ჯეინ ჯეკობსის მსგავსად ურბანულ კულტურასა და ურბანულ ტრადიციებს ეხება. მისი იდეები და ნაშრომები დღეს მეტად პოპულარულია, განსაკუთრებით აშშ-ში. მან გააკრიტიკა მოდერნისტული იდეოლოგია ურბანისტიკაში, რომელიც მანქანურ ესთეტიკასა და ტექნოლოგიურ მიღწევებს წამოწევდა წინა პლანზე. კრიერმა თავის თეორიაში, რომელიც თავისი სტილით რეტროს მიეკუთვნება, განაცხადა, რომ ქალაქები უნდა დაიფოს დასახლებულ უბნებად, რომლის მოსახლეობა არ უნდა აღემატებოდეს 15000-ს. შენობები და სკვერების პროპორციები დაცული უნდა იქნეს ადამიანური მასშტაბისა და ეკოლოგიური პირობების სასარგებლოდ. კრიერის პრობლემა ისაა, რომ მისი ყურადღების ცენტრში არ მოექცა სოციალური პროცესები, არამედ მხოლოდ სივრცითი გარემო. დღეს ამ თეორიას უდიდესი გავლენა აქვს ელიზაბეტ პლატერ ზიბერკის, ანდრეს ღუანისა და სხვა გავლენიან დამგეგმარებელსა და ნეოტრადიციონალისტებზე.¹

1972 წელს აშშ-ში თავისი გაუმართლებლობისათვის ააფეთქეს პრეიტ-აიგოს საცხოვრებელი რაიონი, მაშინ, როდესაც არქიტექტორი იამასაკი მისი პროექტისათვის სულ რამდენიმე წლით ადრე ამერიკის არქიტექტ-

¹ Gottdiener, Mark. 1994. Op. Cit., p. 308.

ტურის ინსტიტუტის (AIA) მეტად პრესტიჟული მედლით დაჯილდოვდა.¹ აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აშშ-ში 70-იან წლებში მომწიფთა ასკარა გალაშქრება ადგილობრივი თავისებურებებისა და ქალაქური ცხოვრების ყიდის გათვალისწინების გარეშე დაპროექტებული საცხოვრებელი მასივების წინააღმდეგ, ქალაქური ცხოვრების დონისა და ქალაქური გარემოს გაუმჯობესების პრობლემა აშშ-ში აღქმულ იქნა, როგორც საშინაო პოლიტიკის ყველაზე კრიტიკული პრობლემა. ამის შემდეგ ნელ-ნელა განხორციელდა შემობრუნება საცხოვრებისის სოციალურ-სივრცითი ორგანიზაციის ადრევე გამოცდილი და მიღებული უბნის ანუ „ნეობირჰუდის“ (*neighborhood*) პრინციპებისაკენ.

ცნობილი კრიტიკოსების გუდემენების თეორია გამომდინარეობს იმ მიდგომიდან, რომ „ქარგ დაგეგმარებაში“ იგულისხმება არა მარტო არქიტექტურული დიზანისა და დაგეგმარების მასხასიათებლები, არამედ სოციალური და პოლიტიკური ფაქტორებიც. უბნისა და სხვა სოციალური ჯგუფების ცხოვრებასა და ინტერაქციას ისინი განიხილავენ როგორც არა მარტო სივრცით, არამედ სოციალურსა და პოლიტიკურ მოვლენას. გუდემენები თვლიან, რომ ახალი მშენებლობა ან რეკონსტრუქცია უბანში დემოკრატიული პროცესი უნდა იყოს და მოსახლეობის აზრი უნდა იქნეს გათვალისწინებული დაგეგმარებისა და გადაწყვეტილებათა მიღების ფაზებშივე. მათმა ამბიციურმა გეგმამ დაგეგმარების დემოკრატიულ პროცესად გადაქცევის შესახებ მოიცვა გადაწყვეტილების მიძღები მექანიზმის ახლებური დიზანი. გუდემენების იდეები საკმაოდ გავლენიანი აღმოჩნდა და განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა შვეციასა და იზრაელში ახალი დასახლებებისა და უბნების დაგეგმარებისა და მშენებლობის წარმართვაში.

სოციალური პრობლემების ზრდასთან ერთად სოციალურ მეცნიერთა ნაშრომებმა და კრიტიკოსთა თეორიებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა არქიტექტურასა და ქალაქმშენებლობაში სოციალურ-სივრცითი ასპექტების გათვალისწინების ტექნიკასა და მეთოდოლოგიის დახვეწაზე

¹ Gottdiener, Mark. 1994. Op. Cit., p. 296-297

❖ რეგიონალიზმის პერსპექტივა

1970-იან წლებში დემოგრაფებმა აშშ-ში აღმოაჩინეს საინტერესო ტენდენცია — მოსახლეობის რაოდენობა რურალურ ტერიტორიებზე უფრო იზრდებოდა, ვიდრე ურბანულ ქალაქებში, ანუ ხორციელდებოდა გარკვეული დეზურბანიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი კვლავ საპირისპიროდ შეიცვალა 80-იანი წლებიდან, იგი მაინც სოციოლოგთა ინტერესის სფეროში დარჩა, განსაკუთრებით კი რურალურ სოციოლოგთათვის. ამ მოვლენამ მეცნიერები დაარწმუნა, რომ დღეს ურბანულ-რურალური სისტემა ერთიანად უნდა იყოს შესწავლილი და არა ორ დამოუკიდებელ ფრაგმენტად, რადგან ისინი მზარდად ურთიერთდამოკიდებულია. ასეთი რეგიონის მთლიანობის პრინციპზე დამყარებული მიდგომა სულ უფრო აქტუალური გახდა. ურბანსოციოლოგიის ხედვის კუთხემ მეტროპოლისის მასშტაბით ანალიზიდან რეგიონის მასშტაბის ანალიზში გადაინაცვლა.

თავის მხრივ, ეს უკანასკნელი არ უნდა იქნეს განხილული გლობალიზაციის პროცესებისაგან დამოუკიდებლად, რადგან ცალკეული რეგიონის განვითარება სულ უფრო მზარდად არის დამოკიდებული გლობალურ კაპიტალსა და პროცესებზე. დღეს, გლობალიზაციის პირობებში მზარდია მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებს შორის კავშირების ზრდა და სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია. ეს პროცესი გამოიხატება ეკონომიკური ფასეულობებისა და სხვა რესურსების უნიფიკაციით ერთიან სტრატეგიულ საბაზრო სისტემაში, ანუ რაციონალიზაციით. მსოფლიო ერთიან საბაზრო სისტემად იქცა — ფინანსური რესურსები, საბუღალტრო ბიზნესი, კომუნიკაციის საშუალებები, სატრანსპორტო ტექნოლოგიები ძლიერ ბიძგს აძლევს ინტეგრაციასა და რაციონალიზაციას, საერთაშორისო კანონი კი, კოორდინაციას უწყევს გლობალურ რესურსებს. სივრცითი კომპონენტები სულ უფრო კარგავს მნიშვნელობას, რადგან ეს კონტაქტები და კავშირები სულ უფრო მიმოფანტულია მთელ მსოფლიოში.

❖ სტრუქტურულიზაციის თეორია


1980-1990-იან წლებში ურბანული სოციოლოგიის კვლევის საგანი შეიცვალა, ძირითადად, ენტონი გიდენსის (Anthony Giddens) სტრუქ-

ტურიზაციის თეორიის გავლენით. მან გამოაცხადა, რომ ყველა ადრეული თეორია მცდარი იყო, რადგან არც ერთი მათგანი არ აღიარებდა მრავალგვარი შედეგის არსებობას ერთი პროცესიდან გამომდინარე.¹ სოციალური მეცნიერები სწავლობდნენ ადამიანს, რომელმაც იცის იმ ძალების არსებობა და ხასიათი, რომელიც მათთან წინააღმდეგობაში მოდის, და მოსალოდნელი ცვლილებებისა და პროცესების გათვალისწინებით ახდენს რესურსების მობილიზაციასა და მართვას. ამ კუთხით გიდენსი თვლის, რომ შედეგი შეიძლება სრულიად ურთიერთგანსხვავებული და მრავალგვარი აღმოჩნდეს და, შესაბამისად, განვითარების პროცესის შესწავლისა და ახსნისას მეტად უნდა დაეყრდნოს ადგილობრივ ისტორიასა და არსებული რესურსების ანალიზს. ამ თეორიამ თამამად განაცხადა აბსტრაქტული და ზოგადი თეორიის უმართებულობა სოციალური პროცესების ახსნაში, ისევე, როგორც არასტრუქტურირებულ ემპირიულ კვლევას ხშირად მიჰყვართ ფრაგმენტულ და თეორიულად მიუღებელ დასკვნებამდე. გიდენსის ამ თეორიას სტრუქტურისაციის თეორია ეწოდა და მან განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ადგილობრივი მახასიათებლების შესწავლაზე, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გლობალური ინტერესების, კაპიტალის მიპყრობისა თუ შენარჩუნებისათვის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრაში.

IV თავის საკითხავი ლიტერატურა:

- ❖ Shanon, Thomas, Nancy Kleniewski, William Cross. 1997. Urban problems in sociological perspective. Prospect Heights; Waveland press. Pp.1-59.
- ❖ Flanagan, William G. 1999. Urban Sociology; Images and Structures. Needham Height. Allyn & Bacon. Pp.42-69.
- ❖ Gottdiener, Mark. 1994. The New Urban Sociology. McGrow Hill Inc. pp.22-51; 271-280.

¹ Giddens, Anthony. 1987. Social Theory and Modern Sociology. Stanford; Stanford University Press. p. 258.



ქალაქის უზენაესი საკრებულოს
სოციალურ-სივრცითი უწყვეტი განვითარების

- ❖ ქალაქური თემა
- სუბკულტურის თეორია: პანსი და ფიშერი
 - ❖ ბარი ველმანი
 - ❖ რიჩარდ სენელი
- ❖ ქალაქური ცხვრების ყაიდა
- ❖ ქალაქის ვარემოს აღქმა
- ❖ ინდივიდის სოციალურ-სივრცითი ადაპტაცია ქალაქურ კულტურასთან
- ❖ ქალაქი და ეკოლოგია
- ❖ სოციოლოგიური კვლევა
- ❖ არქიტექტურული ზერხებით სოციალური პრობლემების მოგვარების მცდელობანი
- ❖ ქალი, გენდერული როლი და ქალაქის სივრცე

• ქალაქის თემი

20-იან და 30-იან წლებში ურბან სოციოლოგთა განსჯის ძირითად თემას წარმოადგენდა რურალური და ურბანული ცხოვრების სტილს შორის სხვაობა, რადგან ინდუსტრიალიზაციის პირობებში სოფლის მიგრანტების უდიდესი ნაკადი ქალაქის მასახლეობას უერთდებოდა. ამ პერიოდში ქალაქს იხილავდნენ როგორც სოციალური ერთობისა და თემის ცნების მომსპობს, ანონიმური და მეორეული ურთიერთობების წამახალისებელს სოფლის „ახლობლური“, თბილი და თემური გარემოს საწინააღმდეგოდ. ჩიკაგოს სკოლამ ასეთი წარმოდგენა ქალაქის მიმართ კიდევ უფრო გააღრმავა თავისი აღმოჩენით იმის თაობაზე, რომ დანაშაულებრიობა, ოჯახის გაყრა, ფსიქიური დაავადებანი და სხვა ნეგატიური სოციალური მოვლენები გაცილებით მაღალი ხარისხით გამოვლინდება ქალაქში, ვიდრე სოფელში და ეს მეტწილად თემური კავშირების დაბალი დონით აიხსნება. ვირტის მიხედვით, დემოგრაფიული ფაქტორები: მოსახლეობის მაღალი რაოდენობა და ასევე მაღალი სიმჭიდროვე ქალაქური ცხოვრებისა და სივრცითი ქცევის მახასიათებლებს ხსნიდა.

XX საუკუნის პირველ ნახევარში ქალაქში სოციალური კავშირების, თემის სულისა და ფასეულობათა არსებობა-არარსებობის საკითხი ურბანსოციოლოგიის ძირითად პრობლემას წარმოადგენდა. ურბანულმა კვლევამ ემპირიული ტრადიცია სწორედ თემის შესწავლაზე აქცენტით განავითარა. მკვლევრები დარწმუნდნენ, რომ ქალაქი აუცილებლად არ ნიშნავს ინდივიდის სრულ იზოლირებას, არამედ კონტაქტების სიძლიერე და ინტენსივობა დამოკიდებულია გარემოს სივრცით სტრუქტურაზე, მასშტაბებსა, და სხვა მახასიათებლებზე, რომელიც გარკვეულად მიმართავს სოციალურ სტრუქტურებსა და კონტაქტების ფორმირებას. აღმოჩნდა, რომ ხშირ შემთხვევაში თემის სოციალური ინსტიტუტი მეტად ძლიერადაც კი გამოიხატება ქალაქში. სამეზობლო ანუ უბანი (neighborhood) იქცა ალტერნატიულ სტრუქტურად თემური კონტაქტების ფორმირების და ინდივიდთა ინტეგრაციისათვის. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი გეტოს უბნებია, რომელიც კარჩაკეტილ სოციალურ კონ-

ტროლსა და ფასეულობებზეა დამყარებული. ასეთი სტრუქტურების ჩამოყალიბება ხშირად ნაკარნახევია ისეთი ფაქტორების არსებობით, როგორცაა: რასობრივი მიდგომა, თავდაცულობა, საერთო ინტერესები და სხვა.

მკვლევართა მიერ წლების მანძილზე ჩატარებულმა დაკვირვებებმა გამოყო სამი ძირითადი ფაქტორი, რის მიხედვითაც ხორციელდება ქალაქში თემის სიმბოლური განსაზღვრა უბნის ტერიტორიულ ფარგლებში:

- რამდენად ასოცირებულია ინდივიდი უბანთან, ანუ რამდენად ძლიერია ადამიანის კონკრეტულ ადგილთან ფსიქოლოგიური კავშირი;
- რამდენად ინტენსიურია თემის შიდა ანუ მის წევრთა ინტერაქცია;
- რამდენად მაღალია ამ უბანსა და ქალაქის სხვა უბნებს შორის არსებული კავშირების სიმჭიდროვე.

ეს სამი კომპონენტი განსაზღვრავს ქალაქური თემის ფარგლებს უბნისა თუ სამეზობლოს ტერიტორიული პრინციპით, ანუ უმეტესად, თუ ეს სამი კომპონენტი ძლიერად არის გამოხატული, უბნისა და თემის ცნება და მათი ტერიტორიული ფარგლებიც ემთხვევა ერთმანეთს. კვლევები ცხადყოფს, რომ ხშირ შემთხვევაში ქალაქში თემის ფუნქციონირება განისაზღვრება სოციალური კავშირებითა და არა ტერიტორიული ერთობით. ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმას, რომ ქალაქური ცხოვრების ყაიდა მრავალი სოციალურ-სივრცითი კომპონენტის ინტერაქციის შედეგად ყალიბდება

- სუბკულტურის თეორია. ჰერბერტ ჰანსი და კლოდ ფიშერი

კლოდ ფიშერი (Claude Fischer) იყო ის მეცნიერი, რომელმაც ურბანსოციოლოგიაში ორი სკოლა გამოყო: დეტერმინისტული, ვირტისეული მიმართულება, რომლის მიხედვით ქალაქი განსაზღვრავს ადამიანის ქცევას; და კომპოზიტური, რომლის წარმომადგენელია ჰერბერტ ჰანსი (Herbert Gans) და თვით ფიშერი, რომელიც აღიარებს

ცხოვრების სტილის სიმრავლეს ქალაქის ფარგლებში.¹ ამერიკელმა სოციოლოგმა ჰანსმა (XX საუკუნის 60-იანი წლები) თავისი კვლევა მიუძღვნა ინდივიდის ადაპტაციას ქალაქის სივრცესთან. მან გამოყო ადაპტაციის ძირითადი კატეგორიები, რომლებიც კონკრეტული ჯგუფების მიერ ქალაქთან ადაპტაციის კონკრეტულ მიზეზებს ეფუძნება. მაგალითად: კოსმოპოლიტები — ძირითადად, სტუდენტები, ხელოვნების დარგის წარმომადგენლები, ინტელექტუალები და სხვა პროფესიონალები, რომლებიც ქალაქში ცხოვრებას ირჩევენ კულტურულ ფასეულობათა გამო; ან დაუოჯახებელი ადამიანები, რომლებიც ქალაქში ცხოვრებისაკენ მიიღწვიან გასართობის მრავალფეროვნების გამო, ისევე როგორც საშუაოსთან დაკავშირებით. თუნდაც ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებიც ქალაქში ერთიანებიან თავისივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან ტერიტორიული ერთობისა და სიახლოვის პრინციპით და ქალაქს უყურებენ როგორც თავისი უბნის გარეთ განლაგებულ ერთეულს. ჰანსის თეორიის მიხედვით ურბანიზმი არ არის ერთმნიშვნელოვანი, არამედ მოიცავს მრავალი განსხვავებული სტილის ერთობლიობას. ყველა ზემოთ აღნიშნული ჯგუფისათვის ქალაქის სხვადასხვა მახასიათებელია მნიშვნელოვანი და თითოეულ შემთხვევაში ქალაქური თემის ფორმირებას სხვადასხვა განმაპირობებელი ფაქტორები უდგას უკან.² ჰანსმა აგრეთვე ხაზი გაუსვა სოციალური კლასისა და ასაკის მნიშვნელობას ურბანული თუ რურალური ცხოვრების სტილისა და ქცევის ჩამოაყალიბებაში.³

ურბანულ ურთიერთობებს შორის არის სოციალური ურთიერთობები, რომლებიც იწყება ფიზიკური ან სივრცითი გარემოდან და ყალიბდება საერთო ინტერესების მქონე ჯგუფებად, რომელიც სივრცითი პრინციპით არ არიან გაერთიანებული — ანუ სუბკულტურები. ფიშერის ამ თეორიას სუბკულტურათა თეორია ეწოდება. ამ თეორიის მიხედვით, ქალაქის გარემო ხელს უწყობს მოსახლეობის რაოდენობრივ ზრდას, დიფერენციაციასა და იმ ინდივიდთა და მათ ჯგუფებს

¹ Gottdiener, Mark. 1994. The New Urban Sociology. McGraw Hill Inc. p. 79.

² Shanon, Thomas, Nancy Kleniewski, William Cross. 1997. Urban problems in sociological perspective. Prospect Heights; Waveland press. p. 86

³ Shanon, Thomas, Nancy Kleniewski, William Cross. 1997. Op. Cit., p. 81

შორის ინტეგრაციას, რომლებიც იზიარებენ საერთო ინტერესებს და შეხედულებებს. ამის მაგალითია ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების ინტერესები, ტრადიციები და ფასეულობები. ფიშერის აზრით, ურბანიზმისთვის აუცილებელია მოსახლეობის მაღალი რაოდენობა. ანუ „კრიტიკული მასა“, რომელიც პირობას წარმოადგენს მრავალგვარი სუბკულტურების ჩამოყალიბებისათვის. ასეთ შემთხვევაში რა თქმა უნდა მოსახლეობის სიმრავლე და პეტეროგენულობა აუცილებელ ფაქტორებს წარმოადგენს ჭეშმარიტი ურბანიზმისათვის.

სუბკულტურა — ეს ტერმინი გამოიყენება იმ საერთო ნიშნის მქონე ინდივიდთა ჯგუფების აღსანიშნავად, რომლებიც ფორმირდება ინდივიდთა მიერ კონკრეტული საერთო ნორმების, ინტერესებისა და ფასეულობების გაზიარებით. სუბკულტურა ითვლისწინებს ქვევის ისეთი საერთო ნორმების, ფასეულობებისა და ინტერესების არსებობას, რომელიც განასხვავებს ინდივიდთა კონკრეტულ

ჯგუფს სხვა ჯგუფებისაგან, ისევე როგორც ფართო საზოგადოებისაგან. „ახალგაზრდა სუბკულტურას“ „ეთნიკურ სუბკულტურას“ და სხვას ჩვენ ვასხვავებთ არა ფიზიკური მახასიათებლებით, არამედ ჯგუფში მოცემული ფასეულობების მიხედვით. სუბკულტურები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ექსკლუზიურობით, გამორკვეულობით. თავმოყრილობით ან გაფანტულობით სივრცეში.¹

ფიშერმა უდიდესი წვლილი შეიტანა ურბანსოციოლოგიაში, რადგან მან ურბანიზმი დახატა არა როგორც უარყოფითი მოვლენა, არამედ როგორც თემთა არსებობის მდიდარი და მრავალფეროვანი საშუალება და გამოხატულება. ამ თეორიამ დეტერმინიზმის საწინააღმდეგოდ აღიარა, რომ სოციალური კონტაქტები კი არ სუსტდება ურბანიზმის პირობებში, არამედ გამოვლინდება სხვა სახით — მრავალფეროვანი სუბკულტურების არსებობის საშუალებით. მან აგრეთვე სცადა დაეცვა ქალაქი იმ „ცილისწამებისაგან“, რომ თითქოს ქალაქური ცხოვრება შობს ნეგატიურ ქცევას: ნარკოტიკების მოხმარებას, პროსტიტუციასა და ასე შემდეგ. მან განაცხადა, რომ ქალაქში ცხოვრება უბრალოდ ხელს უწყობს კრიმინალური სუბკულტურების არსებობას. თუმცა ნარკოტიკებს ყველგან ხმარობენ, იგი მაინც უფრო იოლად ქალაქში იშოვნება. ასე რომ, ურბანული ცხოვრება კი არ ქმნის

¹ Marshall, Gordon, (eds.) 1994. Dictionary of sociology. Oxford, NY; Oxford University Press. p. 650.

ნეგატიურ სოციალურ ქცევას, არამედ მეტ შესაძლებლობას იძლევა ასეთი ქცევის გავრცელებისა და ადაპტაციისათვის სუბკულტურათა სიმრავლისა და მოსახლეობის პეტეროგენულობის გამო. ფიშერის თეორიაში ცენტრალური მაინც ის არის, რომ ინდივიდებს ქალაქში აქვთ მზარდი შესაძლებლობა იპოვიონ მსგავსი ინტერესების, ჩვევების და მისწრაფებების ადამიანები, რომელთანაც ოფიციალურად თუ არაოფიციალურად ჩამოაყალიბებენ ჯგუფს ან ერთობას.

• სოციალური ქსელის თეორია

ზიმელისა და ვირტის თეორიის თაოსნობით 1970-იან წლებამდე ურბანსოციოლოგიაში თემი ძირითადად გაიანზრებოდა, როგორც სივრცითი სტრუქტურის ერთიანობით განსაზღვრული სოციალურ-სივრცითი ერთეული, სახამ სოციოლოგმა ბარი ველმანმა (Barry Wellman) შემოგვთავაზა თემის ერთობის არა ტერიტორიულ პრინციპზე, არამედ სოციალურ და სხვა ინტერესების საფუძველზე გაერთიანებული ერთეული. მისმა თეორიამ დაარღვია თემის კონცეფციის სივრცითი შეზღუდულობა და მის საწყისად აღიარა არა ფიზიკური გარემო, არამედ სოციალური ქსელი. ამ თეორიას სოციალური ქსელის თეორია ეწოდა.¹ მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ქალაქში ინდივიდები თავის ცხოვრებას ატარებენ სხვადასხვა ჯგუფების და ორგანიზაციების ქსელში, ამიტომ ინდივიდის ქცევის სოციალური საფუძველი მხოლოდ ფრაგმენტული შეიძლება იყოს. სოციალური ქსელი არის ურთიერთობათა არხი, სადაც მეტად ურბანულ გარემოს მეტად ინტენსიურ ურთიერთობათა ქსელი ახასიათებს. ქალაქი კი, თავის მხრივ, ასეთი ქსელების ერთობლიობას წარმოადგენს. იგივე თეორია ქალაქს განსაზღვრავს როგორც სოციალური ქმედების სცენას, რომელიც ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და ინსტიტუციური კომპონენტებით ხასიათდება. ამ სცენაზე მრავალი სცენარი ერთდროულად მიმდინარეობს სხვადასხვა სივრცით სიბრტყეებში, რომლებსაც აქვთ ან არა აქვთ ერთმანეთთან უშუალო ურთიერთობა.

¹ Flanagan, William G. 1999. Urban Sociology; Images and Structures. Needham Height. Allyn & Bacon. p. 84.

• რიჩარდ სენეტი

ეს თეორია 70-იან წლებში კიდევ უფრო გააღრმავა რიჩარდ სენეტმა, (Richard Sennett), რომელიც ამტკიცებს, რომ ინდივიდებს სურთ თავი აარიდონ ქალაქში ცხოვრების სირთულეებს და ეძებენ გარემოს, რომელშიც მათ მინიმალური წინააღმდეგობანი და სიძნელებები ელით, ანუ მიიღწევიან ჰომოგენური ჯგუფისაკენ. სადაც მათი „მსგავსი“ ინდივიდებია თავმოყრილი.¹ სენეტი თვლის, რომ ასეთი ჯგუფები იბუშავებენ გარე სამყაროსა და სხვა ინდივიდთა ჯგუფების მიმართ კრიტიკულ აზრსა და დამოკიდებულებას. მაგრამ ქალაქის გარემოში დიდი ალბათობაა იმისა, რომ ამ შეხედულებათა გამოცდა მოხდება პირადი სოციალური კონტაქტებითა და, უმეტეს შემთხვევაში, ინდივიდი თავისი ასეთი დამოკიდებულების უმართებულობაში დარწმუნდება. ამიტომ, სენეტის აზრით, უბანი და გარკვეული ერთობის გამოხატულება მხოლოდ ხელოვნურად გამოგონილი ცნებაა. სენეტი განიხილავს, რომ ადამიანები გაურბიან „სხვანაირებს“, ანუ მათ ვინც მათი მსგავსი არა არის და ამის გამოსწორება შეიძლება მხოლოდ სხვადასხვაგვარი ინდივიდებისა და მათი ჯგუფების აღრევით, ანუ კოალიცია მხოლოდ თანაარსებობის შედეგად მიიღწევა. რიჩარდ სენეტმა აგრეთვე განაცხადა, რომ, ქალაქში სოფლის მსგავსად ოჯახის როგორც უპირატესი ჯგუფისა და ერთობის მნიშვნელობა შენარჩუნებულია, მხოლოდ შეცვლილია ოჯახის სტრუქტურა. მართლაც, თუ შევადარებთ ოჯახს ურბანულ და რურალურ გარემოში, ვნახავთ, რომ სოფელში უფრო მრავალრიცხოვანი და მრავალთაობიანი ოჯახები გვხვდება, ვიდრე ქალაქში, სადაც ადგილი აქვს თაობათა მიხედვით ნუკლეარული ოჯახების გამოყოფას.

ქალაქისა და სოფლის სოციალურ პროცესებს შორის უწინარესი განსხვავება ისაა, რომ ქალაქში ინდივიდი ყოველდღიურად ხვდება უცნობ ინდივიდებსა და მათ ჯგუფებს, ქალაქში ცხოვრების სპეციფიკიდან გამომდინარე. მას უწყევს ანონიმურ ურთიერთობაში შესვლა ამ ინდივიდებთან. (სურათი № 17). ეს არ ხდება, ან ნაკლებად ხდება რურალურ გარემოში, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს და ანონიმური ურთიერთობები თითქმის არ არსებობს. გარდა ამისა, ამ ორ გარემოში ურთიერთგანსხვავებულია თემის გაგება. რურალურ გარემოში იგი

¹ Flanagan, William G. 1999. Op. Cit., p. 89

ემთხვევა ფიზიკურ ტერიტორიას, ქალაქში კი თემი ნაკლებად არის დამოკიდებული ტერიტორიულ ფაქტორზე და მეტად იმ ფუნქციურ ქსელზე, რომელიც გაფანტულია მთელი ქალაქის სივრცეში.

- *ქალაქური ცხოვრების ყაიდა*

როგორც წინა თავებში არაერთხელ აღინიშნა, ურბანიზაციამ მოიტანა უმნიშვნელოვანესი ცვლილებები საზოგადოების სტრუქტურაში: სოციალურ ორგანიზაციასა და სოციალურ ურთიერთობებში, კულტურაში, სოციალურ-სივრცით ქცევის მოდელებში. ქალაქური ცხოვრების ყაიდა გარკვეულად განპირობებულია ქალაქის ზოგადი მახასიათებლებით, როგორცაა: სოციალური ერთეულების მასშტაბურობა, ბიუროკრატიული მექანიზმების სიძლიერე, მოსახლეობის ჰეტეროგენულობა და სხვა. ეს თვისებები, თავის მხრივ, ხელს უწყობს ქალაქის სხვა უნივერსალური მახასიათებლების ფორმირებას: ნათესაურ-თემური კავშირების შესუსტება და პროფესიონალურ-მეგობრული კონტაქტების სიმჭიდროვე, არჩევანის თავისუფლება, ანომალიების ინტენსივობა, ფსიქოლოგიური სტრესი, სოციალური კონტროლის შესუსტება, სოციალური დეზორგანიზაცია, და სხვა. მეორე მხრივ, კვლევებმა ცხადყო, რომ სოციალური დეზორგანიზაცია არ არის ქალაქური ცხოვრების ყაიდის განუყრელი ნაწილი, არამედ პირიქით — ტერიტორიული თუ სხვა საერთო ინტერესების გარშემო ეფექტური ინსტიტუციური მექანიზმითა თუ ბიუროკრატიული აპარატით საკმაოდ წარმატებულად შეიძლება მოსახლეობის ორგანიზება ქალაქის სოციალურ-სივრცით გარემოში.

ყოველი ქალაქი მახასიათებლების მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რომელიც გარკვეულწილად თავისებური და ინდივიდუალურია ამ ქალაქისათვის. ქალაქები ერთ ქვეყანასა და კულტურაში განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სოციალურ-სივრცითი მახასიათებლების კუთხით. მეორე მხრივ, როგორც ლუის ვირტი გეთავაზობს, ქალაქური ცხოვრების ყაიდა უნივერსალური მახასიათებელია და არ ექვემდებარება კონკრეტულ ადგილობრივ, ისტორიულ თუ კულტურულ გავლენას. ამ თეორიის საწინააღმდეგო და მომხრე არგუმენტები წარმოადგენს ურბანსოციოლოგიის შესწავლისა და კვლევის საგანს.

ქალაქური ცხოვრების ყაიდა, თავის მხრივ, ქალაქური კულტურის ძირითად კომპონენტს წარმოადგენს. „ქალაქისათვის დამახასიათებელია ცხოველქმედების ტრადიციათა დაგროვება. ქალაქური ცხოვრების ყაიდის კრისტალიზაცია, სივრცითი ქცევის თავისებურებათა გამოკვეთა, ე.ი. ყოველივე ის, რაც თავს იყრის ქალაქური კულტურის ცნებაში.“¹ ქალაქური კულტურა ის უმნიშვნელოვანესი ქალაქის მაფორმირებელი ფაქტორია, რომელიც განაპირობებს ქალაქის გარემოს შემკვიდრებობასა და რომელშიც ჩადებულია ქალაქის სივრცის განვითარების პოტენციალი. თავის მხრივ, „ქალაქური ცხოვრების ყაიდის შესასწავლად საჭიროა გარემოს როგორც სოციალური, ასევე სივრცითი თვისებების გარკვეული კრებული“², რადგან იგი სოციალურ-ეკონომიკური, სივრცით-დაგეგმარებითი და ეთნო-ფსიქოლოგიური ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგს წარმოადგენს.

ცხოვრების ყაიდა თავის თავში მოიცავს კულტურულ ნორმებს, ტრადიციებს, ქცევის სტერეოტიპებს. თვით ქალაქური კულტურის არსებობა ითვალისწინებს მოსახლეობის მიერ ქალაქის სივრცის ათვისების სპეციფიკური არსების არსებობასა და კონკრეტული ქცევის მოდელების ჩამოყალიბებას. ეს მოდელები თავის მხრივ კანონზომიერია ქალაქური კულტურისთვის და უნივერსალურად იჩენს თავს, მათი ინტერპრეტაციის ინდივიდუალური წესების არსებობის მიუხედავად.³

ურბანიზმთან, ანუ ქალაქური ცხოვრების ყაიდასთან საინტერესო მიმართებაშია ოჯახის თემა. ურბანიზმმა მოიტანა იზოლირებული ნუკლეარული ოჯახის ცნება. არჩევანის თავისუფლება, სამსახურის მრავალფეროვნება მოითხოვს ინდივიდისაგან დამოუკიდებელი იყოს ოჯახის ზეწოლისა და პრინციპებისაგან, დააფუძნოს საკუთარ განსჯაზე. ოჯახთან ძლიერი კონტაქტის არსებობა, რომელიც დამახასიათებელია რურალური საზოგადოებისათვის, შესუსტებულია სწრაფი ინდუსტრიალიზაციის პერიოდში და დიდი ოჯახი იცვლება მეტად

¹ ვარდოსანიძე ვ., სულუხია თ. თბილისში საცხოვრისის კვლევის საკითხისათვის. შრომები, 9, 1992.

² Коган Л.Б. Урбанизация и Городские Процессы. Сущность и задачи Исследований. В сб. Социальные Исследования, проблемы города и жилища. 1970-80. Новосибирск, Наука, 1986. С. 17

³ Голд Д., Основы поведенческой Географии. М., "Прогресс", 1990. Стр.3.

მცირე, იზოლირებული და სოციალურად მობილური ნუკლეარული ოჯახით! ქალაქში ნუკლეარული ოჯახი გახდა ეკონომიკურად და-
მოუკიდებელი ერთეული და ნათესაური კავშირების უპირატესობა
პროფესიონალურმა და მეგობრულმა კავშირებმა შეცვალა, ზოგ
შემთხვევაში ნაწილობრივ, ზოგ შემთხვევაში კი სრულიად. მიუხედა-
ვად იმისა, რომ ოჯახური კავშირის სიმტკიცე შესუსტდა ყველა
ქვეყანაში რურალურიდან ურბანულ ცხოვრების სტილზე გადასვ-
ლის შედეგად, სხვადასხვა საზოგადოებებში ეს ცვლილება განსხვავე-
ბული ხარისხით გამოვლინდა.

ქალაქის პირობებში ხშირია დიდი ოჯახების ხელოვნური შენარ-
ჩუნება. მაგალითად, საცხოვრებელი ფონდის მიწოდების ნაკლებობა
მოთხოვნასთან შედარებით ქმნის საცხოვრებელი ფონდის დეფიციტს
და ასეთ შემთხვევაში სხვადასხვა თაობის ოჯახები იძულებული არ-
იან ერთად იცხოვრონ! იგივე შედეგი აქვს ფინანსურ პრობლემებსაც,
რადგან უმეტესად ნუკლეარული ოჯახის გამოყოფას სჭირდება არა
მარტო ახალი საცხოვრებლის შესაძენი საშუალებანი, არამედ თავის
შესანახი შემოსავალიც. განვითარებად ქვეყნებში ასეთი პრობლემები
ქმნის ხელსაყრელ პირობებს დიდი ოჯახის ხელოვნური შენარჩუნე-
ბისათვის, რასაც ვერ ვიტყვით განვითარებულ ქვეყნებზე.

კვლევებმა დაადასტურა, რომ ნათესაურ კავშირებს უდიდესი მნიშ-
ვნელობა აქვთ სოფლიდან ქალაქში მიგრაციის პროცესისას. მიგრა-
ციას თან ახლავს ბუნებრივი სოციალური და ეკონომიკური ქაოსი
ინდივიდის ცხოვრებაში, რადგან ხშირ შემთხვევაში ქალაქში მიგრაციისას
ინდივიდი ხვდება მისთვის ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად უცნობ
გარემოში. ამიტომ უმეტესად მიგრანტი ცდილობს თავი შეაფაროს
ნათესაურ ანდა ნაცნობ ჯგუფსა და გარემოს და ამით გაიიოლოს
ახალ გარემოსთან ადაპტაცია. ეკონომიკური კრიზისის პირობებში
ქალაქის მიგრანტებსა და მათ სოფლის ნათესაობას შორის შენარ-
ჩუნდება მჭიდრო ურთიერთობა. ისინი ერთმანეთს მხარში უდგანან და
ხშირია სოფლიდან ქალაქში პროდუქტების, ქალაქიდან სოფელში კი

¹ თეზაუე 6. საცხოვრებლის ფორმირების არქიტექტურულ-დაგეგმარებითი პრონციპები
საქართველოს პირობებში. დისერტაცია 1994. გვ 129.

² თ. სულუხაია. მსხვილი საცხოვრებელი მასივების ფუნქციურ-სივრცითი რეორგანიზაციის
ურბანოლოგიური წანამბეჭდები. დისერტაცია, 1997. გვ 98.

ფულისა და საყოფაცხოვრებო ნივთების გაგზავნა. მეტიც, განვითარებად ქვეყნებში სოფლიდან ქალაქში სამსახურის ძიებით გამოწვეული მიგრაციის პირობებში ხშირად მცირეწლოვან ბავშვებს მოსავლელად სოფელშიც კი ტოვებენ ნათესავეებთან სრულწლოვან ასაკამდე, ისევე, როგორც სახლ-კარს უტოვებენ ნათესავეებს მისახელად. აქედან გამომდინარე, ხშირად მიგრანტი სოფლის ნათესაობასთან კონტაქტებზე დამოკიდებული რჩება. აქვე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ნათესაური და ოჯახური კავშირების სიმტკიცე და ინტენსივობა ცვლადს წარმოადგენს, რომელიც დამოკიდებულია ისტორიულ პერიოდზე, კულტურასა, და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ეტაპზე.

როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, სოციალურ-სივრცითი ფორმები და სტრუქტურა არ არის დამოკიდებული მხოლოდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებზე. ინდივიდის სოციალური მახასიათებლები, როგორცაა: სქესი, რასა, ეთნიკური წარმოშობა, მატერიალური შემოსავალი და სხვა პირდაპირკავშირშია სივრცით ფორმებთან და ინდივიდი-სივრცის ინტერაქციასთან. სოციალურ-სივრცითი მიდგომის ძირითადი თეორია ისაა, რომ სოციალური ფაქტორები აყალიბებს მოსახლეობის კონკრეტულ ფორმას, რაც თავის მხრივ უკავშირდება კონკრეტულ სივრცეს. ქვეყის ფორმებს შორის სხვაობას განაპირობებს კონტრეტული გარემო — გეტოს უბანი, საჯავრო კომპლექსი, გოლფის კლუბი, და კონკრეტული სოციალურ-სივრცითი მნიშვნელობის მატარებელი ასევე სივრცე გარკვეულად არეგულირებს ადამიანის ქცევას ამ გარემოში. ხშირ შემთხვევაში ინდივიდის ქცევა და ინდივიდი-გარემოს ინტერაქციის პროცესები რეგულირდება წარწერებითა და სიმბოლური მინიშნებებით.

ჯერ კიდევ მარქსისა და ვებერის თეორიით, მარტო ფულადი რესურსების ფლობა და მატერიალური სიმდიდრე არ განაპირობებს ინდივიდის სოციალურ სტატუსს, არამედ კონკრეტული წარმოშობა და კულტურული ატრიბუტები, როგორცაა: პრესტიჟი, პოლიტიკურ ძალეებთან სიახლოვე და სხვა. თუ დაბალი კლასის წარმომადგენლის მდგომარეობა არ არის გამყარებული მატერიალური სიმდიდრით, დაბალი კლასის წარმომადგენლებს უჭირთ მაღალი კლასის საზოგადოებასთან სივრცითი აღრევა. ასე რომ, სოციალური სტატუსი განისაზღვრება

ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ფაქტორებით, რომელთაგან მატერიალური სიმდიდრე მაინც დომინანტურ ფაქტორს წარმოადგენს. ამ კუთხით სოციოლოგებმა შემოიღეს სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის (SES) ცნება.¹ ეს ის ცვლადია, რომელიც გამოხატულებას სივრცით გარემოში ახდენს. SES-ის მახასიათებელია, რომლის მიხედვითაც ხდება ერთგვარი სტატუსის მფლობელი ადამიანების თავმოყრა და სივრცითი დაჯგუფება ქალაქის კონკრეტულ უბნებში. ამის შესანიშნავი მაგალითებია: ბევრლი ჰილი ბოსტონში, პარკ ავენიუ ნიუ-იორკში — მდიდართა უბნები, რომელთა სტატუსი მთელს მსოფლიოშია ცნობილი. აქ საქმე გვაქვს სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის გადაქცევასთან სივრცით სტატუსად, რის შედეგადაც მდიდართა უბნების წარმომადგენლები ცდილობენ თავისი სამფლობელო თუ უბანი გამიჯნონ ქალაქის სხვა ნაწილებსაგან. ასეთი იზოლაციის მცდელობა ადამიანთა დასახლებების ისტორიის მთელ მანძილზე არსებობს და იწვევს სივრცის სეგრეგაციას, რომელიც დაცვის ისეთი საშუალებებითაც გამოიხატება, როგორიცაა: ცოცხალი დაცვა, ღობეები და სიმბოლური ნიშნები.

გარემოს ხარისხობრივი მახასიათებლები განაპირობებს სხვადასხვა ცხოვრების ყაიდათა გაჩენის შესაძლებლობას, ანუ უფრო კონკრეტულად სოციალურ-სივრცითი მოდელების განსხვავებულობას. მაგალითად მანჰეტენი (ნიუ-იორკი) ცნობილია როგორც სუპერთანამედროვე ქალაქური კულტურის გარემო, სადაც ერთი მილიონი ადამიანი თავმოყრილია 40 კვარდატული კმ ტერიტორიაზე. აქ ქუჩის ქცევა დაკავშირებულია მოდასა და ჩაცმულობაზე მაღალ აქცენტთან. აქაურ სუბკულტურებს აქვთ მკვეთრად გამოხატული ჩაცმულობის განსხვავებები. ეს უმეტესად ქვეითთა და საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლეთა ქალაქია და ამიტომ სწორედ ჩაცმულობით ხდება ინდივიდთა და მათი ჯგუფების თვითგამოხატვა. ამის საწინააღმდეგოდ ლოს-ანჯელესი ავტომობილისტთა ქალაქია და შესაბამისად, აქ ნაკლებად არის აქცენტირებული ყოველდღიური ჩაცმულობა და მეტად მანქანის მოდელი, რომლის საშუალებითაც ახდენს ინდივიდი თვითგამოხატვას ქალაქის სივრცეში.² მეცნიერებაში არაერთი განსხვავებული მიდგომა და მიმდინარ-

¹ Gottdiener, Mark. 1994. Op. Cit., p. 148

² Gottdiener, Mark. 1994. Op. Cit., p. 183

ეობა არსებობს ინდივიდი-გარემოს ურთიერთქმედებასა და ინდივიდის ქცევის ფორმირების თაობაზე. ერთ-ერთი ცნობილი მიმდინარეობა ბიპევიორიზმი სრულიად აქინებს ინდივიდის ცნობიერის როლს ქცევის ფორმირებაში. ქცევას იგი ხსნის როგორც პასუხს გარემოსაგან მიღებულ ქვეცნობიერ სტიმულებზე. ასეთი მიდგომა სრულიად უარყოფს ადამიანის აზროვნებისა და გრძნობის როლს მისი ქცევისა და გარემოსადმი დამოკიდებულების ფორმირებაში და ამის ნაცვლად ამაღლებს გარემოს მახასიათებლების მნიშვნელობას.

ინდივიდის ცხოვრების ყაიდას, სივრცით ქცევასა და კონკრეტულ არჩევანს ქალაქის სივრცესთან მიმართებაში ასევე განსაზღვრავს ეკონომიკური ფაქტორები, ანუ ოჯახის ეკონომიკური შემოსავალი. მაგალითად, ეს ფაქტორები დიდ როლს თამაშობს იმ უბნის განსაზღვრაში, რომელსაც საცხოვრებლად ირჩევს ინდივიდი.

❖ ადაპტაცია ქალაქურ კულტურასთან

ურბანიზაციის ისტორიულად ხანგრძლივმა პროცესმა განაპირობა ქალაქური გარემოს ევოლუციური განვითარება, ქალაქისთვის დამახასიათებელი ცხოველქმედების ტრადიციათა დაგროვება, ქალაქური ცხოვრების ყაიდის კრისტალიზაცია, სივრცითი ქცევის თავისებურებების გამოკვეთა, ანუ ყოველივე ის, რაც თავს იყრის ქალაქური კულტურის ცნებაში, ამიტომ სწორედ ქალაქური კულტურა იქცა მძლავრ ქალაქის მაფორმირებელ ფაქტორად და მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქალაქური გარემოს შემკვიდრეობითობა.¹

ადაპტაციის პროცესის მიმდინარეობა უდიდეს გავლენას ახდენს ქალაქის სივრცეში ინდივიდის ქცევაზე. სწორედ ამ პროცესში ზორციელებდა ქალაქური კონტაქტებისა და კავშირების ჩამოყალიბებულ სისტემაში ინდივიდის ჩართვა და კულტურიზაცია², ანუ ჯგუფში მიღებული მოდელის შეთვისება. XX საუკუნის დასაწყისის გამოჩენილი ურბანისტი რობერტ რედფრიდი (Robert Redfried) აღწერს მიგრანტის

¹ ვარდოსანიძე ვ. სულხუა თ. საქსოვისის კვლევის საკითხისათვის. სტუ-ს „შრომები“. 9, 1992, გვ.
² Роберт М.А., Тильман. Психология Индивида и Группы. М., Прогресс, 1988. С. 70

„ურბანიზების“, ანუ ურბანულ გარემოში ჩართვის ორ საფეხურს.¹ პირველზე ხდება ფიზიკური შერწყმა (აბსორბცია) ქალაქის გარემოში, მეორეზე კი — ფსიქოლოგიური ცვლილებების ფორმირება, ანუ შეხედულებათა და დამოკიდებულებათა შეცვლა გარე სამყაროსთან მიმართებაში, ე.წ. ემანსიპაცია. ორივე საფეხურის გადალახვის შემთხვევაში ხორციელდება ინდივიდის სრული მიღება ახალ გარემოში. წინააღმდეგ შემთხვევაში კი იგი ხდება მარგინალური (ანუ ინდივიდი, რომელიც იმყოფება ორი კულტურის ზღვარზე).² მისი ქცევის მარეგულირებელი ნორმები ახალ გარემოში დროთა განმავლობაში კარგავს მნიშვნელობას, ახალს კი ინდივიდი დიდი ხნის განმავლობაში ვერ ეთვისება. ასეთი ინდივიდები არამყარი პიროვნული ნიშნებით ხასიათდებიან და ეს განსაკუთრებით პრობლემატურია იქ, სადაც მოსახლეობაში სოფლის მიგრანტთა წილი განსაკუთრებით მაღალია.

დღევანდელი ქალაქები მოიცავს სოფლიდან მიგრირებული მოსახლეობის დიდ რიცხვს, ქალაქი კი, თავისი სივრცით-დაგეგმარებითი გარემოს არასრულყოფილების გამო ვერ ასწრებს რურალური მიგრანტების ჩართვას ქალაქურ პროცესებში და ქალაქურის ნაცვლად ყაილიბდება რურალური თვითშეგნება. ასეთ პირობებში განსაკუთრებული აქტუალობით ხასიათდება მოსახლეობის საცხოვრისისადმი ადაპტაციის პრობლემა, რომლის გამოვლენის ორი ძირითადი ფორმა შეინიშნება: მოსახლეობის შეგუება გარემოსთან და გარემოს მორგება მოსახლეობის მოთხოვნილებებისადმი. უკანასკნელი ასახავს მოსახლეობის ცნობიერ თუ ქვეცნობიერ სურვილს გარკვეულად შეცვალოს გარემო, რაც გამოიხატება სპეციფიკური სივრცით ქცევის საშუალებით³. ეს შეიძლება იყოს როგორც მორიდებული, ასევე აგრესიული ასოციალური ქმელებით. ამის დასტურად გვევლინება სოციალურ ურთიერთობათა დეფორმაცია, გარემოსგან გაუცხოება, ვანდალიზმისა და ბოროტმოქმედების ტენდენციები.

¹ Redfield Robert. The Folk Society. Pp. 180-205 in Classical Essays on the Culture of Cities. Ed. Sennett, Richard. 1969. Meredith Corporation, NY. P. 217.

² Вардосанидзе В. Влияние социально-культурных функций центра крупнейшего города на развитие новых жилых образований. Дисс. на соиск. Науч. Степ. Канд. Арх.-ы. М., 1981, с. 60

³ Хлопин А.Д. Миграционные процессы и проблема личности на рубеже культур в социологии США. В сб. Урбанизация и расселение трудящихся в условиях капитализма. М., Прогресс. 1974. С. 236-304

აღსანიშნავია, რომ სოციალურ მეცნიერებათა ენაზე „შეგუება“ და „ადაპტაცია“ განსხვავებული ცნებებია. შეგუება ადაპტაციის მხოლოდ ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს. ადაპტაცია, ან პირიქით, მალადაპტაცია (ადაპტაციის არასრულყოფილი და ნეგატიური ფორმა) ⁴ სხვადასხვა ფორმით შეიძლება მოგვევლინოს¹.


1. პრობლემათა თავიდან აცილება, რომელსაც თან ახლავს შიში, სტრესი.

2. აგრესიული ქმედება.

3. ფსიქოლოგიური ადაპტაცია.

4. კონსტრუქციული ქცევა, მიმართული გარემოს ელემენტების ადაპტაციისაკენ საკუთარი მოთხოვნილებების შესაბამისად (როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა).

სქემა 3. ინდივიდის გარემოსთან ადაპტაციის საფეხურები.




ინდივიდის საცხოვრისის გარემოსთან ადაპტირებულობა პირდაპირპროპორციულია ინდივიდის მონაწილეობისა მის ფუნქციონირებაში, მოსახლეობის მონაწილეობა საცხოვრისის ორგანიზაციის პრობლემათა გადაჭრაში კი მეტად მნიშვნელოვნად იხსნება. იგი უზრუნველყოფს უბნის სოციალური და არქიტექტურულ-დაგეგმარებითი შემადგენლების ზედღებასა და საცხოვრისის თანამიმდევრულ ჩართვას ქალაქის ერთიანი ორგანიზმის ფუნქციონირებაში (სქემა 3, 4).

¹ Sonnenfeld J., Variable Values in Space and Landscape: An inquiry into the Nature of Environmental Necessity. P. 71-83. The Journal of Social Issues. 1996. XXII, N4.

მოსახლეობის საცხოვრისთან ადაპტაციის პრობლემა გადადის ქალაქურ კულტურასთან ინტეგრაციის შეფერხების პრობლემაში, რაც, უდავოდ ქალაქური კულტურისა და ქალაქური ცხოვრების ყაიდის სტანდარტების თანდათანობით დაცემას მიგვასწავლებს.

სქემა 4. ინდივიდის ადაპტაცია ქალაქის გარემოსთან და მისი პირობები



სივრცითი გარემოს გავლენით ინდივიდის ქცევა ფორმირდება იმის მიხედვით, თუ როგორ აღიქვამს ინდივიდი ამ გარემოს. გარემოს აქვს თავისი სოციალური მნიშვნელობა და გარკვეული სიმბოლური ღირებულება გააჩნია. ამის მიხედვით ინდივიდს უჩნდება დადებითი თუ უარყოფითი დამოკიდებულება გარემოსთან, რომლის შედეგად განისაზღვრება ინდივიდი-გარემოს ინტეგრაცია, ინტერაქციის სიხშირე, კეთილგანწყობა, და ასე შემდეგ. ანუ ეს ინტერაქცია ურთიერთ-განმსაზღვრელი და ურთიერთგანმაპირობებელია.

თეორია და პრაქტიკა ამტკიცებს, რომ მიგრანტების ადაპტაცია ქალაქის გარემოსთან ქვაბში დნობის პრინციპით ხდება. დროის ფაქტორი პირდაპირპროპორციულია ადაპტაციის ხარისხსა და წარ-

მატებულობასთან. დროის ფაქტორი ზრდის ინდივიდის მობილურობას ქალაქის სივრცეში, აუმჯობესებს მის სივრცით და საზოგადოებრივ ორიენტაციას, რასაც თავისთავად მოჰყვება კულტურული ადაპტაცია და ცხოვრების სტილის ქალაქური და ადგილობრივი მახასიათებლების შედარებითი გაზიარება, აქედან გამომდინარე, იქიდან ეს არის რურალური მიგრანტი, თუ მიგრანტი სხვა ეთნიკური ჯგუფიდან. საერთო ქვაბში ხარშვის თეორიით მიგრანტი ნელ-ნელა ითქვიფება ქალაქის ჰეტეროგენულ გარემოში.

- ქალაქური გარემოს აღქმა: მენტალური რუკები

ინდივიდი-გარემოს ინტეგრაცია მეტად არის დამოკიდებული ინდივიდის მიერ გარემოს აღქმაზე. ამ საკითხის კვლევის შედეგად ამერიკელმა მეცნიერმა ქევინ ლინჩმა (Kevin Lynch) შეიმუშავა მსოფლიოში ცნობილი თეორია მენტალური რუკების შესახებ.¹

ამ თეორიის მიხედვით ქალაქი შედგება მრავალი ცალკეული ადგილისაგან და მათგან მიღებული უშუალო შთაბეჭდილებათა ჯამი ქმნის ინდივიდისათვის გარემოს ხატს — მენტალურ სურათს ანუ გარემოს კონკრეტულ ხატს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარემოში აქ იგულისხმება არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ მისი ფუნქციონირების სოციალური დატვირთვაც, ანუ მასში მიმდინარე პროცესებიც. სწორედ ამ კონტექსტში გამოიყენებენ ინდივიდი კონკრეტულ ემოციას გარემოსთან მიმართებაში. ყოველ ინდივიდულურ შემთხვევაში ეს ემოცია განსხვავებულია და დამოკიდებულია სქესზე, ასაკზე, რასაზე, სოციალურ ჯგუფზე და სხვა მახასიათებლებზე. ამ მახასიათებლებს მიეკუთვნება კონკრეტული ადგილისადმი ინდივიდის მოლოდინები, დროის ფაქტორი, სხვადასხვა სოციალური და ფსიქოლოგიური დატვირთვა. მაგალითად, ბავშვებსა და ზრდასრულ ინდივიდს სხვადასხვა მოლოდინები აქვთ გარემოს მიმართ, ამიტომ მათ განსხვავებული მენტალური რუკა ექმნებათ ერთგვარი გამოცდილების შემთხვევაში.

¹ Линч К. Образ Города. М., «Наука, 1991.

მენტალური რუკების შექმნაში დიდ როლი მიუძღვის ადგილის სემიოტიკას. სემიოტიკა არის უძველესი ცნება. რომელიც მოიცავს ადამიანისა და გარემოს კომუნიკაციის ფორმებსა და სისტემებს. ცენტრალური იდეა სემიოტიკაში არის ნიშანი. ხშირ შემთხვევაში წარწერა,

რომელიც გარკვეულად არეგულირებს და მიმართავს ინდივიდი-გარემოს ინტერაქციას. თანამედროვე სემიოტიკის ძირითადი ელემენტებია: ნიშანი, ინდექსი და სიმბოლო. სემიოტიკური ენა ფართოდ შეისწავლება სოციალური მეცნიერებების სფეროში.¹

აღსანიშნავია, რომ ინდივიდთან ხშირ ინტერაქციაში მყოფი ადგილები და ის გარემო, რომელიც აკმაყოფილებს ინდივიდთა მოლოდინებს, უფრო დეტალურად გამოიკვეთება მენტალურ რუკებში, ვიდრე უცნობი ან არადაამაკმაყოფილებელი ადგილები. ეს უკანასკნელნი ინდივიდის მენტალურ რუკაზე „ნაცრისფერ“ ტერიტორიებს წარმოადგენენ. უფრო ზოგადად, ქვეინ ლინჩმა აღმოაჩინა, რომ არა მარტო ადამიანებს აქვთ განსხვავებული უნარი აღიქვან გარემო და გამოიმუშაონ ესა თუ ის მენტალური რუკა, არამედ თვით გარემოს სხვადასხვა ფრაგმენტებს აქვთ განსხვავებული უნარი, მიიპყრონ მეტი თუ ნაკლები ყურადღება ინდივიდში მენტალური რუკის ფორმირებისას და შეიქმნან დადებითი თუ უარყოფითი იმიჯი. ლინჩმა თავისი კვლევით დაამტკიცა, რომ კონკრეტული მახასიათებლების წყალობით ზოგიერთი ადგილი უფრო პოზიტიურად აღიქმება, ამ მხრივ გამოირჩევა ერთ-ერთი, კერძოდ განსაკუთრებული უნარით შექმნას თავის მიმართ ინდივიდის პოზიტიური დამოკიდებულება და მოიპოვოს განსაკუთრებული ადგილი მენტალურ რუკაზე. ლინჩის თეორია კიდევ ერთხელ გვარწმუნებს ურბანისტთა, ქალაქმშენებელთა, არქიტექტორთა და დიზაინერთა უდიდეს როლზე ინდივიდი-გარემოს ურთიერთობის ფორმირებაში.

როგორც ზემოთ განვიხილეთ, მენტალური რუკები ინდივიდის ცნობიერებაში კონკრეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ კონკრეტულ ადგილსა თუ გარემოს. კონკრეტული არქიტექტურული თუ ქალაქმშენებლობითი ფორმები კონკრეტულ ორიენტაციას აძლევენ ინდივიდის ქცევას. ისინი, როგორც სივრცითი ნიშნები, კონკრეტულ ორიენტა-

¹ Kuper, Adam, Jessica Kuper. (eds.) 1999. The Social Science Encyclopedia. London and New York; Routledge. p. 767.

ციას აძლევენ ინდივიდის ქცევას ამ გარემოში და აქვთ უნარი ზელი შეუწყონ თუ შეუშალონ ინდივიდი-გარემოს ურთიერთობის დადებით ფუნქციონირებას. ამის შესაბამისად, კონკრეტულ ადგილებს აქვთ უნარი გაზარდონ ან შეამცირონ ადამიანის სტრესი გარემოსთან მიმართებაში ისევე, როგორც უნარი — შეამცირონ ან გაზარდონ ინდივიდის გარემოსთან ინტეგრაცია.

❖ ქალაქი და ეკოლოგია

ქალაქისა და ბუნებრივი გარემოს ურთიერთობა მეტად აქტუალური საკითხია. გარემოს ხარისხობრივი მახასიათებლები მთელ რიგ ფაქტორებს უკავშირდება ურბანიზაციასთან მიმართებაში. როგორ გავლენას ახდენს ქალაქის სოციალური პროცესები ბუნებრივ გარემოზე? რა გავლენა აქვს წარმოებასა და სხვა საქმიანობას ბუნებრივ გარემოზე? როგორ გავლენას ახდენს ქალაქის ზრდა ინდივიდთა ჯანმრთელობაზე? ეს ყველა შეკითხვა თავს იყრის გარემოს ხარისხობრივი მახასიათებლების ირგვლივ. ინდუსტრიულიზაციამ განსაკუთრებით სახიფათო პირობები შექმნა ბუნებრივი გარემოსათვის, გამოიწვია რა საწარმოო ნარჩენებისა და სხვა მავნე ნივთიერებების გამონაყოფის რაოდენობის ზრდა ქალაქში ისევე, როგორც თვით ქალაქის მოსახლეობის ზრდა. ეს ორივე ცვლილება ძვირად უჯდება ბუნებრივ გარემოს: ტექნიკური გამონაყოფი მავნეა გარემოს ცხოველური და მცენარეული საფარისათვის; ტყის საფარველის გაჩეხვა იწვევს ჰაერისა და ნიადაგის ხარისხის დეგრადაციას და მრავალი სხვა ფაქტორი.

საზოგადოება დღემდე, როდესაც უკვე ნათელი გახდა ეკოლოგიური კატასტროფის მოახლოება, განვითარების სარგებელს გარემოს მიერ გაწეული ხარჯისა და ზიანზე მადლა აყენებდა. თეორია იმის შესახებ, რომ ტექნოლოგია, მეცნიერება და ინდუსტრიული ზრდა ერთმნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოების საცხოვრებელ პირობებს, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა არაერთხელ დატრიალებული კატასტროფების შედეგად. ასეთია თუნდაც ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის კატასტროფა უკრაინაში, რომელმაც გარემოს ხარისხობრივ მახასიათებლებზე არა მარტო უკრაინაში, არამედ მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირში, აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპაში

უარყოფითი გავლენა მოახდინა. დღეს, ურბანიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის უზარმაზარი გლობალური ხარჯები სრულიად აშკარაა: ოსონის შრის პრობლემა, გლობალური დათბობა, ცხოველთა და მცენარეთა ზოგიერთი ჯიშის გადაშენება და სხვა. კაცობრიობამ დაიწყო არასახიფათო წარმოების მეთოდებისა და არასახიფათო ტექნოლოგიების აქტიური ძიება.

მაგალითად, აშშ-ში გარემოს დაცვის მოძრაობა XIX საუკუნეში დაიწყო. ნატურალისტმა ჯონ მიუარმა (John Muir) (1838-1914წწ.) მან მიაღწია იმას, რომ აშშ-ში ჩამოყალიბდა ნაციონალური პარკების სისტემა და არასამთავრობო ჯგუფები, რომლებიც იცავდნენ კონკრეტულ ჯიშებს. XIX საუკუნეში ეს პროცესი უკვე სრულყოფილი გახდა, 1970-იან წლებში კი კულმინაციას მიაღწია იმ სისტემის შემუშავების მხრივ რომელიც არგულირებს აშშ-ში მოსახლეობის ინფორმირებას ეკოლოგიურ საკითხებზე, ნორმატივების დაცვის კონტროლს, გარემოს დაცვით დაკავებული ფორმალური თუ არაფორმალური ორგანიზაციების კოორდინაციას და სხვა.

საინტერესოა, რომ რამდენადაც პრესტიჟულია ქალაქის უბანი, მით მეტად არის დაცული მასში გარემოს დაცვის ნორმები. გამწვანება, სისუფთავე, მაღალხარისხიანი სასმელი წყლის მოწოდება, სამეურნეო ნარჩენების რეგულარული გატანა და სხვა სწორედ პრესტიჟული უბნები სერვისის უფრო მაღალი ხარისხით ხასიათდება, ვიდრე ნაკლებად პრესტიჟული.

❖ *არქიტექტურული ზერხებით სოციალური პრობლემების მოგვარების მცდელობანი*

ამერიკელი მეცნიერი ოსკარ ნიუმანი (Oscar Newman) ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც დაიწყო ძიება არქიტექტურული ზერხებით სოციალური და სივრცითი პრობლემების გადაწყვეტისათვის მსხვილ საცხოვრებელ მასივებში. მას მიაჩნია, რომ საცხოვრისის გარემომ უნდა შექმნას პირობები სოციალური პროცესების სწორი წარმართვისათვის, განამტკიცოს „თემის სული“, რათა მათ დაიცვან თავისი

საცხოვრისი გარეშეთა აგრესიისაგან, მოუარონ მას და თავი სცნონ მის პატრონად. ამისათვის, მისი აზრით, აუცილებლობას წარმოადგენს ტერიტორიის ფიზიკური და სიმბოლური მარკირება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ჯგუფური პერსონალიზაციის პირობები.

ოსკარ ნიუმანის დაცული სივრცის თეორია შემდგომში გაკრიტიკებულ იქნა და არქიტექტურული დეტერმინიზმი ეწოდა.¹ ამის შესანიშნავი მაგალითია სტოკჰოლმის გარშემო განლაგებული საცხოვრებელი მასივები, რომლებიც აღიარებული გახლავთ იმ დადებითი სოციალურ-ფსიქოლოგიური განწყობის კუთხით, რომელთაც მათი სივრცით-დაგეგმარებითი მახასიათებლები განაპირობებს. ასეთ დადებით ფაქტორებს მიეკუთვნება მოსახლეობის კმაყოფილება, მაღალი სოციალური აქტივობა, კრიმინოგენული მონაცემების დაბალი დონე და სხვა. ერთი შეხედვით წარმოუდგენელია ის, რომ ეს ახალი საცხოვრებელი მასივები მავთულის მაღალი დობით არის გარშემორტყმული და ეს მავთულის ბაღე ზემოდან ეკლიანი გრაფილით ბოლოვდება. რა ვუწოდოთ ამას? პროვინციალიზმი? დეტერმინიზმი? პასუხი ძნელი მოსაძებნია, რადგან ტერიტორიის ასეთი მარკირება სწორედ ერთ-ერთი პირობა გახდა გარემოს მხრიდან იმ სენსორული სტიმულაციისა და მოტივაციის, რომ მოსახლეობამ იგრძნოს „კოლექტიური განმზღლოება“ თავის საცხოვრისში, რაც, თავის მხრივ, ინდივიდთა კონსოლიდაციის მაღალ დონეს ქმნის და უზრუნველყოფს ფსიქოლოგიური კომფორტის უმაღლეს ხარისხს.

ტერიტორიულობის ცნება უკვე შირდება გარკვეული სივრცეების მიმაგრებას ინდივიდებსა და მათ ჯგუფებზე მართვის, შესაკუთრებისა თუ მოხმარების გამოვლინებით. იგი შეიძლება სხვადასხვა მასშტაბით გამოვლინდეს და განხილულ იქნეს ბინის კარიდან ეროვნულ საზღვრებამდე თავიდან ტერიტორიულობის გამოვლინების შესწავლა

ცხოველთა სამყაროდან დაიწყო და აღაძინებთან მიმართებაში გაღრმავდა დღეს მას განსაზღვრავენ როგორც ინდივიდებისა და ჯგუფების გაიგივებას კონკრეტულ სივრცესთან. იგი სამ ძირითად დონეს მოიცავს:

1. სივრცის კლასიფიკაცია და განსაზღვრა;

2. მისი მარკირება სიმბოლური თუ ფიზიკური საზღვრებით;

¹ იხ.: Newman, Oscar. (1972). Defensible Space. Crime Prevention Through Urban Design. Collier, NY.

3 სოციალური დაცვისა და წესრიგის დაწესება ტერიტორიულობა ქალაქის სივრცეში საზოგადოებრივი მოვლენა და სოციალური წესრიგის წარმოადგენს. სოციალური ჯგუფები იყენებენ ტერიტორიულობას თავისი ინტერესების გამოხატვისა და დაცვისათვის. იგი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ჯგუფური ცნობიერების ჩამოყალიბებაში (ამას მიეკუთვნება ნაციონალიზმი, უმცირესობათა ჯგუფების ინტერესები, გეტოიზმი და სხვა). ტერიტორიულობის გამოვლინება შეიძლება იყოს უარყოფითი ან დადებითი. იგი ხშირად იწვევს დაძაბულობას „გარეშე“ და „შინაურ“ პირებსა და ჯგუფებს შორის და ამის შედეგად ჯგუფების პოლარიზაციას ქალაქის სივრცეში. მეორე მხრივ, ტერიტორიულობა სოციოკულტურულ ფენომენად გვევლინება და არა მარტო ბიოლოგიურად, ადამიანებს იგი სჭირდებათ სოციალური ურთიერთობების რეგულაციისათვის (კონფლიქტური სიტუაციის დაკარგვის თავიდან ასაშორებლად) და ა.შ. მართლაც, ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგი მასლოუს აღიარებული ადამიანის მოთხოვნილებათა იერარქია დაგვემოწმება, რომ ადამიანისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოთხოვნილებას გარკვეული ადგილისადმი მიუთითებს წარმოადგენს.¹

ურბანსოციოლოგიის ამერიკელი კლასიკოსი რობერტ სომერი (Robert Sommer) იხილავს საზოგადოებრივ და პირად სივრცეს შორის გარდამავალი „ბუფერული ზონების“ — შუალედური, გარდამავალი ზონის არსებობის აუცილებლობას.² ეს პრინციპში გულისხმობს ჯგუფური პერსონალიზაციის სივრცეს და ტერიტორიულობის, სოციალიზაციისა და სოციალური კონტროლის სრულყოფილი ფუნქციონირების აუცილებელი ფაქტორია.

ცნობილი ამერიკელი სოციალ-ფსიქოლოგის რობერტ ალტმანის (Robert Altman) მიხედვით გარემოში აუცილებელია „მეორეული“ ტერიტორიების არსებობა, რომელიც გარდამავალია პირადსა და საზოგადოებრივ ტერიტორიებს შორის. სივრცის პერსონალიზაციისა და ტერიტორიულობისაკენ სწრაფვას ადამიანის ქვეცნობიერებაში აქვს საფუძველი. ადამიანის ფსიქიკის ყველაზე პრიმიტიული დონე თამაშობს მეტად მნიშვნელოვან როლს ადამიანის ქცევაში. სწორედ ამ დონეშია ჩადებული ტერიტორიულობისა და სიტუაციის დაცვის ფენომენი. დარვინიზმის თეორიის მიხედვით, აღიარებულია, რომ ტერიტო-

¹ Kuper, Adam, Jessica Kuper. (eds.) 1999. The Social Science Encyclopedia. London and New York; Routledge. p. 871.

² იხ.: Sommer, Robert. Personal Space: the Behavioural Basis of Design. Englewood Cliffs, Princeton Hall, NJ. 1969.

რიულობის ინსტიტუტი იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არსებობისათვის ბრძოლაში კაცობრიობის ისტორიის მანძილზე. ფროიდის მიხედვით, მისაკუთროების ზოგადი ინსტინქტი ადამიანში ბავშვობიდან ვითარდება.

❖ *სოციოლოგიური კვლევა*

ურბანსოციოლოგიაში სამეცნიერო კვლევა სოციალური კვლევის მეთოდებს ეფუძნება. სოციალური კვლევის მეთოდის ფართო სპექტრი არსებობს და მისი არჩევანი ამა თუ იმ მეთოდის მიზანშეწონილობასა და თვით არჩევანზე დამოკიდებული. კვლევა იწყება მისი დიზაინით. კვლევის დიზაინი კვლევის პროექტისათვის სტრატეგიული გეგმის შემუშავებაა, რომელიც შექმნის ჩასატარებელი სამუშაოს ფართო მონახაზს, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მეთოდის ჩათვლით. იგი განიხილავს იმას, თუ როგორ ეთანხმება კვლევის დაგეგმილი სტრატეგიის მისალწვე მიზნებს.

სოციალური კვლევის ხუთი ძირითადი მეთოდი გამოირჩევა¹:

1. ექსპერიმენტული;
2. სოციალური გამოკითხვა (Survey);
3. კონკრეტული შემთხვევის ანალიზი (Case-study);
4. დოკუმენტური და ისტორიული;
5. შერეული.

ექსპერიმენტული მეთოდი განსაზღვრავს ერთი ცვლადის მანიპულირების გავლენას სხვა ცვლადებზე. მაგალითად, ნიმუშები გროვდება მოსახლეობის ჯგუფში და განიხილება სხვაგვარ ექსპერიმენტულ გარემოში. ასეთ კვლევასთან ხშირად დაკავშირებულია ჰიპოთეზის შემუშავება და შედეგები განზოგადებას ექვემდებარება. მეორე მეთოდი, ანუ სოციალური გამოკითხვა ყველაზე გავრცელებული მეთოდია. იგი უმეტესად ინტერვიუს ან კითხვარის დახმარებით ხორციელდება. ინტერვიუს მეთოდი ბოლო ოთხი ათწლეულის მანძილზე გახდა პოპულარული და რესპონდენტთან პირისპირ ან ტელეფონზე საუბრის

¹ Kuper, Adam, Jessica Kuper. (eds.) 1999. The Social Science Encyclopedia. London and New York; Routledge. p. 533-536.

საშუალებით ხორციელდება. კითხვარის საშუალებით კვლევას განსაკუთრებით შრომატევადი მომზადება სჭირდება: კითხვარის ღიზინი, დარიგება და სხვა. კითხვარი შეიძლება დაკომპლექტდეს ღია შეკითხვებით (სადაც პასუხის შეზღუდული არჩევანი არ არის შემოთავაზებული) ან დახურული შეკითხვებით, (სადაც პასუხის არჩევა უნდა მოხდეს შემოთავაზებული პუნქტებიდან) რომელთაგან თითოეული კოდირებულია. მიღებული შედეგების კოდირება და ანალიზი დღეს სპეციალური კომპიუტერული სტატისტიკური პაკეტების დახმარებით ხდება. ყველაზე ცნობილი პაკეტია „SPSS“, რომელიც აშშ-შია შემუშავებული და მისი ოპერირება პერსონალური კომპიუტერის საშუალებით შეიძლება. მესამე მეთოდი, ანუ კონკრეტული სიტუაციის შესწავლა, ძირითადად, დაკავშირებულია ინდივიდებისა და მათი ჯგუფების კონკრეტულ სოციალურ-სივრცით ქცევაზე დაკვირვებასთან. მეოთხე, დოკუმენტურ-ისტორიული მეთოდი იყენებს ფაქტების კონსტატაციასა და ხშირ შემთხვევაში ავტომატურად იძლევა პასუხს კვლევის საკითხზე. მესხუთე მეთოდი მოიცავს ზემოთ მოყვანილი ოთხი მეთოდის შერეულ ტექნიკას და ყველაზე ხშირად გამოიყენება.

კვლევის მეთოდოლოგიაში გამოიყოფა ორი ძირითადი მეთოდი: თვისობრივი და რაოდენობრივი, რომელთა შორის ფუნდამენტური განსხვავებაა. რაოდენობრივი მეთოდი შეეხება რაოდენობრივი ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს, თვისობრივი კი ასოცირებულია რაოდენობრივი მონაცემების ხარისხობრივი ინტერპრეტაციისათვის. იგი 70-იანი წლებიდან შემოვიდა აქტიურ ხმარებაში და კვლევის ჰიპოთეზის ფორმულირებაში გამოიყენება. თვისობრივი ინფორმაციის მისაღებად ხშირად გამოიყენება ფოკუს-ჯგუფის მეთოდი. ფოკუს-ჯგუფი არის სტრატეგია, რომელიც მოიცავს ინტენსიურ ინდივიდთა მცირე ჯგუფთან დისკუსიასა და ინტერვიუს კონკრეტული საკითხის შესახებ.

კვლევის მეთოდოლოგია არის რთულში იგი ეხება სოციალურ მეცნიერებაში ფილოსოფიურ საკითხებს მისი — მეთოდთა კანონთა, პროცედურათა და პოსტულატთა კრებული კონკრეტულ დისციპლინასთან მიმართებაში იგი ეხება სოციალურ მეცნიერებაში ფილოსოფიურ საკითხებს და იმის შესწავლას თუ სოციალოგია და სხვა მეცნიერებები როგორ უდგებიან თავის სფეროსს და საკითხებს

²⁶ Marshall, Gordon, (eds.) 1994. Dictionary of sociology. Oxford, NY; Oxford University Press. p. 412

სოციალური მეცნიერებების მსგავსი კვლევის მეთოდთა პოლიტიკური კომპანიისა და საბაზრო-მარკეტინგული კვლევების დროს გამოიყენება. ამ კვლევების სწორად წარმართვისათვის აუცილებელია კვლევის ეთიკის დაცვა.

კვლევის ეთიკა მორალური წესებისა და პროფესიული კოდექსის ერთობლიობაა, რომლითაც სოციოლოგიურ კვლევაში ხელმძღვანელობენ და ინფორმაციის შეგროვების, ანალიზის, წარდგენისა და პუბლიკაციის პროცესში, რომელიც ყურადღებას ამახვილებს კონფიდენციალობის დაცვაზე ამას თან ახლავს კვლევის ობიექტის უფლება — უარი თქვას მონაცემების მიწოდებასა თუ პირადი აზრის გამოთქმაზე¹.

❖ *ქალი, გენდერული როლები და ქალაქის სივრცე*

ურბანსოციოლოგია დღეს ყურადღებას უთმობს სოციალურ პროცესებში და სოციალურ-სივრცით ურთიერთობებში გენდერულ ფაქტორს. იგი გენდერული როლების და სივრცის მიმართების თაობაზე 70-იანი წლებამდე დუმდა, რადგან ქალის როლი ქალაქის სივრცის ფორმირებაში რთული გამოსაყოფი და დასადგენია საუკუნეების მანძილზე მისი მცირე სოციალური და საზოგადოებრივი როლის გამო.

გენდერული საკითხების აქტუალობა აკადემიურ დისციპლინაში შემოვიდა აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში ფემინისტური მოძრაობის ზრდის შედეგად 70-იან წლებში. ფემინიზმი პოლიტიკურ მოძრაობას წარმოადგენდა და მიმართული იყო ქალისა და მამაკაცის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური თანასწორობის მოპოვებისაკენ. ისევე როგორც ცალკეული სოციალური პრობლემების გადაჭრისაკენ, როგორცაა ამორტები, კონტრაცეპცია და სხვა. 80-იანი წლებიდან წარ-

მოშვა ქალთა საკითხების შემსწავლელი აკადემიური დისციპლინა, რომელიც დაეწინაურა 80-იანი წლებიდან დაგროვილ მეცნიერულ ცოდნას ისტორიასა და დოკუმენტურ ფაქტებზე დაყრდნობით. ზმირად მას აკადემიურ ფემინიზმს უწოდებენ. ეს აკადემიური დისციპლინა სწავლობს ქალთა სოციალურ თუ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას საზოგადოებაში, მამაკაცთან მიმართებაში. ასეთმა მიდგომამ შეცვალა სოციალურ მეცნიერებათა მიდგომა ქალის პოზიციისადმი საზოგადოებაში.²

¹ Marshall, Gordon, (eds.) 1994. Op. Cit., p. 566.

² Kuper, Adam, Jessica Kuper. (eds.) 1999. Op. Cit. p. 327-329.

თანამედროვე საზოგადოებაში სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდამ, განათლების მიღების ხელმისაწვდომობამ, ოჯახთათვის ურბანულ გარემოში მეტი შემოსავლის საჭიროებამ, მზარდმა არჩევანის თავისუფლებამ და უკეთესი პირობების დაუფლების სურვილმა ქალის როლი ოჯახის გარეთ გააფართოვა და ყოველდღიურ საქმიანობაში მას მამაკაცის თანაბარი უფლებები მიანიჭა. ქალმა მზარდი საზოგადოებრივი როლი მოიპოვა, ნელ-ნელა შეცვალა მისი სტატუსი ოჯახსა და საზოგადოებაშიც. აღსანიშნავია, რომ ბევრ ქვეყანაში ეს პროცესი განპირობებული იყო სწორედ ოჯახის ეკონომიკური საჭიროებებით, რამაც ხელი შეუწყო საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული პატრიარქალური დომინირებით განპირობებული სივრცითი და საზოგადოებრივი აკრძალვების რღვევას. სივრცითი აკრძალვების, თუ ადრე დამკვიდრებული წესების რღვევას მოჰყვა ქალისა და ქალაქის სივრცის ურთიერთქმედების მნიშვნელოვანი ცვლილებები.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ქალის მზარდი საზოგადოებრივი როლის მიუხედავად მისი ფუნქციები ოჯახში მაინც მინიმალურად გადანაწილდა მამაკაცზე. თუ აშშ-სა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში მამაკაცმა გაიზიარა ქალის ოჯახური ფუნქციები, აზიისა და განვითარებად ქვეყნებში ეს ცვლილება არ განხორციელდა და ქალის დატვირთვა გაორმაგდა. მომსახურე ქალის მიერ სახლში გატარებული დრო შემცირდა და იგი ვეღარ აუდიოდა ოჯახის საქმეს. ქალის ოჯახური დატვირთვის შემსუბუქების კუთხით ქალაქებში გაჩნდა სერვისის ახალი ეფექტური ტიპი, როგორიცაა: სამრეცხაოები, fast food-ის ტიპის საზოგადოებრივი კვების პუნქტები, და სხვა. კომმუტერი მამაკაცების რიცხვს დაემატა კომმუტერი ქალების რიცხვი და გაიზარდა მოთხოვნა საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ისევე, როგორც გაიზარდა პირადი ავტომობილის რაოდენობა ქალაქში. თავის მხრივ, ამან გამოიწვია ქალაქებში საზოგადოებრივი გარაჟების რიცხვის ზრდა, ისევე როგორც გარაჟებზე და ავტოსადგომებზე მოთხოვნა საცხოვრებელ უბნებში. სუბურბანული სტანდარტული სახლი ორგარაჟიანი გახდა. როგორც ზემოთ მოყვანილი მსჯელობა და ფაქტები ცხადყოფს, ქალის საზოგადოებრივი როლის ზრდამ თავისებური გავლენა მოახდინა ქალაქის სივრცესა და სოციალური პროცესების მიმდინარეობაზე.

V თავის საკითხავი ლიტერატურა:

❖ მ. ბურძინიძე. სოციოლოგიური ინფორმაციის მოპოვების მეთოდები. გვ. 45-82 კრებულში *სოციოლოგიური კვლევის მეთოდები. თსუ გამომცემლობა, 1998.*

❖ ვ. ვარდოსანიძე. თ. სულუხია. თბილისში საცხოვრისის კვლევის საკითხისათვის. *შრომები*, 9, 1992.

❖ კაჭკაჭიშვილი. კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია. გვ. 22-44, კრებული: *სოციოლოგიური კვლევის მეთოდები. თსუ გამომცემლობა, 1998.*

❖ თ. სულუხია, ტრადიციული ქართული საცხოვრისის სოციალურ-სივრცითი ორგანიზაცია. „*შრომები*“, 1, 1994.

❖ თ. სულუხია. მსხვილი საცხოვრებელი მასივების ფუნქციურ-სივრცითი რეორგანიზაციის ურბანოლოგიური წინამძღვრები. *დისერტაცია თბ., 1997. გვ.40-106.*

❖ Vardosanidze, Vladimir. 2000. Georgian Culture and Urbanization, in *Urban Design Studies, volume6, 2000. Pp. 105-115.*

❖ Shanon, Thomas, Nancy Kleniewski, William Cross. 1997. Urban problems in sociological perspective. Prospect Heights; Waveland press. Pp. 63-130.

❖ Mumford, Lewis. 1938. The Culture of Cities. San Diego, New York, London; a Harvest Book, Harcourt Brace and Company. Pp. 143-223; 416-421.

❖ Круусвалл Ю., Хейдметс М., Ниит Т. Социально-психологические исследования проблем города и жилища. Новосибирск, „Наука“, 1986.


❖ Гайдукова Н., Социально-психологические основы средообразования. Таллин, ЭОП СССР и ТПЕДИ им Э. Вильдэ, 1986. С, 123-128.

❖ Гиორგაძე Г., Абзиანიძე შ. Региональные особенности быта, как фпктор формирования жилой среды. С.170-175 В сб. Психология и архитектура. Тезисы конференции. Ч.2. Тбилиси, ЭОП СССР и ТПЕДИ им Э. Вильдэ, 1983.

❖ Пароль В. Социалистический город. Урбанизационный процесс и образ жизни горожан. Ч 2. Таллин, „Валгус“, 1982.

❖ Современный город, культура и человек. М., „Наука“. 1987.

❖ Хлопин А. Миграционные процессы и проблема личности на рубеже культур в социологии США. С 236-304 В кн. Урбанизация и расселение трудящихся в условиях капитализма. М., „Прогресс“, 1974.



ურბანული პოლიტიკა

- ❖ ურბანული პოლიტიკის ცნება
- ❖ ურბანული პოლიტიკა აშშ-სა და ევროპაში
- ❖ დასავლური და სოციალისტური ურბანული პოლიტიკის შედარება
- ❖ ურბანშენეჯმენტი
- ❖ მოსახლეობის მონაწილეობა საქალაქო გადაწყვეტილებათა მიღებაში

❖ ურბანული პოლიტიკის ცნება

ურბანული პოლიტიკა ის სფეროა, რომელიც არსებობდა ჯერ კიდევ უძველესი ისტორიული ქალაქების პერიოდიდან და ნებისთ თუ უნებლიეთ უდიდეს გავლენას ახდენდა ქალაქის გარემოს ფორმირებასა და განვითარებაზე. ურბანული პოლიტიკა გამოხატავს სახელმწიფოს ოფიციალურ დამოკიდებულებას სივრცითი, სოციალური და ეკონომიკური პროცესებისადმი, რომელიც ქალაქში ფორმირდება და ვითარდება. მისი მთავარი ფუნქციაა გარემოს რეგულირების ნორმებისა და წესების შემოღება და გატარება ქალაქის, რაიონისა თუ სახელმწიფოებრივ დონეზე. იგი მიმართულია ინდივიდუალური და პირადი გადაწყვეტილებების, ეკონომიკური და საბაზრო ფაქტორების გასაწონასწორებლად. მას შეუძლია როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი როლი ითამაშოს ურბანიზაციის პროცესების მიმართვაში, შეზღუდოს პროცესები, გარკვეულ ჩარჩოებში მოაქციოს იგი, ან პირიქით, სრული თავისუფლება მიანიჭოს მათ. ანუ სხვა სიტყვებით, მას აქვს უნარი ხელი შეუწყოს ან შეუშალოს გარკვეული სოციალური პროცესების, კულტურის სპეციფიკისა და ცხოვრების ყაიდის ფორმირებას, რადგან პოლიტიკასა და რეგულირებას უნარი აქვს გარკვეული გზით მიმართოს საზოგადოებაში არსებული რესურსები. ურბანული პოლიტიკა შეიძლება იმ წესრიგს, უფლებებსა და მოვალეობებს, რომელშიც ქალაქური პროცესები მიმდინარეობს. ხშირად ასეთი პოლიტიკა კონფლიქტში ექცევა ცალკეული ბიზნესის, ორგანიზაციისა, თუ ინდივიდების გადაწყვეტილებებთან, ან პირიქით, ხელს უწყობს მათ.

ეფექტური ურბანული პოლიტიკა არ ფორმირდება მხოლოდ მთავრობის მიერ, იზოლირებულად სხვა ორგანიზაციებისაგან, არამედ იგი მუშავდება ქალაქის დაგეგმარებლებთან, ადმინისტრაციულ მუშაკებთან, მეცნიერებთან და საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად მოსახლეობის აზრისა და ინტერესების გათვალისწინებით. ურბანული პოლიტიკა გრძელვადიანი სტრატეგიულ პერსპექტივას მთავრობის ყველა დონეზე, რომელიც მოიცავს საკითხთა ფართო სპექტრს, როგორცაა: საცხოვრებელი უზრუნველყოფა, დანაშაულებასთან ბრძოლა, გარემოს დაცვა, ტრანსპორტი, კომუნიკაციის საშუალებები, ჯანდაცვა, ეკოლოგია და ასე შემდეგ.

ურბანული პოლიტიკის ძირითადი საკითხებია: მთავრობის როგორი სტრუქტურაა ყველაზე ეფექტური ურბანული პროცესების მართვისათვის? რას აღწევს ყველაზე ეფექტური პოლიტიკა? როგორია მისი მიზანი და როგორ ხდება მისი ფორმირება? მსოფლიოს პოლიტიკური სისტემები მრავალფეროვანია ურბანულ პოლიტიკასთან მიმართებაში. ზოგ ქვეყანაში იგი სოციალური პოლიტიკის პაკეტში შედის, ხშირად, ეროვნული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, ზოგან კი მას მინიმალური ყურადღება ეთმობა ან სრულიად არ არსებობს. განსხვავებულია აგრეთვე ის სტრუქტურა, რომელშიც მთავრობას თუ სხვა საზოგადოებრივ ან სახელმწიფო ინსტიტუტებს ენიჭებათ როლი ურბანული პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში. მაგალითად, აშშ-ში უდიდესი როლი ურბანული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში ადგილობრივ მთავრობას ეკუთვნის, ევროპის უმეტეს ქვეყნებში კი ცენტრალურ მთავრობას. დღესდღეობით პრაქტიკა მიიჩნევს, რომ ყველაზე ეფექტური ურბანული პოლიტიკის ჩამოყალიბებაში მზარდი და ეფექტური როლი ადგილობრივ მმართველობას ეკუთვნის. მეორე მხრივ, თეორია გვარწმუნებს, რომ ქალაქურ გარემოს ფრაგმენტულად არ უნდა მივუდგეთ, არამედ ერთიანი ფართო პოლიტიკითა და ცენტრალური მართვით. ფრაგმენტული და მხოლოდ ადგილობრივ მმართველობაზე დამყარებული ურბანული პოლიტიკა, ხშირ შემთხვევაში, იწვევს ფინანსების ორგანიზაციისა და სერვისის მიწოდებაში მუნიციპალიტეტების კონკურენციას, რაც გარკვეულ შემთხვევაში უარყოფითად აისახება ერთიან ეკონომიკურ სისტემაზე, რომელიც ამჟამად მზარდად არის დამოკიდებული ეროვნულ, საერთაშორისო ეკონომიკურ ცვლილებებსა და სოციალურ ძალებზე.

ქალაქებში მოსახლეობა მრავალ განსხვავებულ კატეგორიად იყოფა: კლასებად შემოსავლის ზომისა და საქმიანობის მიხედვით, მწარმოებლებად და მომხმარებლებად, მოიჯარეებად და მეიჯარეებად და ასე შემდეგ. აქედან გამომდინარე, ურბანულმა პოლიტიკამ უნდა გაითვალისწინოს ინტერესთა თანაბარუფლებიანობა. კლასიკური ეკოლოგია მეტად ემხრობა ასეთ მიდგომას, პოლიტიკონომია კი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს იმ ფაქტს, რომ შესაძლებელია ინტერესების ბალანსირებული დაცვა.

სოციალური პოლიტიკის განსაზღვრება მეტად სადავოა უმეტესად მას განიხილავენ, როგორც მეხედულედათა ერთობას, თუ რა უნდა გაკეთდეს ქვეყნის სოციალური კეთილდღეობის სფეროში, რომელიც მოიცავს სოციალურ უზრუნველყოფას, ჯანდაცვას, განათლების, საცხოვრებლით უზრუნველყოფის სფეროებს, კანონმდებლობას და ასე შემდეგ. სოციალური პოლიტიკის ცნების ასეთი გაგება უარყოფს ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც განუ-

ყოფელია სოციალური სფეროსაგან. დღეს მიღებულია, რომ სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა ერთიან პოლიტიკის ორი განუყოფელი ნაწილია ამჟამად სოციალური პოლიტიკის შემუშავება განვითარებულ ქვეყნებში სცილდება მხოლოდ სოციალური აღმინისტრაციის ინსტიტუტების კომპეტენციას და ინტეგრირებულია ეკონომიკურ სფეროსა და სხვა ინსტიტუტთა საქმიანობასა და პოლიტიკასთან.¹

თანამედროვე ურბანულ პოლიტიკას საფუძველი ინდუსტრიალიზაციის პერიოდში ჩაეყარა. მოსახლეობის ზრდამ და კონცენტრაციამ გაზარდა ქალაქის ფიზიკური გარემოს სისტემური კონტროლის აუცილებლობა: წყალმომარაგება, კანალიზაცია, საცხოვრებელი, ტრანსპორტი და სხვა სფეროები სულ უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვდა. XIX საუკუნის ბოლოს აშკარა გახდა, რომ ქალაქის სივრცითმაფორმირებელი პროცესები არ უნდა დარჩენილიყო კერძო და ინდივიდუალური არჩევანისა და ინტერესების გამომხატველი. ამ რეალობამ XX საუკუნის დასაწყისში ბიძგი მისცა უტოპისტების თეორიას მიმართულს „იდეალური“ ურბანული პოლიტიკისა და ქალაქის სივრცითი ფორმის შემუშავებისაკენ. ებენეზერ ჰოვარდი, ლე კორბუზიე და ფრენკ ლოიდ რაიტი სწორედ ასეთი ჩარევით ცდილობდნენ საზოგადოებაში უთანასწორობის აღმოფხვრასა და ინდივიდებისათვის თანასწორი სოციალური უფლებებისა და სივრცითი პირობების მინიჭებას.

ურბანული პოლიტიკის ორა ძირითადი მიმართულება გამოირჩევა: ლიბერალური და კონსერვატიული. ლიბერალური პოლიტიკა ურბანულ პრობლემებს სოციალური კუთხით განიხილავს. მისი მიმდევრები თვლიან, რომ ქალაქთა პრობლემების წყარო რესურსების არათანაბარი გადანაწილებაა მოსახლეობაზე და ცდილობენ სოციალური პრობლემების აღმოფხვრით გაუმკლავდნენ მას. კონსერვატორებს კი მიაჩნიათ,

¹ Marshall, Gordon, (eds.) 1996. Dictionary of sociology. Oxford, NY: Oxford University Press. p. 619.

რომ მთავრობის ჩარევა და ურბანული პოლიტიკა მეტად თავშეკავებული უნდა იყოს. სოციალურ სფეროში ჩარევისაგან. მათ სჯერათ, რომ რადგან ინდივიდები და ინდივიდთა ჯგუფები სწირად მოკლებულნი არიან თანაბარუფლებიანობასა და კარგ პირობებს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ არ სურთ ეკონომიკაში სრულუფლებიანი მონაწილეობა და ურჩევნიათ სოციალური დახმარების პროგრამებით სარგებლობა.

XX საუკუნეში საცხოვრებლის პრობლემა ურბანული პოლიტიკის ძირითად საგნად იქცა როგორც ევროპაში, ასევე აშშ-ში. შესაბამისად, ყურადღება გამახვილდა ზონირებაზე, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო საცხოვრებელი გარემოს კეთილდღეობისა და მიწისა და უძრავი ქონების ბაზრის განვითარების მიმართული რეგულირებისაკენ.¹ დღეს ზონირებას კანონის ძალა აქვს და იგი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქალაქის განვითარებას. იგი ქალაქს ყოფს ფუნქციონალურ ზონებად (მაგალითად, მიჯნავს საწარმოო და საცხოვრებელ ზონებს).

მეორე მხრივ, ზონირება აღმოჩნდა შესანიშნავი პოლიტიკური იარაღი პრესტიჟულ საცხოვრებელ და კომერციულ უბნებში ინვესტიციების მოზიდვისა და დაცვისაკენ. ზონირება გახდა გარანტია იმისა, რომ ვერც ერთი საწარმო და სახელოსნო ვერ განთავსდებოდა პრესტიჟულ უბანში, და ვერ გამოიწვევდა მიწის ფასის დაცემას. ზონირების სტრატეგია აღიარებულ იქნა ნიუ-იორკისა და სხვა დიდი ქალაქების მთავრობათა მიერ და გარკვეული ხნის მანძილზე შემოფარგლა ურბანული პოლიტიკის მცდელობანი და ზონირებით დაკმაყოფილდა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მცირე დეტალია იმ პროგრამისა, რომელსაც ეფექტური ურბანული პოლიტიკა ეწოდება.

❖ ურბანული პოლიტიკა აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში

აშშ-ში ქალაქის გარემოს მიზანმიმართული კონტროლის მცდელობებს XIX საუკუნის დასაწყისიდანვე ვხვდებით. ამ პერიოდ-

¹ Levy, John M. 2000. Contemporary Urban Planning. Upper Saddle River, Princeton-Hall, Inc. p. 38

ში ეს მცდელობანი მეტად შეზღუდული და დეტალური იყო და ძირითადად, ქუჩების სისტემის ჩამოყალიბებით შემოიფარგლებოდა. საუკუნის ნახევრისათვის მან მოიცვა პარკებისა და სარეკრეაციო ტერიტორიების ჩამოყალიბების სფერო, რომელსაც უნდა გაელამაზებინა ქალაქთა იერსახე და წვლილი შეეტანა მოსახლეობის პირობების გაუმჯობესებაში. ამ მიმართულებას „ქალაქის გამშვენების“ (City Beautiful) მიმდინარეობა ეწოდება.¹ სამწუხაროდ, მან ცალმხრივი და შეზღუდული გავლენა მოახდინა მოსახლეობის კეთილდღეობაზე, რადგან ვერ მოუტანა პოზიტიური ცვლილებანი ღარიბთა კლასს, არამედ, ძირითადად, მხოლოდ მდიდართა კლასის პირობები გააუმჯობესა. მიუხედავად იმისა, რომ საწყისი მცდელობანი მხოლოდ ცალმხრივი და არცთუ ისე ეფექტური იყო, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აშშ-ში ამ პერიოდში ურბანული პოლიტიკა უკვე ჩამოყალიბდა როგორც სფერო, რომელიც მზარდ ყურადღებას იპყრობდა. აშშ-ში 1930-იან წლებში ფედერალური ბინათმშენებლობის პროგრამები იქნა განხორციელებული, რომელიც მიზნად ისახავდა საცხოვრებელი სტანდარტების დაცვასა და უბნის კეთილმოწყობას. შემდგომ 1949 წელს მიღებულ იქნა „საცხოვრებლის აქტი“ (Housing Act), რომელმაც აშშ-ს მთავრობას დააკისრა ღარიბების საცხოვრებელი უზრუნველყოფის ამოცანა, ისევე როგორც ქალაქთა გაწმენდა ბარაკებისაგან. ამისათვის ბიუჯეტიდან გამოიყო თანხა 80000 საცხოვრებელი ერთეულის რეაბილიტაციისათვის.² ურბანული პოლიტიკის პროგრამის თანახმად, ღარიბთა სოციალური დაცულობა და უზრუნველყოფა გამოცხადდა პირდაპირ კავშირში ერის კეთილდღეობასთან.

50-იან წლებში დაიწყო ახალი მსხვილმასშტაბიან „ქალაქთა განახლების პროგრამა“ (Urban Renewal Program),³ რომლის ყველაზე დიდი დამსახურება ის არის, რომ ქალაქის ეფექტური განვითარების მიზნით, მან მთავრობასა და კერძო სექტორს თანამშრომლობისაკენ მოუწოდა. იგი მიზნად ისახავდა ქალაქთა ცენტრალური ნაწილების

¹ Flanagan, William G. 1999. *Urban Sociology; Images and Structures*. Needham Height. Allyn & Bacon, p. 326.

² Flanagan, William G. *Op. Cit.*, p. 329

³ Flanagan, William G. *Op. Cit.*, p. 329

განახლებას ბარაკების დანგრევისა და დაბალშემოსავლიანი კლასისათვის ხელმისაწვდომი საცხოვრისის აშენების გზით 5 მილიონი ოჯახისათვის. აღსანიშნავია, რომ ეს ამბიციური პროგრამა ვერ განხორციელდა დაგეგმილი მასშტაბებით: 1961 წლისათვის 126000 სახლი იყო დანგრეული და მხოლოდ 28000 აშენებული.¹ გარდა ამისა, ურბანსოციოლოგიაში ეს პოლიტიკა აღიარებულია უარყოფით გამოცდილებად, რადგან მან მოშალა ის ქალაქური გარემო, რომელიც, თუმცა დაბალი სტანდარტებით გამოირჩეოდა, მაინც ფლობდა იმ ფსიქოლოგიურ კომფორტს, რომელიც ვერ უზრუნველყო ახლად შექმნილმა საცხოვრისმა.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ მსოფლიოში არც ერთ ქვეყანას არ შეუძუშავებია სრულყოფილი ურბანული პოლიტიკა. ეს ის სფეროა, რომელიც მუდმივ განახლებას მოითხოვს. აშშ-ს მოდელი ევროპის მოწინავე ქვეყნებთან შედარებით გამოირჩევა თავისი დანაწევრებით ურბანული მართვისა და დაგეგმარების სფეროში. მთავრობა მართვის სისტემის სხვადასხვა დონეზე (ფედერალური, საშტატო, მუნიციპალური) ინდივიდუალურ მიდგომას შეიმუშავებს ურბანული განვითარების საკითხებისადმი, ამიტომ აქ მოდელთა უდიდეს რიცხვს ვხვდებით. მეორე მხრივ, მეგაპოლისების ზრდა სულ უფრო აქტუალური ხდება, მაგალითად, მეგაპოლისი ბოსტონიდან ვაშინგტონამდე 10 შტატს მოიცავს, და ასეთ შემთხვევაში უკვე აუცილებელი ხდება ერთიანი მიდგომა ურბანული პოლიტიკისადმი. ვიდრე მხოლოდ ადგილობრივი მთავრობების მიერ ადგილობრივი პრობლემების გადაჭრა.

ჯერ კიდევ 1949 წელს აშშ-ს მთავრობამ მიიღო „ქალაქთა განახლების“² პროგრამა, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ბარაკებისაგან ტერიტორიათა გაწმენდასა და ახალი საცხოვრისის ფორმირების საშუალებით საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ითვალისწინებდა მოსახლეობის იმ ფენებისათვის, რომლებსაც არ გააჩნდა ბინის შეძენის საშუალება კერძო ბაზარზე. სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების კუთხით ამ პროგრამამ უარყოფითი მხარე გამოავლინა საცხოვრისის ექსპლუატაციის პროცესში და მალე ხმამაღლა გაისმა

¹ Flanagan, William G. Op. Cit., p. 321.

სოციალური პროექტირების აუცილებლობის მოთხოვნა, რომელიც ითვალისწინებდა სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების უფრო ღრმად გათვალისწინებას. დღეს ქალაქთა პრობლემებზე პასუხს აგებს ქალაქთა განვითარებისა და საბინაო მშენებლობის სახელმწიფო დეპარტამენტი (*Department of Housing and Urban Development, DHUD*).

აშშ-ში გაბატონებული ქალაქთა კრიზისის გადალახვაში ფედერალური დახმარების აღმოჩენას შტატებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისათვის დიდი როლი ენიჭება, რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება ამერიკული ფედერალიზმის პოლიტიკურ შინაარსს. ანუ ხელისუფლების გარკვეულ ბაზანსს — ფედერალურ, სამშტატო და ადგილობრივ დონეებს შორის. საქალაქო (ადგილობრივი) პოლიტიკური მექანიზმი თავის მხრივ კი გვესახება, როგორც ფორმალური და არაფორმალური პოლიტიკური ინსტიტუტების დინამიკური ერთობა. ყოველი ამერიკული მუნიციპალიტეტი ვალდებულია განახორციელოს კომუნალური მეურნეობის, ტრანსპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, ზონირების, საგზაო, საბინაო მშენებლობის და სხვა სფეროებში მოღვაწეობის გარკვეული მინიმუმი. რაც უფრო პრობლემატურია სიტუაცია. მით უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვითმმართველობას.

აშშ-ს ურბანული პოლიტიკისათვის ასევე დამახასიათებელია ღარიბთათვის სახელმწიფო სუბსიდიების პროგრამების მაღალი რიცხვი და ურბანული პოლიტიკის მჭიდრო კავშირი სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებთან. ამ პროცესებს DHUD ელგა სათავეში. ძირითადი საცხოვრებლის გაუმჯობესების სახელმწიფო პაკეტი გამოიხატა სამი მიმართულებით: 1. დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის საცხოვრებლის რეაბილიტაცია; 2. ახალი საცხოვრებლის მშენებლობა; 3. არსებული მიტოვებული საცხოვრებლის გადაცემა დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის მფლობელობაში. ეს უკანასკნელი კომპონენტი ყველაზე ნაკლებ ხარჯს მოითხოვს მთავრობისაგან. იგი ითვალისწინებდა, რომ მიტოვებული სახელმწიფო მფლობელობაში მყოფი საცხოვრებელი ბინები გადაეცათ დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისთვის მფლობელობაში ნომინალურ ფასად, იმ პირობით, რომ ახ-

ალი მფლობელი გარკვეული დროის მანძილზე ჩადებდა „ინვესტიციას“ თავისი ახალი საცხოვრებლის გაუმჯობესებაში. ასეთ ინდივიდებს იპოთეკურ სესხებსაც კი სთავაზობდნენ და მათ ათავისუფლდნენ გარკვეული ადგილობრივი გადასახადებისაგან. ასეთმა პროგრამებმა და მიდგომამ არსებული საცხოვრებელი ფონდის რეაბილიტაციის საქმეში მეტად ეფექტური გავლენა მოახდინა საცხოვრებელ უბნებზე, რადგან გაიზარდა არა მარტო საცხოვრებლის ხარისხი, არამედ ურბანული გარემოს ხარისხიც — კერძო მფლობელობამ დადებითი გავლენა მოახდინა დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ცხოვრების სტილზე და გაზარდა უბნებში დაცულობა და სტაბილურობა.

1960-იანი წლებიდან ურბანული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილი გახდა ეკონომიკური განვითარების პოლიტიკა. ეკონომიკური განვითარების კუთხით ურბანული პოლიტიკის ყველაზე ეფექტური მიდგომა აღმოჩნდა „საწარმოთა ზონების“ მიდგომა.¹ ეს პროგრამა ითვალისწინებდა ქალაქებში მწარმოებელთა და ინვესტორთა მიწვევას იმ პირობით, რომ მათ განთავსებისათვის ხელსაყრელ პირობებს მიანიჭებდნენ ისევე, როგორც ითვალისწინებდა გადასახადთა მოკლებას დაახლოებით 50%-ით. ბარაკების განახლების პროგრამები შეცვალა ბიზნესის აღორძინების პროგრამამ — სპორტული, ტურისტული კომპლექსების, სერვისის ცენტრების მშენებლობამ, და სხვა პროექტებმა. სანაცვლოდ ამ საწარმოებსა და სხვა სამსახურებს უნდა შეექმნათ სამუშაო ადგილები და დაესაქმებინათ ადგილობრივი მოსახლეობა. ყოველ შექმნილ სამუშაო ადგილზე ამ ბიზნესს გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობის უფლება ენიჭებოდათ, მაგალითად, დაბალპროცენტიანი კრედიტების მოპოვების უფლება და სხვა. ასეთი პროექტები გამყარებული იყო პოლიტიკური და ბიზნესის ინტერესებით და მცირე ბიზნესის აღორძინების გზით სამუშაო ადგილების შექმნასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას ემსახურებოდა. ამ პროგრამამ ქალაქი გადააქცია ბიზნესისათვის უკეთეს ადგილად, მაგრამ საცხოვრებლად სრულად უვარგისი იყო. ასეთი საწარ-

¹ Flanagan, William G. Op. Cit., p. 350.

მხოლოდ ზონები ამერიკის 35 შტატში შეიქმნა როგორც ურბანულ, ასევე რურალურ ტერიტორიებზე.

1980-1990 წლებში სუბსიდირებულმა პროგრამებმა კლება დაიწყო, მაგრამ, ამავე დროს, 90-იან წლებში ეს პროგრამები განსაკუთრებით დაიხვეწა HUD-ის მიერ. 1992 წელს მთავრობამ 100 მილიონი აშშ დოლარი გამოყო ურბანული პოლიტიკისა და ქალაქის დაგეგმარების დასახეწად და შესაბამისი ინსტიტუტების ორგანიზაციისა და ტრენინგისათვის. ყველაზე ცნობილია პროექტი HOPE, ანუ „ბინათმშენებლობა და შესაძლებლობები ადამიანებისათვის ყველგან“¹. მუნიციპალურ საკუთრებაში მყოფი საცხოვრებელი ფონდი მთლიანად გადაეცა მოსახლეობას — 50000 ღარიბმა ოჯახმა მოახდინა საცხოვრებლის პრივატიზება.

პრეზიდენტ ქლინტონის ადმინისტრაციამ შეუდარებელი ყურადღება დაუთმო ურბანულ პრობლემატიკასა და სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრას ეკონომიკური პროგრამების საშუალებით. მაგალითად, 1993 წელს შეიმუშავეს „საწარმოთა უფლებამოსილების“ (Enterprise Empowerment) პროგრამა² მან დაფინანსების, ანუ გრანტის მიღების შესაძლებლობა მისცა უბნებსა და თემთა სხვა ერთეულებს და შექმნა ჯანმრთელი კონკურენცია ქალაქთა პრობლემების ეფექტურად გადაჭრაში. დაფინანსება დამოკიდებული იყო პროექტის მასშტაბზე ისევე, როგორც უბნის ზომებზე. მაგალითად, პარლემმა ნიუ-იორკში 100 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის გრანტი მოიპოვა. ასეთმა მიდგომამ შესანიშნავი შედეგები გამოიღო მით უფრო, რომ მოსახლეობის აქტიური მონაწილეობა პროექტთა შემუშავებისა და განხორციელების ფაზაში უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენდა. ამ პერიოდის ურბანულმა პოლიტიკამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იმ საკითხებს, რომ საჯარო-კერძო განვითარების პროექტებში უძეტესად ბიზნესის ინტერესები იყო დაცული მოსახლეობის ინტერესების საწინააღმდეგოდ და ხელი მიჰყო მოსახლეობის ინტერესების დაცვის მექანიზმთა სრულყოფას.

¹ Flanagan, William G. Op. Cit., p. 348.

² Flanagan, William G. Op. Cit., p. 351.

ევროპის ქვეყნებში ურბანულ პოლიტიკას უდიდესი როლი ენიჭება ეროვნულ-პოლიტიკურ პროგრამებში. მსოფლიოს ამ ნაწილში ურბანული პოლიტიკის მიდგომა მეტად არის დამყარებული ისტორიულ წინამძღვებსა და ფაქტორებზე, ვიდრე აშშ-ში, სადაც მიდგომის ქვაკუთხედი საბაზრო პროცესები და ურთიერთობებია. მაგალითად, ინგლისში მთავრობა ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა იმ კანონმდებლობას, რომელიც არეგულირებდა ქალაქთა და კონკრეტული ურბანული პროცესების განვითარებას. იგი ცდილობდა შეექმნა ადგილობრივი მარეგულირებელი მექანიზმები, რომელიც ცენტრალურ ქალაქთა ზრდას გააკონტროლებდა. 1947 წელს მიიღეს ქალაქთა და რაიონთა აქტი (City and Regional Act), რომელიც მიმდინარე განვითარებას აკონტროლებდა მიწის თითოეულ პლეტარზე¹ მიღებულ იქნა საპარლამენტო აქტიც, რომელიც შეაჩერებდა ლონდონის ზრდას. ამ აქტის მიხედვით, ლონდონის გარშემო შეიქმნა მწვანე და სასოფლო-სამეურნეო მიწების ზოლები, რომელთაც ბუფერის როლი უნდა შეესრულებინათ და ხელი შეეშალათ ქალაქის ზრდისათვის. ამ ბუფერის გარეთ გათვალისწინებული იყო სატელიტური ქალაქების განვითარება, რომელთაც ექნებოდათ არა მხოლოდ კომმუნიკაციური დატვირთვა, არამედ ისინი განხლებოდნენ თვითმომქმედი ქალაქები. 1965 წელს ჩამოყალიბდა დიდი ლონდონის საბჭო, რომელსაც ამ ქალაქთა განვითარების მაკონტროლირებელი ფუნქცია დაეკისრა. სამწუხაროდ, ამ პოლიტიკამ მაინც ვერ შეძლო დაკისრებული ამოცანის გადაჭრა და ლონდონის ზრდის შეჩერება. ნახევარი მილიონი კომმუნიკაციური ყოველ დღე ჭრის ბუფერულ ზოლს და სამსახურში ლონდონში მიემართება. გარდა ამისა, სატელიტმა ქალაქებმა ვერ მიიზიდეს ლონდონის ღარიბთა კლასი, რომელიც კვლავაც ლონდონის ცენტრალური ნაწილის ქუჩებს აფარებს თავს.

1988 წელს პრემიერ-მინისტრ ტეტჩერის მთავრობამ შეიმუშავა ახალი ურბანული პოლიტიკა, რომელიც ძირითადად მიზნად ისახავდა ქალაქთა ეკონომიკურ აღორძინებას კერძო სექტორის ხელშეწყობის საშუალებით.² ამ პოლიტიკის ნაკლოვანება იმაში გამოჩნდა, რომ მან ხელი შეუწყო მხოლოდ დიდი ქალაქებისა და მათი ცენტრალუ-

¹ Flanagan, William G. Op. Cit., p. 366.

² Flanagan, William G. Op. Cit., p. 368.

რი ნაწილების განვითარებას და ვერ მოუტანა სიკეთე მეორეხარისხოვან ქალაქებსა და უბნებს.

❖ დასავლური და სოციალისტური ურბანული პოლიტიკის შედარება

სოციალისტური ქვეყნებში ურბანულ პოლიტიკას სრულიად განსხვავებული ხასიათი ჰქონდა, ვიდრე რომელიმე განვითარებულსა თუ განვითარებად ქვეყანაში. მისი ძირითადი მიზანი იყო კომუნისტური იდეოლოგიის ინტერესების გამოხატვა და ცდილობდა ქალაქთა განვითარება მიემართა ამ იდეოლოგიასთან სრულ შესატყვისობაში. კაპიტალისტური ქვეყნების პოლიტიკიდან განსხვავებით, სადაც საბაზრო ძალები განსაზღვრავენ ქალაქში მიმდინარე პროცესთა მიმართულებას, სოციალისტურ ქვეყნებში ეს პროცესები ცენტრალური მთავრობის გადაწყვეტილებებს ექვემდებარებოდა. მიგრაცია, მოსახლეობის ზრდა, სამუშაო ადგილების შექმნა, ბინათმშენებლობა, საგანმანათლებლო და ჯანდაცვის სფეროები დაგეგმილი იყო ცენტრალური მთავრობის მიერ. რამაც უმეტეს შემთხვევაში უარყოფითი გავლენა მოახდინა ქალაქთა სოციალურ-სივრცით სტრუქტურაზე.

1930-იანი წლებიდან ქალაქის დაგეგმარება სსრკ-ში ვითარდებოდა მმართველობის ხისტი ადმინისტრაციული მეთოდების მეშვეობით. საზოგადოების სოციალურ-ფუნქციური სტრუქტურა იერარქიული და ცენტრალიზებული იყო. ქალაქის გარემოს ფორმირებაში ძირითად სუბიექტებს წარმოადგენდნენ სახელმწიფო აპარატი, სამინისტროები და სხვა სახელმწიფო ორგანოები. ინსტიტუტების მიხედვით ქალაქის გენერალური გეგმის პროექტში დამკვეთად, შემსრულებლად და ექსპერტად ხშირ შემთხვევაში გვევლინებოდა სსრკ სახელმწიფო ან ცალკეულ რესპუბლიკათა სახლმშენები. ფუნქციათა ასეთი შეთავსება უარყოფითად მოქმედებდა როგორც პროექტირების ხარისხზე, ასევე მისი რეალიზაციის პროცესზე.¹

მეორე მხრივ, ამას თან ახლდა ერთიანი ცხოვრების ყაიდისა და

¹ თ. სულუხია. მსხვილი საცხოვრებელი მასივების ფუნქციურ-სივრცითი რეორგანიზაციის ურბანოლოგიური წინამძღვრები. დისერტაცია, 1997. გვ. 125.

ოფიციალური კოლექტივიზმის საყოველთაო პროპაგანდა, რაც ცხოვრების „ადგილობრივი“ თავისებურებების გაქრობას განაპირობებდა. ყველა საზოგადოებრივი და „მონალისეთა“ ასოციაცია პრაქტიკულად ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის ნაწილი იყო და ზემდგომი ორგანოების კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. ყოველი ელემენტარული ფორმის ინიციატივა (ქუჩების გაწმენდა, ხეების დარგვა და ა.შ.) პოლიტიკურ კომპანიას წარმოადგენდა. მსხვილ ქალაქთმშენებლობით პროგრამებსა და გადაწყვეტებს ამტკიცებდა მინისტრთა საბჭო ადგილობრივი სახალხო დეპუტატთა საბჭოს მონაწილეობის გარეშე. „ქალაქებს ფაქტობრივად არ ჰქონდათ უფლება გადაეწყვიტათ თავიანთი ბედი“.

ქალაქთმშენებლები და პოლიტიკოსები კი თავის მხრივ ყურადღებას არ უთმობენ „ინდივიდი-გარემოს“ ურთიერთობას და ამ ურთიერთქმედების თავისებურებებსა და კანონზომიერებებს, რამაც წარმოშვა ფიზიკური გარემოსა და სოციალური პროცესების ურიცხვი კონფლიქტი.

სოციალისტური ურბანული პოლიტიკა მიზნად ისახავდა დიდი ქალაქების ზრდის შეჩერებას, ქალაქთა გარშემო მწვენივ ზოლის შექმნისაკენ და პატარა ქალაქების აღორძინებას. ასევე იგი მიზნად ისახავდა ყველა ოჯახის დაკმაყოფილებას ინდივიდუალური ბინით. მიზნები ჭეშმარიტად ჰუმანურად გამოიყურებოდა, მაგრამ მათი კონკრეტული დაგეგმარება არ იყო ნაკარნახევი საბაზრო მოთხოვნილებებითა და შესაძლებლობებით და ზშირ შემთხვევაში ეს რეალური მოთხოვნილებებთან შეუსაბამო განვითარებას იწვევდა. აქედან გამომდინარე, პროცესები არარეალურ და ხელოვნურად შექმნილ კონტექსტში ვითარდებოდა. დღესდღეობით სოციალისტური წყობის რღვევის შედეგად კომუნისტური მეთოდით განაშენიანებულ ახალ თუ ისტორიულ ქალაქებში ახალი ქალაქმფორმირებელი ძალები ამოძრავდა: მიწისა და უძრავი ქონების ბაზარი, კერძო სექტორი, ფინანსური სექტორი და სხვა.² ახალმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სისტემამ შეცვალა სივრცის მაფორმირებელი ფაქტორები, ამიტომ სოციალისტური წყობისდროინ-

¹ Коган Л.Б. Город и Политика. В Архитектура и строительство России. 1, 1989. С. 20

² თ. სულუხია. თბილისის ქალაქური გარემო და ახალი ტენდენციები. „ხელოვნება“, 3-4, 1998. გვ. 36-39.

დღელმა ურბანულმა პოლიტიკამ დაკარგა თავისი ფუნქცია და იდეოლოგიური საფუძველი, ახალი პოლიტიკა კი ჯერ არ შემუშავებულა და მზარდი პრობლემების გადაჭრის აუცილებლობის წინაშე დგას.

❖ ურბანმენეჯმენტი

ურბანული პოლიტიკა ურბანმენეჯმენტის სტრატეგიას უნდა დაეყრდნოს, რადგან ურბანული პოლიტიკის წარმატებული განხორციელება მთლიანად არის დამოკიდებული ურბანმენეჯმენტის ეფექტურობაზე. ამკარგა, რომ ურბან-მენეჯმენტი, სადაც ქალაქის დაგეგმარება, როგორც ინსტიტუტი მხოლოდ ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენს, სულ უფრო საჭირო ხდება. იგი მოიცავს პროექტთა მენეჯმენტს, საზოგადოებრივ ადმინისტრაციას, ბიზნესის მენეჯმენტს. მისი ძირითადი მიზანია:

- ქალაქთა პრობლემის გამოვლენა;
- პერსპექტივების დასახვა, პროგრამების, პოლიტიკისა და პროექტთა დამუშავება;
- პასუხისმგებლობათა განაწილება სხვადასხვა საზოგადოებრივ ინსტიტუტთა და წარმომადგენელთა შორის.

ურბანმენეჯმენტის კონცეფცია ბიზნესის სამყაროში ჩამოყალიბდა რესურსებისა და ბაზრების მართვის გამოცდილებით, მაგრამ დღეს ეს ცნება უკვე მოიცავს იმ პროცესთა ერთობლიობას, რომელიც ქალაქის სივრცეში მიმდინარეობს.

ჩვენთვის ურბანმენეჯმენტი განსაკუთრებით საინტერესოა იმ კუთხით, რომ იგი განიხილავს ქალაქის არსებული მდგომარეობის ანალიზს, ყველაზე აქტუალურ პრობლემათა გადაჭრის მართვის სერვისების ძიებასა და განხორციელებას. მსოფლიო ბანკის 1991 წლის პროგრამა განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავს ურბანმენეჯმენტის აუცილებლობას განვითარებადი ქვეყნების ქალაქებში და საზოგადოებრივი მომსახურების სფეროს გაუმჯობესებას ღარიბი მოსახლეობისათვის ძირითად გამოსავლად აყენებს¹. მან უნდა მოიცვას ქალაქის

¹ Policy paper. World Bank. 1991.

ფუნქციონირების ყველა სფერო: წყლისა და ელექტროენერჯის მიწოდების, ჯანმრთელობის სფეროს მომსახურების, სახანძრო მომსახურების, ტელეკომუნიკაციის, საკვები პროდუქტების მიწოდების, მოსახლეობის დასაქმებულობისა და სხვას. გაეროსა და მსოფლიო ბანკისათვის ურბანმენეჯმენტის კონცეფცია აღიარებულია, როგორც იარაღი ქალაქთა პრობლემების გამოსასწორებლად მთავრობათა ყურადღების მიმართვისთვის.

საერთაშორისო მასშტაბით „ურბანმენეჯმენტის“ კონცეფცია სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს. დისკუსია ამ თემის გარშემო ყოველწლიურად იზრდება, ახალ შეკითხვებს ბადებს და შესწორებებს გვთავაზობს. დღეს იგი უკვე აღიქმება როგორც საზოგადოებრივი ადმინისტრაციის განუყოფელი ნაწილი.

საზოგადოებრივი ადმინისტრაცია არის სახელმწიფო ბიუროკრატიული სისტემა და მისი პროცედურები რომელთა საშუალებითაც ხორციელდება კონკრეტული პოლიტიკის გატარება თუ სისრულეში მოყვანა. იგი საზოგადოებრივი მექანიზმების შესწავლის საგანია ძირითადად იმ კუთხით, თუ როგორ შეეთავსება საზოგადოებრივი ადმინისტრაციის ფორმები იმ საზოგადოებრივ პოლიტიკას თუ სტრატეგიის განხორციელებას, რომელიც აუცილებლად ისახება საზოგადოების პროგრესისა და განვითარებისათვის. ამჟამად საზოგადოებრივი ადმინისტრაციის სფეროს შესწავლა მენეჯმენტის სფეროს შესწავლის ფარგლებში ექცევა. მისი მნიშვნელოვანი ნაწილია ქალაქის პოლიტიკისა და მართვის სფეროს შესწავლა. ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ კიდევ უფრო ვიწრო დანაყოფი ქალაქის ადმინისტრაციის სახით. 1980-იანი წლებიდან ტერმინ „საზოგადოებრივი ადმინისტრაციის ნაცვლად ხშირად ხმარობენ ტერმინ „საზოგადოებრივ მენეჯმენტს“; რომელიც მზარდ

როლოს ანიჭებს კერძო სექტორის როლის ადმინისტრაციისა და კონკრეტული პოლიტიკის გატარების პროცესსა და თვით პროცესების განხორციელებაში. საზოგადოებრივი მენეჯმენტი, ანუ მართვა მოიცავს ადგილობრივი მართვის მრავალფეროვანი მექანიზმების ინსტიტუციური კონტაქტს. 1990-იან წლებში განვითარებად ქვეყნებში მმართველობის კონცეფციამ მოიქცია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ღონისძიების ყურადღება. რადგან მრავალ ქვეყანაში ნათელი გახდა მმართველობის კრიზისი: დაბალი საკანონმდებლო სტანდარტებითა და კანონმორჩილების ცხოვრებაში არა ეფექტური გატარებით მთავრობა ვერ ზრუნავდა მოსახლეობაზე და ამავე დროს, ვერ უზრუნველყოფდა მოსახლეობისათვის აუცილებელი სერვისების მიწოდებას. მმართველობის რეფორმა ასეთ ქვეყნებში მოიცავს დეცენტრალიზაციასა და მოსახლეობის ჯგუფების მონაწილეობას გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში!

¹ Kuper, Adam, Jessica Kuper. (eds.) 1999. The Social Science Encyclopedia. London and New York; Routledge. p. 703-704

ურბანმენეჯმენტი შემდეგ ძირითად საქმიანობას ისახავს მიზნად: 1. ეფექტური სოციალური, ეკონომიკური და ფიზიკური გარემოს შექმნა; და 2. ფსიქოლოგიურად ჯანსაღი გარემოს ჩამოყალიბება.¹ ეს თავისთავად გულისხმობს მრავალ ურთიერთდაკავშირებულ ფაქტორს, როგორცაა: ესთეტიკური გარემოს შექმნა; პროგრესული ეკონომიკური ორიენტაცია, მომსახურების სფეროს უზრუნველყოფს და ასევე კოორდინაცია; ელექტროენერჯისა და წყლის მიწოდება; ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრა და გამწვანების სრულყოფა; განათლებისა და ჯანდაცვის სფეროს სრულყოფა; ტრანსპორტისა და კომუნიკაციათა სფეროს უზრუნველყოფა; ბიზნესის სფეროს განვითარების პირობების შექმნა; შრომითი რესურსების სრულყოფილი გამოყენება და მოსახლეობის დასაქმებულობის უზრუნველყოფა; საქალაქთმშენებლო კანონმდებლობის უზრუნველყოფა; მოსახლეობის მონაწილეობის უზრუნველყოფა; მარკეტინგული მიდგომის შემუშავება საზოგადოების მოთხოვნილებებისადმი; საზოგადოებრივი და კერძო სექტორის ურთიერთანამშრომლობის უზრუნველყოფა და მრავალი სხვა ფაქტორი, რომელიც ერთ მთლიანობაში განიხილება ურბანმენეჯმენტის ეფექტურობის შეფასების დროს. ზემოთ ჩამოთვლილი ყოველი პირობა აუცილებელია ქალაქებში საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისა და ეკონომიკური ეფექტისათვის, ყოველი მათგანი ურთიერთგანსაზღვრული და დაკავშირებულია.

1990-იან წლებში ქალაქთა მდგომარეობის — სიღარიბის, ქალაქური გარემოს დეგრადაციის, მომსახურების დაბალი დონის — განსაზღვრა მრავალი ქვეყნის მთავრობათა და საერთაშორისო ორგანიზაციების ერთ-ერთ ძირითად ამოცანად იქცა. ინდიკატორები, რომლებიც წარმოადგენს სტატისტიკას, მიმართულს პრობლემათა აღმოჩენისა და განსაზღვრისათვის, ასევე გახდა ამ პრობლემათა მონიტორინგის ყველაზე პოპულარული და მიღებული საშუალება. გაერომ ინდიკატორების მსოფლიო გავრცელებისა და დამკვიდრებისათვის ექსპერტთა ორი საერთაშორისო სხდომა ჩაატარა 1995 წელს ნიუ-იორკში, სადაც აღნიშნულ იქნა ამ სისტემის განსაკუთრებული მნიშვნელობა,

¹ A Strategy for Community Development. Emphasis: Residential. 1968. St. Lois County Planning Department. Clayton, Missouri. P. 1-b; 1-c; 1-c.

განსაკუთრებით კი განვითარებადი და ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის. გაეროს ეგიდით აღინიშნა, რომ ხშირ შემთხვევაში „ევექტური ურბანული პოლიტიკის გატარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ბირობა როგორც განვითარებულ, ისევე განვითარებად ქვეყნებში არის ქალაქის შესახებ არასაკმარისი მონაცემები და მათი არასრულფასოვანება“¹. ინდიკატორების პროგრამა მიმართულია სწორედ იმისაკენ, რომ ერთმანეთთან დააკავშიროს გატარებული პოლიტიკა და არსებული მონაცემები ისევე, როგორც „მოუთითოს, თუ რა სახის პოლიტიკა უნდა გატარდეს სასურველი შედეგის მისაღწევად.“ აქედან გამომდინარე, ინდიკატორები გამოიყენება როგორც ურბანული პოლიტიკის შემუშავებისა და მისი სტრატეგიის ფორმულირების დონეზე, ასევე ამ პოლიტიკის განხორციელებისა და მონიტორინგის ფაზებში. „ინდიკატორები გამოიყენება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ინფრასტრუქტურის, სატრანსპორტო, საბინაო, მოთხოვნა-მიწოდების, ინვესტიციებისა და სხვა მოთხოვნათა განსაზღვრისათვის, ასევე შემუშავებული სტრატეგიების წარმატებისა თუ წარუმატებლობის აღსარიცხავად.

ურბანული ინდიკატორების სისტემა მოიცავს სოციალურ-ეკონომიკურ, გარემოს დაცვის, ინფრასტრუქტურის, სატრანსპორტო და ადგილობრივი მმართველობის მონაცემებს² სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორების მაგალითებია: სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების რაოდენობა, უმუშევრობის დონე, დასაქმებულობა არა-ფორმალურ სექტორში, ბავშვთა შრომა, სოციალური დახმარება, სიკვდილიანობა ინფექციური დაავადებებით, ბავშვთა სიკვდილიანობა, საშუალო განათლების დონე, განათლების დონის გენდერული პროპორცია, კრიმინოგენული მონაცემები, იძულებით გადაადგილებულთა რიცხვი, და სხვა. ინფრასტრუქტურის ინდიკატორთა რიცხვს მიეკუთვნება: სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა, წყლით მომარაგება, კანალიზაციის არსებობა, და სხვა. სატრანსპორტო ინდიკატორებია: ავტომობილის მფლობელთა რიცხვი, ფეხით მოსიარულეთა

¹ Using Indicators in Policy. Pp.3-5 in "Indicators Newsletter". United Nations Centre for Human Settlements (Habitat). Third Quarter, 1995. Volume III. p. 1.

² Using Indicators in Policy. Op. Cit., p.2.

სიკვდილიანობა, სატრანსპორტო უბედური შემთხვევები, სახლსა და სამსახურს შორის მგზავრობაზე ყოველდღიურად დახარჯული დრო. გარემოს დაცვის ინდიკატორებია: რესპირატორული დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობა, ნაგვისა და საწარმოო-სამეურნეო ნარჩენების გატანის რეგულარობა. საცხოვრისის ნგრევის ხარისხი, სიკვდილიანობა სტიქიური უბედურების პირობებში, და სხვა. ადგილობრივი მმართველობის ინდიკატორებს მიეკუთვნება: დანიშნული და არჩეული ადგილობრივი წარმომადგენლების თანაფარდობა, არჩევნებში მოსახლეობის მონაწილეობის დონე, ადგილობრივი მმართველობის მოსამსახურეთა რიცხვი.

ურბანული ინდიკატორების მომხმარებელთა სპექტრი მეტად ფართოა. იგი მოიცავს ადგილობრივ მოსახლეობას, ცანტრალურ და მუნიციპალურ მთავრობას, ქალაქის მართვის სხვადასხვა სუბიექტს, არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციებს, კერძო სექტორს, საერთაშორისო განვითარების დონორებსა და ორგანიზაციებს.

❖ მოსახლეობის მობილიზაცია და მოსახლეობის მონაწილეობა

1970-იან წლებში მსოფლიოში, განსაკუთრებით კი განვითარებულ ქვეყნებში, მოსახლეობა უკმაყოფილების ტალღამ მოიცვა იმის თაობაზე, რომ დამგეგმარებლები სოციალური ასპექტების მიმართ არასაკმარის ყურადღებას იჩენდნენ. ბევრმა ქალაქმშენებელმა გააანალიზა სოციალური საკითხების გათვალისწინების აუცილებლობა და თავის თავს სოციალური დამგეგმარებლებიც კი უწოდეს. მათ აღმოაჩინეს, რომ მრავალი თითქოსდა მაღალი ხარისხის პროექტი ვერ აღწევდა სასურველ სოციალურ-სივრცით ეფექტს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი საკმაოდ არ ითვალისწინებდა სოციალური საკითხებს. ამის თვალნათელი მაგალითი თუნდაც პრუიტ-აიგოს საცხოვრებელი უბანი აღმოჩნდა.

ჯერ კიდევ 60-იანი წლების ბოლოს გამოჩენილი ამერიკელი სოციოლოგი პოლ დავიდოფი მოუწოდებდა „გეგმარებაში თანასწორუფლებიანობისაკენ“. „ქალაქგეგმარებამ განსაკუთრებულად უნდა

გაითვალისწინოს ღარიბთა ინტერესები“¹ — ამბობდა იგი, ამიტომ მოუწოდებდა რეპრეზენტატულობის გაზრდისა და მოსახლეობის მონაწილეობისაკენ — დემოკრატიზაციისაკენ. ასე წარმოიშვა 20 საუკუნის „მეოთხედის ყველაზე ცნობილი ქალაქგეგმარებითი თეორია — „Advocacy planning“ — რომელიც მოუწოდებდა ქალაქმშენებელს გამხდარიყო დაბალი კლასის ადვოკატი თავისი პროფესიონალური კუთხით. ეს თეორია ჩანასახი იყო მოსახლეობის მონაწილეობის თეორიის, რომელიც პრაქტიკულად საცხოვრებელი გარემოთი დაუკმაყოფილებელი მოსახლეობის პროტესტის მზარდმა ტენდენციამ მოიტანა ქალაქის ისტორიაში. ეს ტენდენცია გამძაფრდა აშშ-ში 1967-69 წლებში ე.წ. „ქალაქის მოდელის“ კანონმდებლობის შემუშავების პროცესში მუნიციპალიტეტებისა და მოსახლეობის ინტერესთა ურთიერთდაპირისპირებისას. ამერიკის 63 ქალაქმა წარადგინა საკონკურსო პროგრამა ქალაქმშენებლობითი განვითარების შესახებ ბიუჯეტიდან უზარმაზარი ჰონორარის მიღების პირობით. სწორედ ამ პროგრამის შედეგების პირობებში წარიმართა მოქალაქეთა მიერ თავიანთი უფლებების დაცვისათვის ბრძოლის ცნობილი დრამა. ამ ბრძოლით მოსახლეობამ მიაღწია იმას, რომ მაგალითად, ქ. ოაკ-ლენდში (კალიფორნია, აშშ) შეიქმნა უბნის კონგრესი, რომელსაც უნდა განეხილა და დაემტკიცებინა ამ უბანთან დაკავშირებული პროგრამა. ვიდრე საქალაქო საბჭო მიიღებდა მას (სურათი 16, 17 და 18).


პოლ დავიდოფის „ადვოკატური“, ანუ დაცვითი გეგმარების მეტოდმა უდიდესი გავლენა მოახდინა ქალაქის დაგეგმარების პროფესიონალებზე. მრავალმა პროფესიონალმა უარი თქვა მოსახლეობისაგან, ანუ კლიენტურისაგან იზოლირებულად მუშაობის მეთოდზე და ადგილობრივი მოსახლეობის ჯგუფებთან დაიწყო აქტიური ურთიერთობა. 60-იან წლებში ჩამოყალიბდა უბნის — თემის დიზაინის ცენტრები (CDC)², რასაც დიდი მხარდაჭერა ჰქონდა სამთავრობო დონეზეც, მაგალითად საცხოვრებლისა და ქალაქის განვითარების

¹ Checkoway, B. Paul Davidoff and Advocacy Planning in Retrospect. Pp. 139-143 in Journal of American Planners Association. V. 60.N2. Spring 1994. P. 139.


² Sanoff, Henry. 2000. Community Participation Methods in Design and Planning. New York and Toronto; John Wiley and Sons, Inc. p. 4-5.



სურათი 16. მოსახლეობის მობილიზაცია: უბნის მოსახლეობა საკუთარი ძალებით აშენებს მოზაიკის დეკორატიულ კედელს თავის უბანში იაპონია (წყარო: Sanoff, Henry, 2000, Community Participation Methods in Design and Planning. New York and Toronto; John Willey and Sons, Inc., გვ. 271).



სურათი 17. მოსახლეობის მობილიზაცია: უბნის მოსახლეობა საკუთარი ძალებით ახორციელებს უბნის გამწვანების პროექტს. იაპონია. (წყარო: Sanoff, Henry, 2000. Community Participation Methods in Design and Planning. New York and Toronto; John Willey and Sons, Inc. გვ. 174).



სურათი 18. მოსახლეობის ინფორმირების და მათი აზრის გათვალისწინების ზერხები: მოსახლეობის შეკრება და ერთობლივი მუშაობა კონკრეტულ საკითხებზე (წყარო: Sanoff, Henry, 2000. Community Participation Methods in Design and Planning. New York and Toronto; John Wiley and Sons, Inc., გვ. 166).

დეპარტამენტიდან (HUD). CDC-ი შეიძლებოდა ყოფილიყო არასამთავრობო ან რომელიმე პროექტზე დაფუძნებული არაფორმალური ორგანიზაცია, რომლის მიზანი იყო გეგმარების, დიზაინისა და სერვისის დაგეგმარება შესაბამის მოსახლეობასთან ერთად. მისი ძირითადი როლი მდგომარეობდა მოსახლეობის ჩართვაში პროექტის შემუშავების პროცესში, ტექნიკური დახმარება სასურველი პროექტის არჩევაში და მოსახლეობის ინტერესების დაცვა სასურველი შედეგების მიღწევაში. CDC-ის ხშირად ამერიკის არქიტექტურის ინსტიტუტიც (AIA) კი აფინანსებდა სხვადასხვა გრანტების მექანიზმით. ეს მეთოდი საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა და 30 წლის მანძილზე აქტიურად ფუნქციონირებდა.

1955 წელს გაერომ დაასკვნა, რომ ...საცხოვრებელი გარემოს განვითარება არის მიმართული პროცესი ეკონომიკური და სოციალური პროგრესისაკენ, მთელი საზოგადოებისათვის მოსახლეობის აქტიური მონაწილეობის საშუალებით¹. საზოგადოებრივ და მათ შორის საქალაქო განვითარების დაგეგმვაში მოსახლეობის მონაწილეობის საკანონმდებლო უზრუნველყოფას 70-იანი წლებიდან მოყოლებული უდიდესი ყურადღება ექცევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხრიდან.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აქტივისტები ცდილობენ უბნის საზოგადოების მობილიზაციას, რათა მათ ლობირება გასწიონ უშუალოდ მათი უბნის გარემოს დაცვისა და ხარისხის საკითხების თაობაზე, ისევე, როგორც ჩაებან თვითმომსახურებასა და აუცილებელი კომუნალური სერვისების გარკვეულად დარეგულირებაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად მოსახლეობის მონაწილეობის ფენომენი ქალაქმშენებლობით პროცესებში 80-იანი წლებიდან მზარდი პოპულარობით გამოირჩევა როგორც აშშ-ში, ასევე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. დღეს იგი უკვე განვითარებადი ქვეყნების ურბანული პოლიტიკის ყურადღების ფარგლებშიც მოექცა, როგორც სოციალური განვითარების იარაღი და პოპულარული მეთოდი. თუმცა მობილიზაცია ის ტერმინია, რომელიც იხმარება მოსახლეობის მოზიდვისა და

¹ Moser C. Community Participation in Urban Project Planning in the Third World. 1989. Pp. 81-131 In Progress in Planning, V. 32. Pergamon Press. Oxford, NY.

მობილიზაციის აღსანიშნავად კონკრეტული პრობლემისა თუ პროექტის დაგეგმვაში, განხორციელებასა თუ შეფასებაში. იგი მიიღწევის იმისაკენ, რომ შექმნას მოსახლეობის მიერ აზრის გამოთქმისა და ამ აზრის გათვალისწინების მექანიზმები, მიმართული ადგილობრივი პირობების გაუმჯობესებისაკენ. (სურათი 16, 17). თემთა მობილიზაციის ერთ-ერთი ცნობილი პიონერი პრაქტიკოსი ამერიკელი დავიდ ალინსკი მოსახლეობის მონაწილეობასა და თემთა მობილიზაციას უყურებდა როგორც ინდივიდთა ჩართვის მექანიზმს იმ პროცესებში, რომლიდანაც მოსახლეობა მოწყვეტილია ცენტრალიზებული და ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატის მანიპულაციათა გამო. ალინსკის თეორია და მეთოდები მოსახლეობის მონაწილეობის აუცილებლობის შესახებ საქალაქო გადაწყვეტილებებში მაშინ გახდა აღიარებული, როდესაც 70-იან წლებში აშშ-ში საშუალო კლასი ეკონომიკურ კრიზისში მოექცა. მაშინ მოსახლეობამ ჩამოაყალიბა ჯგუფები, რომელთაც მონაწილეობა ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაშიც კი მიიღეს ისევე, როგორც ჯანდაცვის, გადასახადების დაწესებისა და სხვა სფეროებში.

სხვადასხვა ქვეყანაში ქალაქური სტრუქტურების წარმოქმნის სურათი გარკვეულწილად მსგავსია. როგორც წესი, მოსახლეობის მონაწილეობა იძლევა უფრო სრულყოფილ გეგმებსა და გადაწყვეტილებებს. ამ მეთოდით ხდება მოსახლეობის გარკვეული იდენტიფიკაცია პროექტის შემუშავების პროცესიდანვე — ისინი მას, როგორც „თავისი ცხოვრების ნაწილს“ ისე უყურებენ. ამ კუთხით მეტად საინტერესოა დასავლეთის გამოცდილება სოციალურ პროექტირებაში.

მოსახლეობის მონაწილეობას რამდენიმე ძირითადი განსაზღვრება აქვს:

- ეს არის ადამიანთა უფლება და მოვალეობა მიიღონ მონაწილეობა იმ პროცესთა და პროექტთა ფორმირებაში, რომელიც ეხება მათ ცხოვრებას.

- ეს არის ადამიანთა ქმედება მოქალაქეობრიობის გამოვლენის, რომელიც ზრდის მოსახლეობის სოციალურ-სივრცითი ინტეგრაციის შესაძლებლობებს.

- ეს არის პროცესი მიმართული პროექტთა და მათი შედეგების

გაუმჯობესებისა და მოსახლეობის ინტერესთა დაკმაყოფილებისაკენ. ქალაქისა და ზოგადად ქვეყნის ინტერესების შესაბამისად.

მოსახლეობის სრულყოფილი მონაწილეობისათვის აუცილებელ მქანშიზმს წარმოადგენს მოსახლეობის უფლებების საკანონმდებლო განმტკიცება. მრავალ ქვეყანაში ჩამოყალიბდა „მოსახლეობის მონაწილეობის“ კონცეფცია და შემუშავდა სპეციალური კანონები. ახლა გაეროს წევრ 30 ქვეყანაზე მეტში მოსახლეობის მონაწილეობა კონკრეტული არქიტექტურული სივრცითი გარემოს ფორმირებაში განსაკუთრებული კანონებით ხდება შემდეგი პუნქტების მიხედვით:

1. მოსახლეობის უფლება მათ ინფორმირებაზე;
2. პროექტთა განხილვის ვადები (1-6 თვე);
3. მოსახლეობის წარმომადგენლობის ფორმები და კვოტები პროექტირებაში, რეალიზაციასა და ექსპლუატაციაში;
4. მოსახლეობის ფუნქციები ქალაქმშენებლობით პროცესში: შეფასება, ინფორმირება, ინდივიდუალური შეკვეთების ფორმირება.
5. უფლებრივი დამოკიდებულება „ხელისუფლება-დამკვეთი-მოსახლეობის“ სანქციების, რომლებიც გამოხატება ფულადი კომპენსაციის დაწესებაში იმ მოსახლეობის სასარგებლოდ, ვის უფლებებ-საც არღვევს პროექტი.¹

1986 წელს გაეროს სსდომაზე საზგასმით აღინიშნა, რომ ყოველი მთავრობის ინტერესებშია „მიიზიდოს „კლიენტები“ (ანუ საზოგადოება — თ.ს.) საცხოვრისის განვითარების მოკლევადიან თუ გრძელვადიანი პროგრამების დამუშავებაში. იგი ანაწილებს პასუხისმგებლობას პროექტის დამუშავების, მენეჯმენტისა და განხორციელების პერიოდში“.

სხვადასხვა ქვეყნებში თვითმმართველობის ფორმები და კანონმდებლობა მეტად განსხვავებულია. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტი ქალაქმშენებლობაში არის „კანონი ქალაქთა და სოფლების დაგეგმარების შესახებ“, (1971წ.); დანიაში — „ნაციონალური და რეგიონული დაგეგმარების აქტი, (1973წ.)“

¹ Nelissen Nico. Methods of Public Participation in Western Europe. Experience with Public Participation in urban renewal in West European Municipalities. Pp. 53-70. in Cities Of Europe.

და „მუნიციპალური გეგმარების აქტი“ (1975); აშშ-ში — „საბინაო და თემის განვითარების აქტი“ (1974წ., 1977წ.) და „საქალაქო განვითარების ფინანსირების პროგრამა“ (1974წ.).

აუცილებელ ფაქტორს მოსახლეობის სრულყოფილი მონაწილეობისათვის წარმოადგენს მოსახლეობის ინფორმირება თავის უფლებებსა და მოვალეობებზე. საზღვარგარეთ მოსახლეობის ინფორმირებისათვის მრავალ მეთოდს მიმართავენ: ორგანიზებულ შეხვედრებს, სასკოლო განათლებას, სხვადასხვა საზოგადოებრივ კურსებსა და ლექციებს, სპეციალურ ჟურნალებს, საგანმანათლებლო ფილმებს, რადიო-ტელევიზორულ ფუნქციონირებად გამოფენებს. ქალაქური თვითშეგნების გაზრდა პატრიოტიზმისა და სოციალური თვითშეგნების ჩამოყალიბებისაკენ არის მიმართული. დღეს უცხოეთში რეკლამის საფუძველზე მოსახლეობა მატერიალურ დახმარებასაც უწევს ქალაქებს, რაც უდავოდ თვითშეგნების მაღალი დონის გამოხატულებაა. აშკარაა, რომ პროფესიონალთა და არაპროფესიონალთა ურთიერთობა მათი „საკომუნიკაციო ენის“ სრულყოფილებაზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ პედაგოგიური მეთოდები თუ როგორ მიეწოდოს მოსახლეობას გარემოსეული აღქმის ცოდნა, მეტად მნიშვნელოვნ საკითხს წარმოადგენს. ასეთი სახის განათლებას განვითარებულ ქვეყნებში სკოლის ასაკიდანვე მიიჩნევენ აუცილებლად¹ ბოლო ათწლეულების მანძილზე მსოფლიოში მოსახლეობის მონაწილეობის მრავალგვარი მეთოდი დაიხვეწა²

— ინფორმაციული ამოცანისა და მიზნების ახსნა, გამოფენების მოწყობა, პუბლიკაცია;

— მოსმენები — მთავრობის მიერ ორგანიზებული შეკრებები მოსახლეობის აზრისა და სურვილის მოსასმენად;

— თვითდახმარების მეთოდი — მოსახლეობის ორგანიზებული ჯგუფები თავად ატარებენ კვლევას;

— შეხვედრები საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან;

— მოსახლეობის მხრიდან თანხის შეგროვება და თავის ექსპერტთა დაქირავება პროფესიონალური წრებიდან;

¹ იხ.: Sanoff, G. Op. Cit. Pp. 161-180.

² Nelissen, Nico. Op. Cit. Pp. 59-61.

— კითხვარებით საზოგადოებრივი აზრის შესწავლა;
— რეფერენდუმები — კითხვა-პასუხის ანუ დიალოგის ტიპის შეხვედრები;

— საკონსულტაციო კომიტეტების შექმნა ადმინისტრაციული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მოსახლეობის წარმომადგენელთაგან საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად, და მრავალი სხვა.

პრაქტიკაში ძირითადად ამ მეთოდთა კომბინაციები გამოიყენება და არა რომელიმე ერთი ცალკე აღებული სახეობა.

მოსახლეობის მონაწილეობის ხარისხი 4 სახედ შეგვიძლია დაე-
აჯგუფოთ¹:

1. ცალმხრივი — პუბლიკაცია, განცხადება პროექტის შესახებ პრესაში, რადიოში და ა.შ.;

2. ორმხრივი — დებატები, კრებები, კითხვები;

3. კოოპერაციული — ერთიანი ქმედებები;

ძალაუფლების განაწილება — რომელიც ფაქტობრივად იმ საფეხურს წარმოადგენს, რომლისკენაც მიიღწევის ურბანისტიკის დღევანდელი თეორია.

მოსახლეობის მონაწილეობა სრულყოფილი შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მოიცავს რეპრეზენტაციულობის მაქსიმალურად მაღალ დონეს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება საპროექტო შედეგები ტოლფასად დამაკმაყოფილებელი როგორც მოსახლეობისათვის, ასევე პროფესიონალებისა და დამკვეთისათვის. საინტერესოა, რომ მოსახლეობის მონაწილეობა დღეს საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროს მოიცავს საკმაოდ რეპრეზენტაციული ფორმით. ამაში გვარწმუნებს მოსახლეობის გავლენა სხვადასხვა შემთხვევაში, მაგრამ ყველაზე პოპულარულია იგი საცხოვრისის პრობლემათა გადაჭრაში — დღეს, უბნის მმართველობის ერთეულები ამერიკაში ისეთ მსხვილ ქალაქებშიც კი თამაშობს მნიშვნელოვან როლს, როგორცაა: ნიუ-იორკი, ჩიკაგო, და ფილადელფია. რაც მთავარია, მოსახლეობას სწამს, რომ ადგილობრივი მმართველობა და თვითმმა-

¹ Hols, Signe and Mangset, Der. Participation and Influence in Skedsmo. Pp. 130-147 In : Urban Cultural Life in the 1980s. Council for Cultural Cooperation, Strassbourg, 1983. P. 137.

რთველობა დაეხმარება მათ საცხოვრისთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში.

დიდ ბრიტანეთში ყველაზე ხანგრძლივი ტრადიცია აქვს მოსახლეობის მონაწილეობას, რადგან ფართო პარტიისპატორული მეთოდით პროექტის დამუშავება ჯერ კიდევ 1963 წელს სცადეს თიისაიდის რაიონის განვითარების პროგრამის დამუშავებისას¹. ეს იყო შესანიშნავი მეთოდით ჩატარებული პროცესი, მაგრამ დიდი ნაკლი გააჩნდა, კერძოდ, მოსახლეობა მოიზიდეს განხილვისაკენ მას შემდეგ, რაც პროექტი „დაიხაზა“, იმის ნაცვლად, რომ პროექტი შემდგარიყო მიღებული კვლევის საფუძველზე. შემდგომ, 1987 წელს მარგარეტ ტეთჩერმა გამოაცხადა „ქალაქის ბირთვის“, ანუ ცენტრის პრობლემათა გამოსწორების აუცილებლობა, ანუ საცხოვრებელი გარემოს ესთეტიკური, კრიმინოგენული პრობლემების გადაჭრა და ქალაქთმშენებლობით პოლიტიკის დემოკრატიზაცია. მაგრამ ძირითადი გარდატეხა მოხდა 1991 წელს ე.წ. „ქალაქის გამოძახილის“ ანუ ახალი ქალაქთმშენებლობითი კანონის დამკვიდრებით, რაც მოსახლეობის საჭიროებებისათვის მეტი ყურადღების მიქცევას ითვალისწინებდა „პარტიისპატორული (ანუ მონაწილეობრივი) ვითვის“ გამომუშავების საფუძველზე. უელსის პრინცმა ჯერ კიდევ 1989 წელს გამოშვებულ მონოგრაფიაში ხაზგასმით დაუჭირა მხარი ამ პრინციპს.

არსებობს საშიშროება იმისა, რომ მოსახლეობის მონაწილეობის მსოფლიო ტენდენცია ქალაქთმშენებლობითი პრობლემების გადაწყვეტაში, საპროექტო წინადადებათა დამუშავებასა და განხორციელებაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს პოლიტიკური თუ სხვა ჯგუფებისა და ინდივიდების მიერ საზოგადოებაში დომინანტური პოზიციების მისაღწევად, მოსახლეობის ფსევდომონაწილეობის საფუძველზე. ამ საშიშროების გარდა, მოსახლეობის მონაწილეობა შეიძლება აღქმულ იქნეს რამდენიმე მცდარი კუთხით. პირველი, როგორც მოსახლეობის პროვოცირება კოლექტივიზმისაკენ, რაც სრულიად მცდარი

¹ Public Participation in Structure Plannin. The Teeside Experience. Centre for Environmental Studies Research Papers. 14, January, 1976. The Public Department, CES. London.

შეხედულებაა, როგორც ჯერ კიდევ 1969 წელს წერდა ჯეინ ჯეკობსი: „ქალაქის ქუჩამ უნდა მიაღწიოს იმ მომხიბლაობას, რომელიც ბალანსია თემის არსებობასა და თემს გარეთ ქალაქთან აქტიურ კონტაქტში ყოფნას“. არის! სწორედ ამ გარემოს შექმნისკენ არის მიმართული მოსახლეობის მონაწილეობა. მეორე მცდარი ტენდენცია შეიძლება აღმოაჩნდეს აზრი არქიტექტორთა თუ ქალაქთმშენებელთა როლის დაკნინების შესახებ თუ მოსახლეობის არაპროფესიონალურ წიხრს დიდ როლი მიენიჭება. ასეთი წარმოდგენა მცდარია, რადგან პარტისიპატორული მეთოდი ზრდის კიდევაც პროფესიონალიზმს არათუ ამცირებს მას. ასეთ პროცესში არქიტექტორი თუ ურბანისტი მედიატორი ხდება მთავრობის ეკონომიკურ-პოლიტიკურსა და მოსახლეობის სოციალურ-ფსიქოლოგიურ ინტერესებს შორის და პროცესებს მიმართავს იმ სრულყოფილებისაკენ, რომელიც მსხვილმა ქალაქებმა დაკარგეს.

VI თავის საკითხავი ლიტერატურა:

- ❖ Flanagan, William G. 1999. *Urban Sociology; Images and Structures*. Needham Height. Allyn & Bacon. Pp. 313-341.
- ❖ Gottdiener, Mark. 1994. *The New Urban Sociology*. McGrow Hill Inc. pp. 227-249.
- ❖ Levy, John M. 2000. *Contemporary Urban Planning*. Upper Saddle River, Princeton-Hall, Inc. pp. 60-86.
- ❖ Коган Л.Б. Архитектура, город и Общесивенное мнение. С. 241-255. В Кн. Жилищная программа. Проблемы и Решения. М. Стройиздат. 1990.
- ❖ Коган Л.Б. Город и Политика. В Архитектура и строительство России. 1, 1989.

¹ Jacobs, Jane. 1961. *The Death and Life of Great American Cities*. NY: Vintage.

ბამოყენებული ლიტერატურა

- Altman, I.** 1975. *The Environment and Social Behaviour*. Monterey, California Books.
- Andrusz, Gregory, Harloe, Michael and Szelenyi, Ivan (eds.)** 1996. *Cities After Socialism: Urban and regional Change and Conflict in Post-Socialist Societies*. Cambridge: Balckwell Publishers fc.
- Barker, Robert.** 1968. *Ecological Psychology. Concepts and Methods for Studying the Environment of Human Behaviour*. Stanford, Stanford University Press.
- Cohen, Michael, Ruble, Blair, Tulchin Joseph, and Garland Allison, eds.** 1996. *Preparing for the Urban Future: Global Pressures and Local Forces*. Wash., D.C.: Woodrow Wilson Center Press.
- Cousing, Albert, Sons Nagapul.** 1979. *Urban Life: The Sociology of Cities and Urban Society*. John Wiley Sons, NY, Chichester, Toronto.
- Fainstein, Susan.** 1994. *The city Builders: Property, Politics, and Planning in London and New York*. Cambridge, Mass.: Blackwell.
- Fainstein, Susan and Feinsein, Norman.** 1972. *The View from Below: Urban Politics and Social Policy*.
- Fisher, Robert (ed.)** 1999. *The American Planning Tradition: Culture and Policy*. Woodrow Wilson Center Press and Johns Hopkins University Press.
- Fishman, Ethan.** *Public Policy and the Public Good*. Greenwood Press, NY.
- Flanagan, William G.** 1999. *Urban Sociology; Images and Structures*. Needham Height. Allyn & Bacon.
- Friedmann, J.** 1987. *Planning in the Public Domain: From Knowledge to Action*. Princeton, NJ. Princeton University Press.
- Friedmann, John.** 1988. *Life Space and Economic Space. Essays in Third World Planning*. New Brunswick NJ: Transaction Books.
- Harding, A., Dawson, J., Evans R., and Parkinson, M. (eds)** 1994. *European Cities in the 1990s: Profiles, Policies, and Prospects*. Manchester: Manchester University Press.
- Gachechiladze, Revaz.** 1991. *Tbilisi and Its Metropolitan Region: Social Problems in Space, Tbilisi*.
- Giddens, Anthony.** 1987. *Social Theory and Modern Sociology*. Stanford; Stanford University Press.
- Girouard, Mark.** 1985. *Cities and People; A Social and Architectural History*. New Haven and London; Yale University Press.
- Gottdiener, Mark.** 1994. *The New Urban Sociology*. McGraw Hill Inc.
- Hall, E.T.** 1990. *The Hidden Dimension*. Anchor Books, Doubledau, NY.
- Hausner, V.** 1986. *Critical Issues in Urban Economic Development, Volume 1*, Oxford: Clarendon.
- Hausner, V.** 1988. *Critical Issues in Urban Economic Development, Volume 2*, Oxford: Clarendon.
- Jacobs, Jane.** 1961. *Death and Life of Great American Cities*. Vintage Books, NY.
- Keller, Susanne.** 1968. *The Urban Neighborhood: A Sociological Perspective*. NY, Random House Inc.
- Kostof, Spiro.** 1991. *The City Shaped; Urban Patterns and Meanings Throughout History*. Boston, New York, Topronto, London; a Bulfinch Press Book Little, Brown and Company.
- Kuper, Adam, Jessica Kuper. (eds.)** 1999. *The Social Science Encyclopedia*. London and New York; Routledge.
- Levy, John M.** 2000. *Contemporary Urban Planning*. Upper Saddle River; Princeton-Hall, Inc.
- Marshall, Gordon, (eds.)** 1998. *Dictionary of sociology*. Oxford, NY; Oxford University Press.
- Mehta, Dinesh.** 1999. *Participatory Urban Environmental Management: The Case of Ahmedabad, India*. Occasional Paper number 20. Woodrow Wilson Center, Washington D.C.
- Mumford, Lewis.** 1938. *The Culture of Cities*. San Diego, New York, London; a Harvest Book, Harcourt Brace and Company.

Newman, Oscar. 1972. *Defensible Space. Crime Prevention Through Urban Design*. Collier, NY.
Park, Robert. E.W. Burgess. R.D. McKenzie. (1967). *The City*. Chicago University Press, Chicago.

Sanoff, Henry. 2000. *Community Participation Methods in Design and Planning*. New York and Toronto: John Willey and Sons, Inc.

Sassen, Saskia. 1998. *Globalization and Its Disconnects*. New York: NY Press.

Sassen Saskia. 1995. *Urban Impacts of Economic Globalization*. Occasional Paper Number 5. Woodrow Wilson Center, Washington D.C.

Scott, Allan, (eds). 1999. *The Limits of Globalization: Cases and Arguments*. London and New York; Routledge.

Sennett, Richard. (eds.). 1969. *Classical Essays in the Culture of Cities*. Meredith Corporation, NY.

Shanon, Thomas, Nancy Kleniewski, William Cross. 1997. *Urban problems in sociological perspective*. Prospect Heights: Waveland press.

Stren, Richard. 1998. *Urban Research in the Development World: From Governance to Security*. Comparative Urban Studies Project Occasional Paper No. 16. Woodrow Wilson International Center For Scholars.

Vardosanidze, Vladimir. 2000. *Georgian Culture and Urbanization*, in *Urban Design Studies*, volume 6, 2000. Pp. 105-115.

Using Indicators in Policy. Pp.3-5 in „Indicators Newsletter“. United Nations Centre for Human Settlement (Habitat). Third Quarter. 1995. Volume III

Wirth, Lois. (1956). *Community Life and Social Policy*. Selected Papers. University of Chicago Press.

ბურჩინძე მ. სოციოლოგიური ინფორმაციის მოპოვების მეთოდები. გვ. 45 - 82 კრებულში „სოციოლოგიური კვლევის მეთოდები“ ისუ გამოქვეყნდება. 1998.

ვარდოსანიძე ვ. სულუხია თ. თბილისში საცხოვრისის კვლევის საკითხისათვის. შრომები. 9, 1992.

თევზაძე ნ. თბილისის საცხოვრებლის შესწავლისათვის. „შრომები“, თბილისი. სტუ-1992, 9 (392).

თევზაძე ნ. საცხოვრებლის ფორმირების არქიტექტურულ-დაეგმვარებითი პრინციპები საქართველოს პირობებში. დისერტაცია. 1994.

კაჭკაჭიშვილი ა. კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია. გვ. 22-44, კრებულში „სოციოლოგიური კვლევის მეთოდები“ ისუ გამოქვეყნდება. 1998.

კოდუა ე. სოციოლოგიის შესავალი, თბილისი, 1986.

სულუხია თ. ტრადიციის როლი თანამედროვე ქალაქის გარემოს ფორმირებაში: სოციალურ-ფსიქოლოგიური ანალიზი. „არქიტექტურა“. 2000 აპრილი, გვ. 7.

სულუხია თ. თბილისის ქალაქური გარემო და ახალი ტენდენციები. „ხელოვნება“, 3-4, 1998. გვ. 36-39.

სულუხია თ. მსხვილი საცხოვრებელი მასივების ფუნქციურ-ხივრცითი რეორგანიზაციის ურბანოლოგიური წინამძღვრები. დისერტაცია, თბ. 1997.

შეპანსკი ი. სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები. თბილისი, „მეცნიერება“. 1996.

ჯგერენია ე. სოციოლოგიის განმარტება. კრებულში „სოციოლოგიური კვლევის მეთოდები“ ისუ გამოქვეყნდება. 1998.

Арон Р. Этапы развития социологической мысли. М., 1993.

Ахизер А., Коган Л., Яницкий О. В сб. Урбанизация, общество и НТР. Вопросы философии. 1962, 2.

Бархин М. Город 1945-1970. М., „Стройиздат“, 1976.

Ванагае Ю. Проблемы функционирования новых жилых районов. Вильнюс, ПитНинт. 1984

Вардосანიძე В., Коган Л., Правоторова А. Социально-культурные исследования в градостроительстве. В сб. Градостроительство. М., ЦНИИП. 1976.

- Вардосанидзе В.** Влияние социально-культурных функций центра крупнейшего города на развитие новых жилых образований. Дисс. на соиск. степ. Канд. Арх-ы. М., 1981.
- Гюргадзе Г., Абзганидзе Ш.** Региональные особенности быта, как фактор формирования жилой среды. С. 170-175 В сб. Психология и архитектура. Тезисы конференции. Ч.2. Тбилиси, ЭОП СССР и ТПедИ им Э. Вильдэ, 1983.
- Гайдукова Н.** Социально-психологические основы средообразования. Таллин, ЭОП СССР и ТПедИ им Э. Вильдэ, 1986. С. 123-128.
- Голд Д.** Основы поведенческой Географии. М., „Прогресс“, 1990.
- Гольдзварт Э., Швидковский О.** Градостроительная культура Европейских стран. М., „Прогресс“.
- Коган Л.** Возражая города мы возражаем демократию. М., „Социум“, 1991,1.
- Коган Л.Б.** Города и политика. С. 20, „Архитектура и строительство России“, 1989. 1.
- Коган Л.Б.** Архитектура, город и Общественное мнение. С. 241-255. В Кн. Жилищная программа. Проблемы и Решения. М. „Стройиздат“, 1990. .
- Круусвалл Ю., Хейдметс М., Нинт Т.** Социально-психологические исследования проблем города и жилища. Новосибирск, „Наука“, 1986.
- Линч К.** Образ города. М., „Прогресс“, 1990.
- Марлен П.** Новые города. М., „Прогресс“, 1975.
- Мерфи Р.** Американский город. М., „Прогресс“, 1972.
- Пароль В.** Социалистический город. Урбанизационный процесс и образ жизни горожан. Ч 2. Таллин, „Валтус“, 1982.
- Философская Энциклопедия“. М., Советская Энциклопедия. 1970. Том 5.
- Смирнов В.** США. Политический механизм городского управления. М., „Наука“, 1976.
- Раудсепп М.** Социально-психологическая эффективность жилища. С. 115-153. В кн. Человек, общение, и жилищная среда. Таллин, ТпедИ им. Э. Вильде. 1985.
- Робер М., Тильман Ф.** Психология индивида и группы. М., „Прогресс“, 1988
- Современный город, культура и человек.** М., „Наука“, 1987.
- Средовые условия групповой деятельности.** Таллин, ТпедИ им. Э. Вильде. 1988.
- Хаар Ч.** Гармонизация общественных и частных интересов и подходов к ее реализации в условиях формирования рынков частной земли с. 72-80. Киев, „Будівництво України“, 1994.
- Хлопин А.** Миграционные процессы и проблема личности на рубеже культур в социологии США. С 236-304 В кн. Урбанизация и расселение трудящихся в условиях капитализма. М., „Прогресс“, 1974.
- Яницкий О.** Урбанизация и рабочий класс в развитых странах – некоторые актуальные вопросы социологических исследований. С. 5-37. В кн. Урбанизация и расселение трудящихся в условиях капитализма. М., „Прогресс“, 1974.
- Яницкий О.** Социальные аспекты урбанизации в условиях НТР. С. 3-50 В кн. Проблемы современной урбанизации. М., „Статистика“, 1973.

გამომცემლობის რედაქტორი: ნ. ელიზბარაშვილი
ტექრედაქტორი ლ. ნინიკაშვილი
კორექტორი მ. კილაძე
ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.08.01
საბეჭდი ქაღალდი 60X84 ¹/₁₆
სააღრ.-საგამომც.თაბაზი 10.0
შეკვეთა № 44 ტირაჟი 500

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი, წერეთლის გამზირი 112